

თეა გაფრინდაშვილი

ეგზისტენციალისტური გენდენციები თანამედროვე ბერძნულ
მწერლობაში
(ა. ფრანგიასი, დ. ხაძისი, ს. პლასკოვიცისი)

თბილისი 2005

სარჩევი:

შესავალი	3
პირველი ნაწილი	
1. ეგზისტენციალიზმის გზა / ფილოსოფიიდან ლიტერატურამდე /	7
2. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საბერძნეთი და ბერძნული ლიტერატურა	24
3. ეგზისტენციალიზმი და XX საუკუნის ბერძნული ლიტერატურა	35
4. ა. ფრანგიასი, დ. ხაძისი, ს. პლასკოვიგისი (ცხოვრება და მოღვაწეობა)	42
მეორე ნაწილი	
1. ანდრეას ფრანგიასის “შავი ჭირის” აბსურდის სამყარო და აბსურდის გმირები	54
2. “შავი ჭირის” პერსონაჟების მიმართება ბუნების ელემენტებისადმი	80
3. ადამიანის გაუცხოების პრობლემა დიმიტრის ხაძისის შემოქმედებაში	92
4. ადამიანი შეუცნობელი სამყაროს წინაშე დ. ხაძისის მოთხრობების “წყლის მოქცევის დრო” და “წმინდა გიორგი” მიხედვით	108
5. ს. პლასკოვიგისი “კაშხალი” – სიგყვა-სიმბოლო	123
6. “თავისუფლება” და სიკვდილის მეტაფიზიკური გააზრება ს. პლასკოვიგისის რომანში “კაშხალი”	133
დასკვნა	140
გამოყენებული ლიტერატურა	145

შესავალი

ეგზისტენციალიზმი ფილოსოფიური გამოსატყულებაა ძალაგამოცლილი სამყაროსი - წერდა ჟან პოლ სარტრი. ბერძენი მეცნიერის, მარკოს აველერისის აზრით კი ეს არის ფილოსოფია, რომელიც სხვა დანარჩენი იდეოლოგიური მიმდინარეობებისაგან განსხვავებით, ყველაზე მეტად ასახავს ადამიანის სულიერ და მორალურ მდგომარეობას. იგი გაჟღერებულია იმ პესიმიზმით, რომელიც სულ უფრო და უფრო ღრმად იდგამს ფესვებს ევროპულ აზროვნებაში. ეგზისტენციალიზმი ჰეგესიასის “სიკვდილის მქადაგებელ” ფილოსოფიასაც მოგვაგონებს, რომელიც იმ ეპოქაში აღმოცენდა, როცა ანტიკური ბერძნული სამყარო დაღმავლობისაკენ მიემართებოდა და ცხოვრებისაგან იმედგაცრუებულ ადამიანებს მასობრივი თვითმკვლელობისაკენ უბიძგებდა. ჰეგესიასის ფილოსოფიის თანახმად, ცხოვრება გაუსაძლისი ტკივილია, თვითმკვლელობა კი ერთადერთი გამოსავალია ცხოვრების პრობლემებისაგან თავის დასაღწევად.¹ საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ბერძენმა პოეტმა, იოანის გრიპარისმა, გამოიყენა რა “მასობრივი თვითმკვლელობის” თემა, შექმნა საუცხოო ლექსი, რომელიც უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ ეგზისტენციალისტური გენდენციებითაა გაჟღერებული. აღნიშნულ ლექსში მოცემული ყველა დეტალი სიკვდილის სიმბოლოა, სიცოცხლე წარმოდგენილია როგორც სიკვდილისაკენ მიმავალი გზა. ეს კი არის შეხედულება, რომელსაც ეგზისტენციალურ აზროვნებაში ცენტრალური ადგილი უკავია. ი. გრიპარისის პესიმიზმი საოცარ თანხვედრაშია ევროპაში გაბატონებულ პესიმიზმთან, რომელიც XIX საუკუნიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო იმყარებდა ფესვებს. ადამიანებში ჩაბუდებული გრძნობები გადამდები სენივით ედებოდა

¹ მღრ.: A. Lesky, Ιστορία της αρχαίας ελληνικής λογοτεχνίας, Θεσσαλονίκη 1990, 697.

მთელს სამყაროს, ერთი ქვეყნიდან მეორეში ინაცვლებდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა არსებული გარემოება ყველგან ერთმანეთის იდენტური ხდებოდა.²

თანამედროვე ბერძნულმა ლიტერატურამ ვერ შეძლო გვერდი აეველო ამ პესიმისტური განწყობისათვის, განსაკუთრებით იმ ეპოქაში, (აქ საუბარია მეორე მსოფლიო ომზე და მის შემდგომ პერიოდზე), როცა საზოგადოების განწყობა იდენტური იყო ეგზისტენციალისტური ტენდენციებისა.

დასავლური ეგზისტენციალისტური იდეების ბერძნულ ინტელიგენციაში პოპულარიზაციასთან დაკავშირებით თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის მკვლევართა მხრიდან არაერთი ურთიერთგამომრიცხავი აზრი იქნა გამოთქმული. ასე მაგალითად, კრიტიკოსი დ. რავეგოპულოსი ერთ-ერთ გამოკვლევაში წერდა: “იგულისხმება, რომ ეგზისტენციალიზმის გავლენა არ იყო, ვინაიდან არ არსებობდა კავშირი. ჩვენამდე მხოლოდ იმ ანტიკონფორმისტული იდეების გამოძახილები აღწევდა, რომლებიც განთავისუფლების პირველსავე წლებში პარიზის ახალგაზრდა ინტელიგენციას აღელვებდა. ეს იყო ძირითადად სენ-ჟერმენ-დე პრეს ბულვარის ღამის კლუბების ფოლკლორი და არა სარგრის წიგნები. არც სორბონის უნივერსიტეტში ჩატარებული მისი ლექციების მოსმენა იყო შესაძლებელი... ამ იდეების გამოძახილი მაშინ საბერძნეთში იშვიათად აღწევდა და ისიც ცენზურის ქვეშ გატარებული და სახეცვლილი იყო. საბერძნეთში ჟიდს, კამიუს, მორუას, კოსტლერს და რა თქმა უნდა, სარგრს “ანტიკომუნისტების” რიცხვს მიაკუთვნებდნენ და მათ ამერიკული იმპერიალიზმის მქადაგებლებს უწოდებდნენ. “დასავლურ” საზოგადოებებში, ჩვენ ვართ თანამედროვე ეპოქაში სამყაროსაგან ყველაზე მეტად მოწყვეტილი ახალგაზრდობა, პასპორტის, იდეების, ინფორმაციის გარეშე”.³ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით

² შდრ.: Μ. Αυγέρης, Αφιέρωμα στην Φιλοσοφία του Υπαρξισμού 1, Ο Καμύ στην Ελλάδα, Δίμηνο περιοδικό λογοτεχνίας και προβληματισμού, Αθήνα 1971, 64.

³ Δ. Ραυτόπουλος, Άρης Αλεξάντρου, Ο εξόριστος, Αθήνα 1996, 21-25.

განსხვავებულ აზრს აყალიბებს დ. ცაკონასი. მისი აზრით წინააღმდეგობა, არა იმდენად, როგორც ეროვნული მოძრაობა, არამედ როგორც საზოგადოებრივი პროტესტი, მოდერნიზმთან, დასავლეთის მოაზროვნეთა ეგზისტენციალურ ფილოსოფიასთან, ფროიდიზმთან და პოსტსიურეალიზმთან ერთად ქმნის ომისშემდგომი პერიოდის შემოქმედთა იდეოლოგიურ პოლიფონიას.⁴ შესაძლოა ნაწილობრივ ორივე კრიტიკოსის აზრს დავეთანხმეთ. მართლაც ძნელად სავარაუდოა, რამდენად შესაძლებელი იყო ომისშემდგომ პერიოდში გაბატონებული პოლიტიკური აგმოსფეროსა და დიქტატურის პირობებში სარგრისა და კამიუს წიგნებს ისეთივე აღგაცებით შეხვედროდენ საბერძნეთში, როგორც ეს ევროპის სხვა ქვეყნებში მოხდა, თუმცა ამის აბსოლუტური გამორიცხვაც შეუძლებელია.

ვფიქრობთ, რომ ეგზისტენციალიზმის ბერძნულ ლიტერატურაში შეღწევისა და ფუნქციონირების კანონზომიერებანი სათანადოდ არ არის გამოკვლეული. როგორც თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტები აღნიშნავენ, ეს თემა ნეოგრეცისტიკაში ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებ შესწავლილ მხარეს წარმოადგენს. უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც არ არსებობს სპეციალური ნაშრომი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბერძენ მწერალთა ეგზისტენციალისტური მსოფლმხედველობის წარმოჩენას ეძღვნება.

ჩვენი ნაშრომი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბერძნულ მწერლობაში ეგზისტენციალისტური გენდენციების გამოვლენისა და დეტალური შესწავლის პირველი მცდელობაა. მიუხედავად იმისა, რომ სპიროს პლასკოვიგისის, ანდრეას ფრანგიასის და დიმიტრის ხაძისის შემოქმედება როგორც ბერძენი, ისე უცხოელი კრიტიკოსებისა და მეცნიერების მიერ საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, მათი ნაწარმოებები ამ კუთხით საგანგებოდ არავის

⁴ შდრ.: Δ. Τσακωνάς, Επίτομη ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας, πρώτη μεταπολεμική γεννιά,

გამოუკვლევია და ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ სხვადასხვა ვარაუდია გამოთქმული.⁵ რაც შეეხება ქართულ სამეცნიერო ლიგერატურას, ჩვენ არ მოგვეპოვება არათუ მსგავსი შინაარსის, არამედ ზოგადი ხასიათის ნაშრომი, რომელიც ზემოთ დასახელებული მწერლების შემოქმედებას ეძღვნება.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, იმ ძირითად დებულებებზე დაყრდნობით, რაც ზოგადად ეგზისტენციალისტურ ფილოსოფიასა და ეგზისტენციალისტურ ლიგერატურაში გამოიკვეთება, მონოგრაფიულად შეისწავლოს ის, თუ როგორ რეალიზდება ეგზისტენციალიზმი თანამედროვე ბერძნულ მწერლობაში ჩვენთვის საინტერესო პერიოდში. ასევე დაადგინოს, თუ რამდენად დიდია ევროპული, კერძოდ კი ფრანგული ეგზისტენციალიზმის გავლენა ბერძნულ ლიგერატურაზე და რაც მთავარია, რა ძირითად თავისებურებებს გვიჩვენებს ამ თვალსაზრისით ბერძენ მწერალთა შემოქმედება. ნაშრომში მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის სამი ბერძენი მწერლის, ა. ფრანგიასის, დ. ხაძისისა და ს. პლასკოვიგისის შემოქმედებას განვიხილავთ, რომლებიც, ჩვენი აზრით, თავიანთ ეპოქაში მიმდინარე მოვლენების ქარცეცხლში ადამიანის არსებობის პრობლემებით განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი. ცალკეულ თავებში სათითაოდ განვიხილავთ ამ მწერალთა პროზაულ ნაწარმოებებს და მათში წარმოვდგენილ ერთობ საინტერესო და უხვ მასალას, რაც ეგზისტენციალისტური ტენდენციებითაა გაჯერებული, ასევე პარალელურს გავავლებთ სხვადასხვა ეგზისტენციალისტი მწერლის ლიგერატურულ ნაწარმოებებთან.⁶ საინტერესოა

Аθίνα 1999, 534.

⁵ ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, აღნიშნული ეპოქის პროზაიკოსთა შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მძაფრი პოლიტიზირებაა. აქედან გამომდინარე მეცნიერები და მკვლევარები, ძირითადად, ომისშემდგომი პერიოდის მწერალთა შემოქმედების პოლიტიკურ ასპექტზე აკეთებენ აქცენტს და მათ მიერ წამოჭრილ ზოგადსაკაცობრიო საკითხებს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ.

⁶ ძირითად აქცენტს ფრანგი ეგზისტენციალისტი მწერლების ა. კამიუსა და ჟ. პ. სარტრის შემოქმედებაზე გავაკეთებთ, ვინაიდან ისინი არა მხოლოდ XX საუკუნის

ბერძენი მწერლების მიერ წამოჭრილი ადამიანის არსებობის, მისი სიცოცხლისა და სიკვდილის სიღრმისეული განცდების ამსახველი პრობლემების კვლევა. მათი შემოქმედების ამ თვალსაზრისით შესაწავლისას შევეცდებით ვაჩვენოთ თუ როგორ არის მათთან გააზრებული როგორც ადამიანის გაუცხოების, მისი მარგობის, გარიყულობის საკითხები, ასევე თავისუფლების, ამბოხისა და აბსურდის კონცეფციები.

ჩვენი კვლევის ამ ეტაპზე ევროპელი ეგზისტენციალისტი მწერლების საერთო განწყობიდან და მათი შეხედულებებიდან გამომდინარე შევეცდებით თანამედროვე ბერძნული პროზის წარმომადგენელთა კონკრეტული ნაწარმოები დეტალურად შევისწავლოთ და გამოვყოთ ის არსებითი შგრიხები, რაც საფუძველს მოგვცემს მათი შემოქმედება ეგზისტენციალისტური ლიტერატურის პრიზმაში განვიხილოთ. კვლევისას მიმოვიხილავთ ერთი მხრივ ეგზისტენციალისტური თეორიების უნივერსალურ და მეორე მხრივ ბერძნული სინამდვილისათვის დამახასიათებელ ასპექტებს.

პირველი ნაწილი / თავი პირველი

ეგზისტენციალიზმის გზა / ფილოსოფიიდან ლიტერატურამდე /

იმ ლიტერატურულ მიმართულებათა შორის, რომელთაც მნიშველოვანი ადგილი დაიკავეს XX საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში, ეგზისტენციალიზმი განსაკუთრებით საინტერესოა. ეგზისტენციალიზმი (არსებობის ფილოსოფია) ლათინური სიტყვიდან *existentia* მომდინარეობს. აღნიშნული ფილოსოფიური მიმდინარეობა XX საუკუნის 20-იან წლებში გერმანიაში წარმოიშვა, საიდანაც

ეგზისტენციალისტური მიმდინარეობის ცენტრალურ ფიგურებად ითვლებიან, არამედ სწორედ მათმა ლიტერატურულმა ნაწარმოებებმა აქციეს ეგზისტენციალიზმი პოპულარულ ლიტერატურულ მიმდინარეობად მთელს მსოფლიოში. ასევე ყურადღებას შევაჩერებთ ფ. კაფკას შემოქმედებაზე, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ბერძენი მწერლების შეხედულებები აბსურდთან და რელიგიურ თემატიკასთან დაკავშირებით, ზოგიერთ შემთხვევაში, თანხვედრაშია ავსტრიელი მწერლის იდეოლოგიასთან.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელდა, განვითარების მწვერვალს კი საფრანგეთში მიაღწია. ეგზისტენციალიზმი ერთ-ერთი გავრცელებული მიმდინარეობაა თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. “ეგზისტენციალიზმი დღეს საზღვარგარეთ იმდენად პოპულარულია, რომ მას ზოგი ჩვენი საუკუნის, “ატომისა და შიშის” საუკუნის ფილოსოფიად მიიჩნევს”, - აღნიშნავს ქართველი მეცნიერი რ. გორდეზიანი.⁷ ეგზისტენციალისტური იდეების ფართო გავრცელებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მან ფილოსოფიური მედიაციის ცენტრში ადამიანის არსებობის, მისი სიცოცხლისა და სიკვდილის სიღრმისეული განცდების ამსახველი პრობლემები დააყენა.

ეგზისტენციალიზმის მიმდევართა წრე მეტად ფართოა. იგი სხვადასხვა მრწამსის ადამიანებს აერთიანებს, მაგალითად ათეისტებსა და ქრისტიანებს, რის თანახმადაც ეგზისტენციალიზმის მკვლევარნი რელიგიურ (კ. იასპერსი, გ. მარსელი) და ათეისტურ (მ. ჰაიდეგერი, უ. პ. სარტრი, ა. კამიუ) ეგზისტენციალიზმს გამოყოფენ. ეგზისტენციალისტური მიმდინარეობის მთავარი წარმომადგენლები არიან მ. ჰაიდეგერი, კ. იასპერსი, უ. პ. სარტრი, გ. მარსელი, ა. კამიუ, ს. ბოვუარი, მ. მერლო-პონტი, რუსი ემიგრანტები ნ. ბერდიაევი, ლ. შესტოვი, ესპანელი მწერალი და ფილოსოფოსი მ. უნამუნო. თუმცა ეგზისტენციალისტების წინამორბედებად სოკრატე, ავგუსტინე, თ. აქვინელი, ლუთერი, კალვინი, კანტი, ნიცშე, კიერკეგორი და დოსტოევსკი მიიჩნევიან. ისინი, ეგზისტენციალისტების აზრით, ის ფილოსოფოსები და მოაზროვნეები არიან, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში ეგზისტენციალურ პრობლემებს წარმოაჩენდნენ.⁸

ეგზისტენციალიზმის მრავალმხრივი გამოვლინების მიუხედავად, მაინც შესაძლებელია მისი ზოგადი ტენდენციისა და ხასიათის დადგენა. იგი გამოხატავს იმდროინდელი დასავლეთის ინტელიგენციის მძაფრ სულიერ

⁷ რ. გორდეზიანი, ეგზისტენციალიზმი, ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, თბილისი 1993, 412.

⁸ შდრ.: კ. ბაქრაძე, ექსისტენციალიზმი, თბილისი 1962, 14.

კრიზისს, რამაც განსაკუთრებული ძალით ორი მსოფლიო ომის შედეგად იჩინა თავი. აღმოჩნდა, რომ კაპიტალისტურ-ინდუსტრიული ცივილიზაციის პირობებში ადამიანი არაადამიანურ მდგომარეობაშია მოქცეული, გაუცხოებულია, დაკარგული აქვს თავისუფლება და პიროვნულობა. ასეთ პირობებში ადამიანი უცხო და მისთვის უცნობ სოციალურ ძალებს სულიერი და ფიზიკური კატასტროფისაკენ მიჰყავს. სწორედ ეს განწყობა განსაზღვრავს ეგზისტენციალური ამროვნების ზოგად ხასიათს.⁹ რუსი ფილოსოფოსის, ნ. ბერდიაევის ამრით, ადამიანის “გაბურქუება”, მისი პროლეგარიზაცია მომაკვდინებელი აღმოჩნდა პიროვნების არსებობისათვის. კაპიტალიზმში, უწინარეს ყოვლისა, ანტიპერსონალიზმია, ანონიმური ძალაუფლება, მთელ ადამიანურ არსებობაზე რომ ვრცელდება; ის ადამიანს ეპყრობა, როგორც ნივთს. მისი ამრით, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სამყარო ადამიანთა ძმობისა და ერთიანობის უარყოფა იყო.¹⁰

ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის ქვაკუთხედი “ეგზისტენციის” ცნებაა. იგი გრადიციულად “არსების არსებობას” გამოხატავდა. ეგზისტენცია გაგებულია, როგორც სრულიად თავისებური მიმართება თავისი თავისადმი და, ამგვარად, სხვისადმიც, ანუ ეს არის სხვისადმი “თვითმიმართვა”, რაც თავისუფლებას მოასწავებს. “თვითმიმართვასა” და თავისუფლებაში გამოიხატება ადამიანის (Selbst) “სხვა”, რისაკენ “თვითმიმართვაცაა” ადამიანი. “თვითმიმართვის” ხასიათი და მიმართულება ეგზისტენციალისტების მიერ ერთნაირად არ არის გაგებული, მაგრამ მათთვის საერთოა ადამიანის ნამდვილ არსებობად თავისუფლების, “თვითმიმართვის”, პიროვნულობის აღიარება.¹¹

⁹ შდრ.: მ. კაკაბაძე, ეგზისტენციალიზმი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, გ. IV, თბილისი 1979, 22.

¹⁰ შდრ.: ნ. ბერდიაევი, ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში, თბილისი 2001, 15.

¹¹ შდრ.: მ. კაკაბაძე, ეგზისტენციალიზმი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, გ. IV, თბილისი 1979, 22

ადამიანის ეგზისტენცია აუხსნელია, “არსებობის ფილოსოფია” კი მის კონკრეტულ ინტერპრეტაციას ახდენს.

ქართველი ფილოსოფოსი რ. გორდეზიანი გამოჰყოფს იმ არსებით ნიშნებს, რაც შესაძლოა საერთო მახასიათებლად ჩაითვალოს ეგზისტენციალიზმის წარმომადგენლებისათვის: 1. ეგზისტენციალური ფილოსოფიის ცენტრში დგას ადამიანი, როგორც განსაკუთრებული კონკრეტული არსება - ეგზისტენტი; 2. ადამიანური ეგზისტენტი ყოველთვის ინდივიდუალურია. იგი არა საეთოდ ადამიანს ანდა ადამიანთა სიმრავლეს, არამედ ინდივიდუალურ, ერთეულ ადამიანს ეხება; 3. ეგზისტენციალიზმი არ აღიარებს მხოლოდ ადამიანის იზოლირებულ “მე”-ს არსებობას. ეგზისტენციალიზმში ადამიანი არ განიხილება თავისთავში ჩაკეტილ იზოლირებულ ინდივიდუალურ არსებად. პირიქით, ადამიანი მასში გაგებულია როგორც გახსნილი, ღია რეალობა, რომელიც თავისი არსებით დაკავშირებულია გარესამყაროსთან და სხვა ადამიანებთან. ეგზისტენცია დასაწყისიდანვე სამყაროში, სხვა ინდივიდებთან ყოფნაა. ეგზისტენციალიზმი ერთეულ ადამიანს ყოველთვის კონკრეტულ სიტუაციაში განიხილავს, მაგრამ არასოდეს იზოლირებულად, არამედ ყოველთვის სამყაროსთან და სხვა ადამიანებთან კავშირში; 4. ეგზისტენტი ყოფნის უცვლელი ფორმა კი არა არის, არამედ დინამიურია, თავისი არსებით დროსთან და დროულობასთანაა კავშირში; 5. ეგზისტენციალისტები აუფასურებენ ინტელექტუალურ შემეცნებას. რეალობა განიცდება და გაიგება პირად ეგზისტენციალურ გამოცდილებაში. ამ ცხოვრებისეული გამოცდილების წყაროდ კი მათ მიაჩნიათ “ძრწოლა”, რომელსაც ადამიანი განიცდის მაშინ, როცა გააცნობიერებს ამქვეყნიური არამყარი უსაფუძვლო ყოფნის სასრულობას ანუ პირად სასრულო დროულ ყოფნას, რომელიც გარდაუვალი სიკვდილით თავდება (ჰაიდეგერი); 6. თანამედროვე ეგზისტენციალისტები კვლევის დროს მეგნაკლებად ფენომენოლოგიურ მეთოდს იყენებენ: მათთან დიდი მნიშვნელობა

ენიჭება ყოფიერების უშუალო წვდომას, როგორც ამას ფენომენოლოგიური მეთოდის ავტორი, ჰუსერლი მოითხოვდა, მაგრამ ეგზისტენციალისტები დიდად დაშორდნენ მის მოძღვრებას როგორც გამოსავალი პუნქტის, ისე საბოლოო მიზნის მიხედვით. მათთვის კონკრეტული ეგზისტენტი, ადამიანის არსებობაა კვლევის მთავარი საგანი და არა ჰუსერლისეული ზოგადი, მარადიული იდეალური არსებები.¹²

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ეგზისტენციალიზმი ცალკეული ფილოსოფოსების თვალსაზრისი იყო. მოგვიანებით, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მისი მიმდევრების რიცხვი თანდათანობით იზრდება. ეგზისტენციალისტები თავიანთ მოსაზრებას ადამიანის არსებობის შესახებ არა მხოლოდ ფილოსოფიურ ნაშრომებში, არამედ მხატვრულ ნაწარმოებებში, რომანებსა და თეატრალურ პიესებში ავითარებენ. ეგზისტენციალიზმი მკითხველთა ფართო წრეებში თავისი იდეების პოპულარიზაციისათვის ფართოდ იყენებს მხატვრულ ლიტერატურას. ეგზისტენციალისტებისათვის მხატვრული ლიტერატურა არა მხოლოდ მათი თეორიის პოპულარული გზით გადმოცემის მოხერხებულ ფორმას წარმოადგენდა, არამედ მათ ეძლეოდათ საშუალება ამ თეორიის რეალურობა და ჭეშმარიტება “ადამიანური არსებობის” კონკრეტული მაგალითებით უფრო მეტად თვალსაჩინო გაეხადათ.¹³ სწორედ ასე გახდა შესაძლებელი ეგზისტენციალიზმის გავრცელება და პოპულარიზაცია განსაკუთრებით იმ ეპოქაში, როცა საზოგადოების განწყობა ეგზისტენციალისტური ტენდენციების იდენტური იყო.

შეიძლება ითქვას, რომ ეგზისტენციალური მსოფლმხედველობა ფართო მასშტაბებით ვრცელდება, როგორც გეოგრაფიული, ისე ქრონოლოგიური

¹² შდრ.: რ. გორდეზიანი, ექსისტენციალიზმი, ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, განათლება, თბილისი 1993, 413

¹³ И. Шкунаева, Современная Французская Литература, Экзистенциалистское направление в философии и художественной литературе, Москва 1961, 122.

თვალსაზრისით. იგი ესპანურ (მ. უნამუნო), ამერიკულ (ნ. მეილერი, ჯ. ბოლდვინი), ინგლისურ (ა. მერდიუკი, უ. გოლდინგი), დასავლეთ გერმანულ (ე. ნოსაკი, ა. დიობლინი), იაპონურ (კობო აბე) და სხვა ქვეყნების ლიტერატურაში იკიდებს ფეხს. “ეგზისტენციალური რომანი არ გამოირჩევა ფორმალური თუ სტილისტური სითამამით: ეგყობა იგი ესწრაფვის შეძლებისდაგვარად გააფართოვოს მკითხველთა წრე, და კიდევ პოულობს მათ, მეტწილად ახალგაზრდებში, რომლებსაც ძალიან იზიდავს პრაქტიკული მნეობის საკითხები”,¹⁴ - აღნიშნავს დ. რაბაგე.

ამ პესიმისტურმა ფილოსოფიურმა და ესთეტიკურმა კონცეფციამ 40-50-იან წლებში განსაკუთრებული ადგილი ფრანგი მწერლების შემოქმედებაში დაიკავა. ჟან-პოლ სარტრმა, ალბერ კამიუმ, სიმონ დე ბოვუარმა, კ. იასპერსისა და მ. ჰაიდეგერის ბურუსით მოცულ გერმანულ ფილოსოფიას თავიანთ ლიტერატურულ ნაწარმოებებში თავისებური სახე მისცეს. ფრანგული ეგზისტენციალიზმი თანამედროვე ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების, ბურჟუაზიული საზოგადოების ახალი, კრიზისული ეტაპის გამოძახილი იყო. ეს იყო იდეოლოგიური შეხედულება მეორე მსოფლიო ომზე, ფაშიზმზე და მის მიერ შექმნილ მზაკვრულ გარემოზე, იმ ეპოქაზე როცა ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთობა აშკარად კრიზისულ სტადიაში შევიდა.¹⁵ ეგზისტენციალიზმის ფრანგული ვარიანტი უკიდურესად პესიმისტურია, რომელშიაც ძირითადი დებულებები უმოწყალოდ გამიშვლებულ დასკვნებად დაყვანილი, პირვანდელი “ადამიანური არსებობის ტრაგიკული ჭეშმარიტების სიშიშვლემდე”, - აღნიშნავს ი. შკუნაევა.¹⁶

¹⁴ დ. რაბაგე, ფრანგული რომანი 1900 წლიდან, მორალი და რომანის ფორმები, თბილისი 1998, 82.

¹⁵ ი. ლოლობერიძე, ჟან ჟიროდუს ინტელექტუალური თეატრი, თანამედროვე დასავლური დრამა, თბილისი 1989, 24.

¹⁶ И. Шкунаева, Современная Французская Литература, Экзистенциалистское направление в философии и художественной литературе, Москва 1961, 117.

ფრანგი ეგზისტენციალისტები, თავიანთი გერმანელი წინამორბედებისაგან განსხვავებით, გაცილებით მძაფრად აყენებენ პიროვნული და სოციალური ეთიკის საკითხებს, კონკრეტულად კი წამოჭრილ პრობლემებს თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებას უკავშირებენ. 40-იან წლებში საფრანგეთში არსებულმა პოლიტიკურმა უთანხმოებამ, სკეპტიციზმმა და რწმენის უქონლობამ, რაც ფართო ბურჟუაზიულ წრეებში სუფევდა საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, დემორალიზაციამ, ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვამ და უბედურებების მთელმა რიგმა, ეგზისტენციალიზმი წინა პლანზე წამოწია და განსაზღვრა მისი გემოქმედება მიმდინარე მოვლენებით დემორიენტირებული ადამიანების გულსა და აზროვნებაზე.¹⁷

“ხელოვნებამ – წერდა ალბერ კამიუ – პოლიტიკა თავის საგნად არ უნდა აქციოს, თუმცა ხელოვანს, წარმოადგენს რა თავისი ეპოქის ნაწილს, არ ძალუძს ზურგი აქციოს მის გრაგელიას”.¹⁸ აღნიშნული ეპოქის ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები სავსეა აპოკალიფსური, კომმარულ-კატასტროფული ხილვებით. შვეიცარიელი დრამატურგი ფ. დიურენმატი თვლის, რომ თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების უპირატესი ფორმა გროგესკია და ამ უკანასკნელს განსაზღვრავს როგორც “უსახო სამყაროს სახეს”.¹⁹ “მეოცე საუკუნის დასვლურ ხელოვნებაში, ძირითადად, ორი ხაზის განსხვავება შეიძლება. ეს არის, ერთი მხრივ, ფორმათა თამაში, შინაარსისაგან და აზრისგან დაცლილი ფორმების თავისუფალი კონსტრუირება, ე. ი. ფორმალისტური არგისტიკაში, მეორე მხრივ კი ფანტასტიურ-საოცარი და შემზარავი შინაარსის გამოსახვა, ე. ი. რადიკალური გროგესკი. ამ ორ ხაზს ხშირად ერთი და იგივე ხელოვანის შემოქმედებაში ვხვდებით, ისინი უშუალოდ ეხებიან ერთმანეთს, ერთიმეორეში გადადიან. ცხადი ხდება, ამ განსხვავებულ ესთეტიკურ პოზიციებს

¹⁷ Ibid., 123.

¹⁸ С. Фокин, Альбер Камю. Роман. Философия. Жизнь, Санкт-Петербург 1999, 89.

¹⁹ W. Kayser, Das Grotteske in Malerei und Dichtung, München 1961, 8.

ერთი შინაგანი მოტივი აქვს: შემზარავი სამყარო, გაუცხოებული სამყარო... გროგესკი შემზარავი, გამაუცხოებელი სამყაროს უშუალო გამოსახვაა”.²⁰

ისტორიის მიერ გამოწვეულმა იმედგაცრუებამ წინასწარ განსაზღვრა შემოქმედთა მეტაფიზიკისადმი ინტერესი, თუმცა ეს ინტერესი მიმართული იყო არა აბსტრაქტული და ყოვლისმომცველი მეტაფიზიკისადმი, არამედ პიროვნების მეტაფიზიკური აღქმის, ინდივიდუალური, ადამიანური არსებობისადმი.

ფრანგული ლიტერატურისა და ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ჟან-პოლ სარტრმა ე. ჰუსერლის ფენომენოლოგიისა და მ. ჰაიდეგერის ონტოლოგიის საფუძველზე მოგვიანებით ჩამოაყალიბა საკუთარი “ათეისტური ეგზისტენციალიზმის” მოძღვრება. სარტრის ლიტერატურული შემოქმედება, ეგზისტენციალური მსოფლალქმა წარმოიშვა ფილოსოფიური ეგზისტენციალიზმის საფუძველზე. მისი შემოქმედება ფილოსოფიური თემისებით არის გაჟღერებული. ეგზისტენციალიზმის ძირითადი საკითხები – მარტოობა, შიში, თავისუფლება, პასუხისმგებლობა და სხვ. საინტერესოაა ახსნილი მის ლიტერატურულ ნაწარმოებებში. მისთვის მთავარი ობიექტია კონკრეტული ადამიანი და მისი ცნობიერება. ადამიანი არის ეგზისტენცია, რომელიც თვითონ ქმნის თავისი არსებობის კონკრეტულ სახეებს. მისი არსებობა წინ უსწრებს მის არსს.

სარტრისათვის სამყარო საშიში და ცარიელია, ამიტომ გულისრევის შეგრძნებასა და კაეშანს იწვევს მასში. იგი უნდობლობით ეკიდება ცხოვრებას, თითქოს შიშობს, რომ იგი, სანდომიანი სახის მეძავის მსგავსად თავისი აკრძალული მშვენიერებით აცდუნებს მას. იმისათვის, რომ თავი დააღწიოს ცხოვრების მომხიბვლელობას, სარტრი ცდილობს გამოიჭიროს იგი საძაგელ, გულისამრევ მომენტებში და შემდეგ დაუფარავი კმაყოფილებით მოუხმოს

²⁰ შდრ.: მ. კაკაბაძე, “ეგზისტენციური კრიზისის” პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის გრანსცენდენტალური ფენომენოლოგია, თბილისი 1985, 8-9.

მკითხველს, რათა მან ცხოვრების სიავე იხილოს.²¹ მისი გმირები მარგობის მორევში არიან ჩაპირულნი და გულგრილობას განიცდიან ცხოვრების მიმართ. გარდაუვალი სიკვდილის შეგრძნება კი მათ სრულებით უკარგავს ცხოვრების აზრის, მიმზიდველობის, ღირებულებების აღქმის უნარს. ცხოვრება, თავის უაზრობით, თითქოს სიკვდილს უთანაბრდება და სარგრის გმირები სიკვდილის უარყოფით, თავად სიცოცხლესაც უარყოფენ.

სარგრმა თავისი შემოქმედების ცენტრში მოაქცია ინდივიდის სრული თავისუფლების საკითხი. თავისუფლება კი გულისხმობს პასუხისმგებლობას ყველასა და ყველაფერზე, რასთანაც კი ადამიანს მიმართება აქვს. ეს კი, მთელი კაცობრიობა, მთელი სამყაროა. ადამიანის სამყარო, სარგრის აზრით, მისივე არჩევანის შედეგია. სხვებთან ერთად არსებობა თანაარსია მისთვის, ისევე როგორც პასუხისმგებლობა ყველასა და ყველაფერზე. უამრავი ვალდებულება აწევს ადამიანს იმიტომ, რომ ის ადამიანია, ე. ი. თავისუფალია. აქედან ნათელია, თუ რა უზომოდ ძნელია იყო ადამიანი, თუ რა გვირთია არსებობა. ამიტომ წერდა სარგრი “ადამიანი დაწყევლილა თავისუფლებით”, ადამიანი ამაოდ ცდილობს მას გაექცეს.²² ლ. ანდრეევის აზრით, ეგზისტენციალისტური “თავისუფლება” მკვეთრად გამოხატული, უხეში და ინდივიდუალურად აღქმული თავისუფლებაა. სარგრთან მხოლოდ მარგობაში მყოფი ადამიანია თავისუფალი, “სხვები” ზღუდავენ თავისუფლებას, ადამიანი თითქოს “სხვების” ტყვეობაში იყოს, “სხვების” ყოველი შეხედულება ეს უკვე თავისუფლებაზე თავდასხმაა. მისი გმირების თავისუფლება საბოლოო ჯამში ადაპტაციისა და მორჩილების მისტიფიცირებული ბურჟუაზიული მორალი, მარცხის მორალია. სარგრისათვის მეგაფიზიკური მსჯელობისასაც კი “თავისუფლება” “არაა თავისუფალი”. კამიუს მიაჩნდა, რომ პიროვნების თითქმის პათოლოგიური განადგურება, სარგრთან ადამიანის თავისუფლების ფუნდამენტალური

²¹ В. Ерофеев, В лабиринте проклятых вопросов, Проза Сартра, Москва 1990, 274.

პრობლემიდან გამომდინარეობს. მისი გმირები მართლაც თავისუფალნი არიან, თუმცა მათი თავისუფლება არაფრისმთქმელია. ადამიანი განთავისუფლებულია ყოველგვარი ცრურწმენისაგან. იგი მარგოა, საკუთარ თავისუფლებაში გამოკეცილი. ეს თავისუფლება დროსთან კავშირშია, სიკვდილი მის უკუგდებას იწვევს. ასეთი ადამიანის ბედი აბსურდულია.²³ აბსურდში ჩაფლული ყოფიერებისათვის ამბოხი ერთადერთი ხსნაა, თუმცა სარგრის და მისი გმირების ამბოხი დაფუძნებულია სასოწარკვეთილებაზე და არა იმედზე.

აბსურდი, რომელიც ადამიანსა და მის ცხოვრებას განაგებს - არის სწორედ ის საწყისი თემა, რაც ძირითადად აკავშირებდა და ერთმანეთისაგან აშორებდა სარგრისა და კამიუს შემოქმედებას. ალბერ კამიუს მოღვაწეობა საფრანგეთში ეგზისტენციალიზმის აღმოცენებისა და დამკვიდრების ხანას ეკუთვნის და მის შემოქმედებაში ამ მიმართულების ბევრი დებულების მხატვრულ ასახვას ვპოულობთ. სარგრისაგან განსხვავებით, რომელიც ადამიანსა და ცხოვრებას ამამრზვნად მიიჩნევს, კამიუ ინდივიდის სიღიადეს აღიარებს, რომელსაც არ ძალუძს კავშირი დაამყაროს მისდამი გულგრილ, თუმცა ამავდროულად მშვენიერ სამყაროსთან.²⁴ სწორედ ეს შეგრძნება კამიუს შემოქმედებაში არის მიზეზი აბსურდული შეგრძნების გამოწვევისა. თავად კამიუს ყოველთვის აღიზიანებდა ის, რომ მას ეგზისტენციალიზმს აკუთვნებდნენ. იგი აღნიშნავდა, რომ ფილოსოფოსი არ არის და არც ჰქონია როლისმე ამის პრეგენზია. “მე მხოლოდ იმაზე შემიძლია ვილაპარაკო, რაც განმიცდია... ინგუიტიურად თუ შეგრძნებით, ყოველდღიურობის უაზრობას ვგრძნობთ, ვგრძნობთ სიკვდილის გარდაუვალობას, ადამიანის მექანიზმად გადაქცევას”. კამიუს აზრით ეგზისტენციალისტები, აცნობიერებენ რა ადამიანის ბედის სასრულობას, მის ირაციონალურობას და იმას, რომ სამყარო მიუწვდომელია, მოგვიწოდებენ

²² გ. თევზაძე, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბილისი 2002, 455.

²³ С. Фокин, Альбер Камю. Роман. Философия. Жизнь, Санкт-Петербург 1999, 111.

²⁴ В. Ерофеев, В лабиринте проклятых вопросов, Мысли о Камю, Москва 1990, 290.

ვალდართ და ვცნოთ აბსურდი. ადამიანი, თუკი აბსურდს აღიარებს, მაშინ იგი მას ურიგდება. ეგზისტენციალისტების იმედი მხოლოდ თავის დამცირებაში გამოიხატება. მიწიერი არსებობის აბსურდულობა არწმუნებს მათ იწამონ გებუნებრივი რეალობა, ღმერთი. კამიუს აზრით კი ღმერთის იმედი მორჩილების ტოლფასია, რაც მისთვის მიუღებელია. კამიუსათვის აბსურდი არის ყოველგვარი მეტაფიზიკური იმედებისაგან, გრანსცენდენციისაგან დაცლილი ხედვა სამყაროსი. “მეტაფიზიკური უიმედობა”, ანუ ნათელი გაცნობიერება ყოფიერების უმაღლესი ღირებულებების არარსებობისა, უღევს საფუძვლად კამიუს აბსურდის კონცეფციას. ამგვარი ხედვა აბსურდისა შეიძლება ნიჰილისტურ ფილოსოფიასთანაც გავაიგივოთ.²⁵

რომანით “უცხო” (1942) იწყება კამიუს შემოქმედების პირველი ნახევარი, რომელსაც თავად მწერალი “აბსურდის ციკლს” უწოდებს. ლ. ანდრეევის შეხედულებით, სამყაროს “აბსურდულობასთან” დაკავშირებული აზრიდან გამომდინარე, კამიუ სპეკულაციური, მეტაფიზიკური გზით ცდილობდა თავისუფლების, სიკვდილის პრობლემების გადაჭრას. კამიუ განსაკუთრებით სამყაროს და საკუთარი თავის შეუცნობელობაზე ამახვილებს ყურადღებას. კამიუს თანახმად, აბსურდი განაგებს ადამიანსა და მის ცხოვრებას, მაგრამ იგი არც ადამიანშია და არც სამყაროში. აბსურდი და ადამიანური ყოფა ერთი და იგივეა. მის შემოქმედებაში აბსურდს ორი მნიშვნელობა აქვს: ერთი – ეს არის მდგომარეობა, აბსურდისინსტიტუციური შეგრძნება, ხოლო მეორე კი – ნათელი შეცნობა ამ მდგომარეობისა – აბსურდის ცნება.²⁶

გერმინი “აბსურდი” ჯერ კიდევ III საუკუნეში, კართაგენელი ღვთისმეტყველის, გერგულიანეს მიერ იქნა გამოყენებული, რომელიც ამბობდა:

²⁵ С. Фокин, Альбер Камю. Роман. Философия. Жизнь, Санкт-Петербург 1999, 121, 157.

²⁶ მ. ბაქრაძე, დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე), ლიტერატურის ისტორია, პოეტიკა, ურთიერთობანი, სიგყვის პოეტიკა და მზის სიმბოლიკა ა. კამიუს “უცხოში”, თბილისი 1988, 317.

“რწმენა შეიძლება მხოლოდ აბსურდისა, რასაც ხედავ იმას არ იწამებ” (Credo qua absurdum). აბსურდის მცნებას მოგვიანებით ბ. პასკალის და ს. კიერკეგორის ნაშრომებში ვხვდებით, შემდეგ კი ის თანამედროვე ფილოსოფოსთა და შემოქმედთა ნაწარმოებებში იმკვიდრებს ადგილს. აბსურდის თემის დამუშავებაში კამიუს უშუალო ლიგერატურულ წინამორბედად შეიძლება ა. მალრო ჩაითვალოს. ამ ფრანგი მწერლის საგოვანი შეფასების თანახმად, ლითონით ცივი ბატონობა აბსურდისა, რომელიც ევროპას გველივით შემოხვეხია – სიკეთისა და ბოროტების შემეცნების ხე, უფრო და უფრო ღრმად და მყარად იდგამს ფესვებს თანამედროვე ადამიანის ყოფიერებასა და ცნობიერებაში, იმორჩილებს რა მის გონებასა და ქცევებს. სიკვდილი, როგორც მთავარი განხორციელება აბსურდისა, დამაჯერებლობით ამტკიცებს, რომ მარადიული სამყარო წარმავალი ადამიანისაგან დამოუკიდებელია. მალროს აზრით, სიკვდილი მიწიერი ცხოვრების ფასეულობას სრულ აბსოლუტამდე მრდის. ადამიანი ვერ გაექცევა სიკვდილს, თუმცა მას შეუძლია თავი დააღწიოს აბსურდს ცხოვრებაში. გააცნობიერებს რა სიკვდილის გარდუვალობას, ის აგრძელებს ყოფას სიკვდილის წინააღმდეგ, ანუ აბსურდის წინააღმდეგ და ამით მის ცხოვრებას ეძლევა აზრი.²⁷ აბსურდის გაგებაში კამიუ მალროს მსოფლმხედველობასთან ახლოს დგას, თუმცა მისი ფილოსოფიური კონცეფცია უფრო რთულია. კამიუსთან “აბსურდი” ადამიანისა და სამყაროს შორის დამოკიდებულებაში გაიაზრება, სხვა დანარჩენი ეგზისტენციალისტები, პირველ რიგში კი სარტრი, აბსურდის მცნებას უფრო განაზოგადებენ.²⁸

ინდივიდის თავისუფლების საკითხი კამიუსთან სიკვდილის მცნებასთანაა კავშირში. მისთვის ყოველივე, სიკვდილის გარდა, არის თავისუფლება. სიკვდილის შიშისაგან განთავისუფლებული ადამიანი კი, რომელიც აღიარებს

²⁷ С. Фокин, Альбер Камю. Роман. Философия. Жизнь, Санкт-Петербург 1999, 130,131.

²⁸ შდრ.: P. Ginestier, Η ζωή και η σκέψη του Καμύ, μετάφρ. Αλέξ. Βέλιος, Αθήνα 1965, 71.

სიკვდილს და მის შედეგებს, ანუ ცხოვრების გრადიციული ღირებულებების მსხვერველს, მისთვის ჭეშმარიტად თავისუფალი ადამიანია.

ალბერ კამიუ ასევე აღიარებულია, როგორც “ამბოხის” თეორეტიკოსი. მისი “აბსურდული” მსოფლალქმის განვითარების პირველ ფაზაში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას, კამიუმ წამოაყენა ე. წ. ამბოხის კონცეფცია. აბსურდის ნიჰილისტური კონცეფციისაგან განსხვავებით, ამბოხის კონცეფცია მორალზეა დაფუძნებული. კამიუსათვის ამბოხი ადამიანის მეგაფიზიკურ დომინანტს წარმოადგენს, რომელიც ადამიანური ღირებულებებისა და ღირსებების დასაცავად პროტესტს გამოთქვამს ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ.²⁹ ეს არის ღმერთისა და ისტორიის აბსოლუტიზაციის წინააღმდეგ ადამიანის გალაშქრება. კამიუსათვის ამბოხი უარყოფილის მტკიცება, მისი აღიარებაა. ცოდნა, ამტკიცებს იგი, შესაძლებელია მხოლოდ შეცნობადის არსებობის შემთხვევაში აღმოცენდეს. აღმაშფოთებელ წესრიგს თუ მოვაშორებთ, აღშფოთებაც გაქრება და ამბოხიც აღარ იქნება. მისი აზრით, აბსურდული მდგომარეობა იმის აღიარებაა, რომ ყველაფერი უაზრობაა, რაც თავის თავად ამბოხია.³⁰

სარგრმა და კამიუმ, როგორც “თავისუფლებისა” და “ამბოხის” მომხრეებმა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ყურადღება მიიპყრეს, რომელიც მათ მიმართ დიდ სიმპატიას გამოხატავდა. ფრანგი მწერალი ანდრე მორუა კამიუს პოპულარობის შესახებ წერდა: “კამიუს სახელმოსხვეჭილობის, მისი ხმაურიანი წარმატების ახსნა საკმაოდ უცნაური საქმეა, კამიუ ხომ არც ახალი ბალზაკი და არც გოლსტოია. მისი ხელოვნება და იდეები არ წარმოადგენს რაღაც ჭეშმარიტად დიდს. თუმცა გავიხსენოთ, რომ “სიზიფოსის მითი” ომის წლებში იქნა გამოქვეყნებული – საქმე კი სწორედ ამაშია. პირველი მსოფლიო

²⁹ შდრ.: В. Ерофеев, В лабиринте проклятых вопросов, Мысли о Камю, Москва 1990, 308.

³⁰ შდრ.: Л. Г. Андреев, О современных декадентах, о литературно-художественных течениях XX века, Москва 1966, 130-131.

ომის დროს “იმედი”, “პროგრესი” აზრით სავსე სიციხეები იყო... მეორე მსოფლიო ომმა დაამსხვრია იმედები, კამიუ კი ამბობდა – სამყარო აბსურდულია, ეს გააყენებოდა და ვიყოს მამაცნი”.³¹

არსებობის აბსურდულობა ამოსავალი წერტილია ფრანც კაფკას შემოქმედებისთვისაც, რაც მას მეტად აახლოებს ფრანგი ეგზისტენციალისტების იდეოლოგიასთან. კაფკას ნაწარმოებებში გამოხატულია ადამიანის ეგზისტენციალური შეჭირვება, პრინციპული და პერმანენტული ხელმოცარულობა, მარგობა, სულიერი უთვისტომობა და სოციალური ატომიზმი. უკიდურესი სიმკვეთრითაა წარმოჩენილი ბურჟუაზიული ევროპის აგონია, სულიერ ღირებულებათა გაუფასურება და უსამღვრო ქაოსის, აბსურდისა და სასოწარკვეთილების წინაშე დგომა. კამიუს აზრით ფ. კაფკა, ისევე როგორც ს. კიერკეგორი და ლ. შესტოვი, “ეგზისტენციალისტი მოაზროვნეა”, რომლის ეგზისტენციალისტური მსოფლშეგრძნების სულიერ დომინანტს მისი აზრების ბებუნებრივი რეალობისაკენ მისწრაფება წარმოადგენს, რაც ადამიანს მიწიერი სამყაროს უიმედო ცხოვრების გვირგვინსაგან ანთავისუფლებს.³²

ეგზისტენციალიზმის ასეთი გავრცელება გამოიწვია მოაზროვნეთა მხრიდან ადამიანის ხვედრით განსაკუთრებულმა დაინტერესებამ იმ ეპოქაში, “როცა ინდივიდუალის და საზოგადოების ურთიერთობა ამკარად კრიზისულ სტადიაში შევიდა, როცა ადამიანს მოაკლდა მოქალაქეობრივი ინტერესები, როცა ადამიანი გამოეყო ყოველდღიურობას, პირად ემოციებს, სილამაზეს, სიყვარულსაც კი, სარგრისეული სიციხეები “ჯოჯოხეთი – ეს სხვებია” – გაისმა, როგორც ადამიანის შინაგანი თავისუფლების დამამტკიცებელი საბუთი, რეალურად არარსებული თავისუფლების და გოგალური გაუცხოების

³¹ Л. Г. Андреев, О современных декадентах, о литературно-художественных течениях XX века, Москва 1966, 137.

³² შდრ.: С. Фокин, Альбер Камю. Роман. Философия. Жизнь, Санкт-Петербург, 1999, 121.

პირობებში”.³³ შემზარავი, გაუცხოებული სამყარო და კონკრეტულად კი “გაუცხოებული ადამიანი – აი, თანამედროვე ბურჟუაზიული მხატვრული შემოქმედების მთავარი თემა. ხელოვანი კი სწორედ ის ადამიანია, რომელიც თავის გრძნობებსა და წარმოდგენებში საზოგადოების არსებით და გიჟიურ ნიშნებს ასახავს”.³⁴

ადამიანის “გაუცხოების” ფენომენი კაცობრიობის ისტორიის ჯერ კიდევ ადრეული ეპოქის სიღრმეებიდან იღებს სათავეს, რაც შემდგომში არაერთი ფილოსოფოსისა და შემოქმედის გააზრებისა და ინტერპრეტაციის საგნად იქცა. “გაუცხოება” მათ მიერ სხვადასხვა ასპექტში იქნა აღქმული და მისი არაერთი სახე გამოიკვეთა.

თავად გერმინი “გაუცხოება” 1935 წლამდე არც ერთ სოციოლოგიურ ლექსიკონსა და ენციკლოპედიაში არ გვხვდება, თუმცა ამრი მის შესახებ, ზოგჯერ სრულიად ნათლად გამოკვეთილი, ზოგჯერ კი გადაკვრით ჯერ კიდევ XIX ს. და XX ს. პირველი ათწლეულების კლასიკურ სოციოლოგიურ ნაშრომებში იქნა ჩამოყალიბებული. თუკი უფრო ღრმად მოვიძიებთ მის ფესვებს, ჩვ. წ.-ის III ს. ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის, პლოტინოსის ნაშრომებში, ასევე წმინდა ავგუსტინესა და ლუთერის თეოლოგიაშიც კი აღმოვაჩინებთ “გაუცხოების” ფენომენის საწყისებს.³⁵ თუმცა, მეცნიერთა ამრით, ყველაზე მეტად სარწმუნო წყარო, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ამრი “გაუცხოების” შესახებ, ჰეგელის ნაშრომებია. ჰეგელისათვის “გაუცხოება” ონტოლოგიურ მოვლენას წარმოადგენდა, ბუნების იმ განუყოფელ ნაწილს, რაც ადამიანის სამყაროში არსებობასთანაა დაკავშირებული. მის თანახმად, არსებობს ბუნებრივი გარჩევა ადამიანს, როგორც სუბიექტსა და ადამიანს, როგორც

³³ ი. ლოლობერიძე, ჟან ჟიროდუს ინტელექტუალური თეატრი, ესეები თანამედროვე საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე, თანამედროვე დასავლური დრამა, თბილისი 1989, 24.

³⁴ მ. კაკაბაძე, “ეგზისტენციური კრიზისის” პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია, თბილისი 1985, 9.

ობიექტს შორის, ანუ ადამიანს, როგორც შემოქმედ სუბიექტს, რომელიც ისწრაფვის, რომ იარსებოს და საკუთარი თავის რეალიზაცია მოახდინოს და ადამიანს, როგორც ობიექტს შორის, რომელიც სხვების მიერ გამოიყენება და მათი გავლენის ქვეშ ექცევა.³⁶

ჰეგელისაგან განსხვავებით, მარქსთან “გაუცხოება” კაპიტალისტური წყობის კლასობრივ-ანტაგონისტური საზოგადოების მახასიათებელი ობიექტური პროცესია, რომელიც შრომის ექსპლუატაციის ფაქტიდან გამომდინარეობს და გამოხატავს მშრომელი ადამიანის გათიშვას მის მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი ღირებულებებისაგან. მისი აზრით, ადამიანის ბუნებაში თავად არსებობს საკუთარი თავის შრომით რეალიზება, მაგრამ მისი ეს შესაძლებლობა ეკონომიკური სისტემის მიერ იქნა აკრძალული. მამასადამე, მთავარ პრობლემას კაპიტალისტურ წყობაში გაუცხოებული სამუშაო წარმოადგენს.³⁷

“გაუცხოებასთან” დაკავშირებული გარდა მარქსისტული ტრადიციული მოსაზრებისა, არსებობს კიდევ ერთი თეორია, რომელსაც ე. წ. “მასების საზოგადოების” (mass society) წარმომადგენლები აყალიბებდნენ. ისინი “გაუცხოებას” XIX ს. და XX ს. დასაწყისში ინდუსტრიალიზაციის შედეგად ტრადიციული საზოგადოების გაუჩინარებას უკავშირებენ. მათი აზრით, ადამიანი იზოლირებულია ისე, როგორც არასდროს – ანონიმური და უსახო იმ მასაში, რომელიც მას ბურჟუად აქცევს, იგი მოწყვეტილია ძველ ღირებულებებს და არც საგნების ახალი რაციონალისტური და ბიუროკრატიული წყობა სწამს.³⁸

ადამიანის “გაუცხოების” პრობლემით განსაკუთრებით ეგზისტენციალისტი მწერლები არიან დაინტერესებულნი. მათთვის “გაუცხოება” უფრო მეტად ადამიანის გარიყულობასთან და მარგობობასთანაა დაკავშირებული.

³⁵ შდრ.: Πάπυρος Larousse Britannica, τ. VII, Αλλοτριοίωσι, Αθήνα 1981, 59.

³⁶ Ibid.

³⁷ Ibid.

³⁸ Ibid., 60.

კრიტიკოსთა აზრით, ეგზისტენციალისტი მწერლების შემოქმედებაში ადამიანის “გაუცხოების” სამი ძირითადი სახე გამოიკვეთება: 1. ადამიანის ბუნებასთან გაუცხოება, რაც გულისხმობს ადამიანსა და ბუნებას შორის დისტანციის არსებობის შეგრძნებას. ასეთ შემთხვევაში ინდივიდუმი გრძნობს, რომ სამყარო არ არის ლოგიკურად მოწყობილი გარემო და იგი თავის თავს აღიქვამს, როგორც სამყაროში შემთხვევით გადასროლილს. 2. ადამიანი ასევე სხვა ადამიანებთან მიმართებაში გვევლინება “გაუცხოებული”. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუმი სხვების გვერდით ცხოვრობს, მას არ ძალუძს მათი შინაგანი გრძნობებისა და აზრების ამოკითხვა. იგი, თავისუფალი არჩევანიდან გამომდინარე, ახდენს დიფერენციაციას იმისა თუ რა არის მისთვის და სხვა ადამიანებისათვის მნიშვნელოვანი და აზრით სავსე სამყაროში. სწორედ ეს ინტერესთა სხვადასხვაობა იწვევს ადამიანთა შორის გაუცხოებას. 3. “გაუცხოების” მესამე ვარიანტი, რაც კონკრეტულად კამიუსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის აბსურდის თეორიის პრინციპიდან გამომდინარეობს, არის ადამიანის სამყაროსთან “გაუცხოება”. კამიუს აზრით იმ სამყაროში, სადაც სიკვდილი არსებობს, ყველა ადამიანი უცხოა. მაშასადამე სიკვდილის გარდაუვალობა, ის ფაქტი, რომ ადამიანს არ შეუძლია მარადიულად იარსებოს სამყაროში მას აქცევს “უცხოლ”. თავად სამყარო კი ინდიფერენტულია როგორც ადამიანის დაბადების, ასევე მისი სიკვდილის მიმართ.³⁹

მარტოობისათვის განწირული ადამიანის გრაგედის თემაზე მრავალი ევროპელი შემოქმედის ნაწარმოებია აგებული. აღსანიშნავია ფრანგული “აბსურდის თეატრის” ერთ-ერთი ინიციატორის, რომანისგისა და ესეისგის, სემუელ ბეკეტის შემოქმედებაც, რომელსაც შესანიშნავად აქვს გააზრებული თანამედროვე სამყაროში ადამიანური არსებობის კრიზისის პრობლემა. “ყველა

³⁹ შლრ.: P. E. Linda, Existential Literature, An Introduction, Existentialist Views on the Human

თავის თავშია ყრუდ გამოკეცილი და ერთმანეთის არ ესმით, ურთიერთობის დამყარების ნებისმიერი ცდა ამაოა”,⁴⁰ – აღნიშნავს იგი. სარგრისა და კამიუსათვის, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსისა თუ მწერლისათვის, ადამიანის “გაუცხოება” შეზღუდულ და იზოლირებულ სამყაროში, სადაც იგი თავს “უცხოვ” გრძნობს, ბუნებრივი მოვლენაა (აღსანიშნავია, რომ კამიუმ თავის ერთ-ერთ რომანს “უცხო” უწოდა). ისინი ადამიანის ეგზისტენციალური აღქმის მომენტზე ამახვილებენ ყურადღებას.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი დებულებები არის ის ძირითადი მახასიათებლები, რაც ზოგადად ეგზისტენციალისტურ ფილოსოფიასა და ეგზისტენციალისტურ ლიტერატურაში გამოიკვეთება. ევროპელი ეგზისტენციალისტი მწერლების საერთო განწყობიდან და მათი შეხედულებებიდან გამომდინარე შევეცდებით თანამედროვე ბერძნული პროზის წარმომადგენელთა ლიტერატურული ნაწარმოებები ეგზისტენციალიზმის ფარგლებში განვიხილოთ.

ნაწილი პირველი / თავი მეორე

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საბერძნეთი და ბერძნული ლიტერატურა

ბერძნულ ლიტერატურაში ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მოღვაწე მწერლების შემოქმედების ანალიზისათვის აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ ის ეპოქა და ისტორიული გარემო, რომელშიაც მათ მოუწიათ ცხოვრება და მოღვაწეობა.

Condition, Belmont 2000, 50.

⁴⁰ მ. ანთაძე, ელუარდ ოლბი: ეგზისტენციური ინტუიცია, თანამედროვე დასავლური დრამა, თბილისი 1989, 47.

აქ საუბარია მეორე მსოფლიო ომზე და მის შემდგომ პერიოდზე, იმ ეპოქაზე, რომელიც როგორც საბერძნეთში, ისე ევროპასა და საერთოდ მსოფლიოში დიდი პოლიტიკური ძვრებითა და ქარგებილებით აღინიშნა. მეორე მსოფლიო ომმა ადამიანთა სულებს და მათ ცხოვრებას, მთელი ევროპის მასშტაბით, ღრმა კვალი დააგყო. ისინი უსახურ და სისხლიან მასად აქცია. მათი ეროვნული თუ კულტურული ტრადიციები, საზოგადოებრივი და პიროვნული ნიშანთვისებები მიწასთან გაასწორა. მსოფლიო ომმა ადამიანურ არსებობაში დაგროვილი ბოროტება, ღვარძლი, ბოღმა და სიძულვილი გამოავლინა, გამოააშკარავა ჩვენი ცივილიზაციის სიყალბე. ადამიანებმა დაკარგეს ყოველგვარი იმედი, ისინი ყველგან დაღაგს და სიცარიელეს აწყდებოდნენ. ეს განწყობა აღნიშნული პერიოდის არაერთი ევროპელი ხელოვანის შემოქმედებაში იქნა ასახული. გამონაკლისი არც თანამედროვე ბერძნული ლიტერატურა იყო.

1940-50 წლები საბერძნეთისათვის დიდი ომებისა და მრავალი უბედურების მომგანი პერიოდი აღმოჩნდა. 1940 წლის 28 ოქტომბრის თავდასხმამ ბერძნულ ხასიათში მრავალი წლის განმავლობაში მიძინებული და თითქმის მივიწყებული მეზობლი სული, ეროვნული თვითგადარჩენის ინსტიქტი გამოაღვიძა. ეროვნულ ბრძოლას აღარ ჰქონდა ძველი თაობების თვითმპყრობელური ოცნებების რომანტიული ელფერი. ამჟამად ბრძოლის მოტივი უფრო მარტივი, ელემენტარული და პრიმიტიული იყო. ეს იყო ლიბერალური პათოსისა და შეურაცხყოფილი მამაკაცური ღირსების ერთობლივი გამოღვიძება, რამაც საფრთხის წინაშე აღმოჩენილი მთელი ერი ერთ მუშგად შეკრა. ყველა ბერძენი, მიუხედავად მისი იდეოლოგიური მრწამსისა, ერთ დიდ ჯგუფად გაერთიანდა საკუთარი სამშობლოს დასაცავად. თუმცა ეროვნული თვითშეგნების ამ საოცარმა ძალამ მხოლოდ ორწელიწად ნახევარი გასტანა, ომის გამოცხადებიდან 1943 წლამდე, რის შემდეგაც პირველად იჩენს თავს სხვადასხვა

პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის იდეოლოგიური განხეთქილება,⁴¹ რაც მოგვიანებით სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

საბერძნეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან მოყოლებული, ქვეყნის შიდა დაპირისპირებანი საბერძნეთის თანამედროვე პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე ღრმა კვალს ტოვებდა. პირველ მსოფლიო ომში საბერძნეთის მონაწილეობასთან დაკავშირებით მეფე კონსტანტინე I-სა და პრემიერმინისტრს ელეფთერიოს ვენიზელოსს შორის არსებულმა უთანხმოებამ ქვეყანა ეროვნული განხეთქილების ზღვარზე მიიყვანა (1915-1917), რაც შემდგომი არაერთი დაპირისპირების იმპულსად იქცა. მოგვიანებით, ბერძნულ საზოგადოებაში არსებულმა განხეთქილებამ სახე იცვალა და ევროპის სხვა ქვეყნებში არსებული პოლიტიკური დაპირისპირებების ნაკადს შეუერთდა, რამაც ხელი შეუწყო ბერძენი ხალხის ორ დიდ პოლიტიკურ ჯგუფად, მემარჯვენეებად და მემარცხენეებად ჩამოყალიბებას. მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის დაპირისპირება უკვე 1943 წლიდან შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა. 1944 წელს ათენში ეგვიპტიდან დევნილი საბერძნეთის მთავრობა დაბრუნდა, რომელმაც ვერ შეძლო აელაგმა თანამემამულეთა შორის გაღვივებული შუღლი. ინგლისის მონარქისგულმა პოლიტიკამ კი ძველი ჭრილობები გააღვიძა და 1944 წლის დეკემბრის თვეში ათენის ქუჩებში სამოქალაქო ომმა იფეთქა, რომელმაც მოგვიანებით, 1946-49 წლებში, საბერძნეთის მთებში გადაინაცვლა.

ათწლეულის დასასრულისათვის, სამოქალაქო ომის დროს, პოლიტიკური პოლარიზაცია ყველა საზღვარს გასცდა. 1947 წლიდან 1974 წლამდე კომუნისტური პარტია კანონს მიღმა რჩებოდა. არსებული წინააღმდეგობა გამარჯვებულ მემარჯვენეებსა და მემარცხენეთა შემორჩენილ ნაწილს შორის,

⁴¹ ამ სიტყვებით გადმოსცემს გ. თეოტოკასი იმ განწყობას, რაც საბერძნეთში ომისა და წინააღმდეგობის განმავლობაში სუფევდა. იხ. *περ. Πνευματική πορεία*, 1961, 118-9.

რომლებიც უარყოფდნენ მათი დამარცხების ფაქტს, ასახავს ცივი ომის განმავლობაში ევროპაში არსებულ გარემოებას.

საბერძნეთის სამოქალაქო ომი ცივი ომის პირველ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს. საბერძნეთის მთავრობა სამხედრო და ეკონომიკურ მხარდაჭერას პირველ რიგში დიდი ბრიტანეთიდან ღებულობდა, შემდგომში კი, 1947 წლიდან აშშ-დან. ბერძენი კომუნისტები კი მსგავს მხარდაჭერას საბჭოთა კავშირიდან და ჩრდილოეთელი მეზობლებისგან მოელოდნენ, რომელთა გავლენის ქვეშაც იყვნენ მოქცეულნი. 1949 წელს მემარჯვენეებმა დიდი მსხვერპლის საფასურად მოიპოვეს გამარჯვება. კომუნისტების დიდი ნაწილი ეგეოსის ზღვის კუნძულებზე განთავსებულ საკონცენტრაციო ბანაკებში იქნა გაგზავნილი, სადაც მთელი მომდევნო ათწლეულის განმავლობაში (1950-1960) პატიმრობაში იმყოფებოდა. მემარცხენეები და მათი თანამოაზრეები თავიანთ ოჯახებთან ერთად 60-იანი წლების დასაწყისამდე იღვენებოდნენ.

პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დევნას და რეპრესიებს უფრო მძაფრი სახე საბერძნეთში სამხედრო დიქტატურის დროს 1967-1974 წლებში მიეცა. ამ შვიდი წლის განმავლობაში პოლიტიკური დაპირისპირება ახალ ფაზაში შევიდა. სამხედრო სახელმწიფო წყობა ზოგადად მეგაქსას სახელმწიფო წყობის რიგორიკაზე იყო აგებული და იმ კანონების აღდგენას ისახავდა მიზნად, რომელთაც სამოქალაქო ომის დროს ჩაეყარა საფუძველი და მამარცხენე ოპოზიციის საქმიანობის არეალის შემზღუდვას ითვალისწინებდა. 1973 წლის ნოემბერში საბერძნეთში დიქტატურა დაემხო. ათენის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განვითარებულმა სისხლიანმა მოვლენებმა, საბერძნეთში დიქტატურის დამხობა დანაპირობა.

ასეთი იყო ის ისტორიულ-პოლიტიკური გარემო, რომელშიაც ყალიბდებოდნენ ომისშემდგომი პერიოდის მწერლები, რომლებიც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები, მეორე მსოფლიო ომის, “ეროვნული

წინააღმდეგობისა⁴² და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში აღმოჩნდნენ გახვეულნი. ახალგაზრდა შემოქმედები შეუძლებელი იყო გულგრილი დარჩენილიყვნენ იმ მწვავე ისტორიული პროცესების მიმართ, რაც ბერძენ ერს მასობრივი განადგურებისაკენ მიაქანებდა. განმათავისუფლებელი ბრძოლებისა და სამოქალაქო ომის დროს ბერძენთა ურთიერთქვლევის ამსახველი ეპიზოდები ნათლად იქნა ასახული მათ შემოქმედებაში. ცხადია, აღნიშნულ პერიოდში საბერძნეთში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მათი მსოფლმხედველობის, იდეოლოგიური მრწამსისა და შემოქმედებითი ხედვის ჩამოყალიბებაზე.

საინტერესოა, ამ ისტორიულ-პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე, რა ძირითადი ტენდენციები იკვეთება ბერძნულ მწერლობაში. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ გამოვიყოფთ აღნიშნული პერიოდის ბერძენ შემოქმედთა მოღვაწეობის ზოგიერთ ასპექტს.

XX საუკუნის ბერძნული ლიტერატურა სხვადასხვა თაობის შემოქმედთა შესანიშნავი ნაწარმოებების სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. თითოეულმა თაობამ ახალი მიმართულებებითა და სალიტერატურო გზების ძიებით, გარკვეულწილად, საკუთარი წვლილი შეიტანა ახალი ბერძნული ლიტერატურის განვითარების პროცესში. ასე მაგალითად, 30-იანი წლების თაობა ნეოელინიზმის თვითშემეცნების პრობლემებით იყო დაკავებული. ამასთანაა დაკავშირებული ელინიზმის ფესვების ძიების საკითხი და ომებს შორის პერიოდის იდეოლოგიური უმოქმედობა, რაც, ნაწილობრივ, მცირე აზიის კატასტროფისა და “დიდი იდეის” წარუმატებლობის შედეგი იყო. ამას მოსდევს ომის შემდგომი პერიოდის შემოქმედთა პირველი თაობა, რომელიც 40-50-იან წლებში გამოდის სამწერლო ასპარეზზე და უკეთესი მომავლის, ომის შედეგად

⁴² Εθνική Αντίσταση – ბერძნულად ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას ნიშნავს, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანულ და იტალიელ დამპყრობელთა წინააღმდეგ იყო მიმართული.

განადგურებული ქვეყნის აყვავების მოლოდინში, საბოლოოდ იმედგაცრუებული რჩება.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მწერალთა უმეტესი ნაწილი თავდაპირველად 30-ინელთა ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, თუმცა მთლიანობაში ახალგაზრდა პროზაიკოსები განსხვავებულ მიმართულებას იღებენ. ისინი, ძირითადად, თანამედროვე ცხოვრების პრობლემებით ინტერესდებიან და ცდილობენ თავი დააღწიონ თხრობის ტრადიციულ ფორმებს და ყოფითი სცენების აღწერის ძველ სტილს. აღსანიშნავია, რომ რომანის განვითარების ახალი მიმართულებანი, რასაც დასავლეთში ჰქონდა ფეხი მოკიდებული, ამ თაობის თითქმის არც ერთ ბერძენ მწერალთან არ შეინიშნება. თუმცა ის ძირითადი მახასიათებელი, რაც ომის შემდგომი პერიოდის პროზაში გამოიკვეთება და რაც მას 30-იანი წლების მწერლობისაგან განასხვავებს, არის ლიტერატურის მძაფრი პოლიტიზირება.

მეორე მსოფლიო ომის გამანადგურებელმა შედეგებმა მკვეთრი გავლენა იქონია ომისშემდგომი პერიოდის ბერძნული ლიტერატურის ჩამოყალიბებაზე. ამ ეპოქის შემოქმედთა ინტერესი ძირითადად მიპყრობილი იყო ომის შედეგებისა და მისგან მიყენებული ტრამვების აღწერაზე. ომისა და “ეროვნული წინააღმდეგობის” თემა მრავალი მწერლის შემოქმედებისათვის მეგად მნიშვნელოვან და აქტუალურ მასალას წარმოადგენდა. ისინი მეგად საინტერესო და გულის ამაჩუყებელ ნაწარმოებებს ქმნიან, სადაც ომის შემამოთებელი ეპიზოდებია ასახული. ამ პერიოდში შექმნილი ნაწარმოებიდან შეიძლება გამოვყოთ ლ. აკრიტასის “იარაღასხმულნი” (1947), გ. თეოტოკასის “წმინდა გზა” (1950) და სხვ.

იმ დროს, როცა საბერძნეთში დამპყრობლური ძალების, განსაკუთრებით კი ნაცისტური ხელისუფლების ცენზურა მეგად ძლიერი იყო, ომის თემაზე შექმნილი წიგნების თავისუფლად გამოცემა ვერ ხერხდებოდა. ნაწარმოებები,

რომლის გამოცემაც შესაძლებელი იყო, ძირითადად გარდასული წლების თემატიკაზე იყო შექმნილი ან სოციალურ პრობლემებს ასახავდა. ასე მაგალითად, 1943 წელს გამოდის ი. ვენეზისის “ეოლიის მიწა”, სადაც მწერალი მცირე აზიის სანაპიროებზე ბავშვობაში გატარებულ წლებს იხსენებს. ასევე აღსანიშნავია ნ. კაზანძაკისის რომანი “ალექსი ზორბას ცხოვრება და მოღვაწეობა” (1945), რომელიც უფრო ფილოსოფიური რომანის ქანრს შეიძლება მივაკუთნოთ. ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ იწყება იმ ნაწარმოებების გამოცემა (ძირითადად ეს იყო მოთხრობები), სადაც აღწერილია ომის კომმარული სცენები და “ეროვნული წინააღმდეგობის” საგმირო საქმეები. ამ პერიოდში გამოიკვეთა ე. წ. “წინააღმდეგობის ლიგერატურა”, რაც ხალხის შეიარაღებული წინააღმდეგობის პარალელურად, ლიგერატურული საშუალებებით გამოხატულ წინააღმდეგობას გულისხმობდა. თუმცა ეს ნაკლებად შეიძლება ითქვას პროზაზე. ამ დროს პოემის როლი, უფრო აქტიური იყო.

1967 წლის 21 აპრილს საბერძნეთში განხორციელებულმა სახელმწიფო გადაგრილებაზე ბერძნული მწერლობის განვითარების პროცესები საგრძნობლად შეანელა. დიქტატურის პირველ წლებში ცენზურა იმდენად გამკაცრდა, რომ შემოქმედთა დიდმა ნაწილმა უარი თქვა თავიანთი ნაწარმოებების საბერძნეთში გამოცემაზე და საზღვარგარეთ გაემგზავრა. საბერძნეთში დარჩენილი სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის მწერლები ერთ ჯგუფად გაერთიანდნენ, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ იმ სახელმწიფო წყობისათვის, რომელსაც ისინი “ვულგარულს” და “მჩაგვრელურს” უწოდებდნენ. 1970 წელს, მათ გადაწყვიტეს გამოეცათ კრებული სათაურით “თვრამეგი ტექსტი”, რომლის ერთ-ერთ თავში “პროტესტები” ისინი სახელმწიფო წყობისა და ცენზურის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ამგვარი აქციის გამო ზოგიერთი მათგანი მთავრობის მიერ იქნა დაპატიმრებული. მომდევნო

წელს, სახელოვანი ბერძენი პოეტის, გეორგიოს სეფერისის დაკრძალვის ცერემონია მოულოდნელად სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ მასობრივ და მშვიდობიან სახალხო გამოსვლად გადაიქცა. ორი წლის შემდეგ კი მსგავსი გამოსვლა უზარმაზარი მსხვერპლითა და სავალალო შედეგებით დასრულდა.⁴³

წინამორბედი თაობის მწერლებისაგან განსხვავებით, ერთადერთ სიახლედ, რომელიც ამ თაობის მწერლებმა შემოიგანეს ბერძნულ პროზაში, წერის ტექნიკის თვალსაზრისით, შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მათ ნაწარმოებებში მთხრობელი აღარ რჩება სიუჟეტში მიმდინარე მოვლენების მიღმა, იგი აქტიურად ერთვება მასში და თავად ხდება მოვლენების მონაწილე. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვყოთ რ. პრეველენგიოსის რომანი “ჯვაროსნული ომის ქრონიკა” (1945-58), ა. კოძიასის “ალყა” (1953), ნ. კასდაღლისის “დოლაბის კბილები” და სხვ. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ომის შემდგომი პერიოდის პირველი თაობის პროზაული ნაწარმოებების შექმნაში დიდი წვლილი მწერალ ქალებს მიუძღვით. ესენი იყვნენ ე. ვლამი (1910), გ. გრიცი-მილექსი (1920), მ. კრანაკი (1922), მ. ლიმბერაკი (1919), გ. სარანდი (1919). შეიძლება ითქვას, რომ მათ შემოქმედებაში უფრო მძაფრად შეიგრძნობა ეპოქის დრამატული მოვლენები, განსაკუთრებით კი ძმათა სისხლისმღვრელი ომის მიერ მიყენებული ჭრილობების გვიფილი.

ომისშემდგომი პერიოდის პირველ ათწლეულებში მოღვაწე მწერლები მებრძოლი ხასიათით გამოირჩეოდნენ, თუმცა მათ არ ჰქონდათ წინამორბედი თაობისათვის დამახასიათებელი პროგრესულობისაკენ სწრაფვის ტენდენცია.⁴⁴ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კლიმატი და უხეში იდეოლოგია ამ პერიოდის მწერლების შემოქმედებაზე ღრმა კვალს ტოვებდა. მათი

⁴³ 1973 წლის ნოემბერი, დიქტატურის ეპოქაში ათენის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განვითარებული სისხლიანი მოვლენები.

⁴⁴ შდრ.: Δ. Τζιόβαζ, Η πεζογραφία του Δ. Χατζή, ἰδεολογία και αισθητική λειτουργία, Ἰωάννινα 1980, 5.

შემოქმედებითი უნარი წინააღმდეგობრობაში მოდიოდა მათივე პოლიტიკურ მრწამსთან. ერის გაორებამ, ბუნებრივია, დადი დაასვა ლიგერატურასაც და მწერლებიც ორ ბანაკად – მემარჯვენეებად და მემარცხენეებად დაიყვნენ. ამან გამოიწვია ის, რომ მწერლების ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნა მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გედმიწევნით აღწერაზე, რის გამოც მათ თითქმის აღარ რჩებოდათ დრო მწერლობაში ახალი ფორმებისა თუ რამე ნოვატორულის ძიებისათვის. ომისშემდგომი პერიოდის პირველი თაობა, ერთი მხრივ ეროვნული ტრადიციების აღდგენის (რ. პროველენგიოსი, დ. ფრანგულოსი, ა. კოძიასი და სხვ. მემარჯვენეები), მეორე მხრივ კი, სოციალისტური ცვლილებების ოცნებით შეპყრობილი (კ. კოძიასი, დ. ხაძისი, ა. ფრანგიასი და სხვ. (მემარცხენეები), ერთმანეთს დევნის და ქელავს. “უფრო კონკრეტულად, ის რაც უმეტესწილად გამოარჩევს მთელი ჩვენი ახალი თაობის მწერლებს არის “კონსერვატულობა” წერის ტექნიკაში, ანტიპათია ფორმების ძიების ყველანაირი სახის ექსპერიმენტისადმი. ჩვენი ახალგაზრდები ამ მხრივ ნაკლებ “გაბედულნი” არიან 30-40-იანი წლების მწერლებთან შედარებით”,⁴⁵ – აღნიშნავს ბერძენი კრიტიკოსი ვ. ვარიკასი.

დაახლოებით 1960 წლამდე არც ერთ რომანისგა თუ ნოველისგა არანაირი მცდელობა არ ჰქონია ახალ ბერძნულ ლიგერატურაში, თემატიკის თვალსაზრისით, რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე ან ახალი მხატვრული ფორმები შემოეგანა. ისინი, ძირითადად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ახალგაზრდა მწერლები იყვნენ, რომლებმაც მათი წინამორბედების მსგავსად სამამულო და სამოქალაქო ომის დასრულებისთანავე განაგრძეს ან უბრალოდ განაახლეს ომებს შორის პერიოდის რეალისტური წერის ძირითადი მანერები, მათვე განსაზღვრეს შემდგომი ათწლეულის მწერლების შემოქმედებაც.

⁴⁵ Β. Βαρίκας, Συγγραφείς και κείμενα, Α', 1961-65, Αθήνα 1975, 316.

უკვე 1960 წლიდან დასაბამი მიეცა თვისობრივად განსხვავებულ ლიტერატურას. ეს იყო თანამედროვე ბერძნულ საზოგადოებაში მიმდინარე იმ ცვლილებების გამოძახილი, რაც ძირითადად ბურჟუაზიული საზოგადოების ჩამოყალიბებასთან, ემიგრაციის მკვეთრ ზრდასთან, ტექნოლოგიის შემოჭრასა და პარალელურად პოლიტიკური მგდომარეობის გამძაფრებასთან იყო დაკავშირებული. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ ხელი შეუწყო მწერლობაში ახალი შეხედულებების ჩამოყალიბებას. 60-იანი წლების პირველსავე ნახევარში ყოფით თემაზე შექმნილ რომანებსა და მოთხრობებში ახალი პერსპექტივები ჩნდება. ცენტრალური ფიგურა კვლავ ქალაქში მაცხოვრებელი ადამიანია, თუმცა წარმომავლობით იგი უკვე აღარ ეკუთვნის ტრადიციულ გლეხურ საზოგადოებას, არამედ პაგარა თუ დიდი ქალაქის ბურჟუაზიული საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია. ამ კუთხით საინტერესოა კ. ტახცისის, გ. იოანუს, მ. კუმანდარეასის, დ. ხაძისის შემოქმედება, რომელთა ნაწარმოებების თემატიკას ბურჟუაზიული მიკროსამყაროს რეალური სურათების ასახვა წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ 60-იანი წლების შემდეგ მწერლები ძირითადად 40-50 წლების მოვლენების სულიერი მხარეების გაშუქებით არიან დაკავებულნი და არა მათი ისტორიული მიმოხილვით. განსხვავებული მიდგომა წარსულსა და ტრადიციებისადმი მეტად მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ამგვარმა ხედვამ მათ უფრო მეტი გასაქანი მისცა სამწერლობო მოღვაწეობაში. პარალელურად, ომისშემდგომი პერიოდის პირველი ათწლეულებისაგან განსხვავებით, ყალიბდება მეტი ოპტიმიზმითა და თვითრწმენის შეგრძნებით გაჯერებული ატმოსფერო. აღსანიშნავია გ. გრიცი-მილექისა და ს. ცირკასის შემოქმედება, რომელიც არც თუ ისე შორეული ისტორიის ანალიზისას, ახალი მხატვრული ფორმების ძიების თვალსაზრისით, ექსპერიმენტალურია. ასევე საინტერესოა

ადგილობრივი ბურჟუაზიული სამოგადოების წარმოჩენის მათთვის დამახასიათებელი სტილი, რაც საკმაოდ სცდება “ყოფითი ქანრის” ტრადიციას.

ამავე პერიოდში, ბურჟუაზიული სამყაროს ყოველდღიური, რეალური მოვლენების აღწერისას, ბერძენი პროზაიკოსები ახალ ფორმებს მიმართავენ, რაც სიუჟეტში მითისა და ფანტაზიის შემოჭრით აიხსნება. ასე, მაგალითად, ვ. ვარილაკოსი თავის “ტრილოგიაში” (“ფოთოლი”, “ჭა”, “სიკვდილის წინა აგონია”) მისი გმირების ყოველდღიურ, აუტანელ რეალურ სამყაროს მითებისა და ფანტაზიების სამყაროში აშუქებს. რეალური მოვლენების მითოპოეტურმა ასახვამ სხვა შემოქმედთა ნაწარმოებებშიც დაიმკვიდრა ადგილი. ამ კუთხით აღსანიშნავია ა. სამარაკისის შემოქმედება. ასევე საინტერესოა ს. პლასკოვიცისის რომანი “კაშხალი” (1960), სადაც ფანტასტიკურ სიუჟეტზე დაყრდნობით, გამოხატულია ადამიანთა ის ფსიქოზური განწყობა, რაც, ზოგიერთი ბერძენი კრიტიკოსის აზრით, ტექნოლოგიური პროგრესისადმი შიშთანაა დაკავშირებული.⁴⁶

საგულისხმოა, რომ ამ პერიოდის შემოქმედთა ნაწარმოებებში ეპოქის ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებთან დაკავშირებით დიდი აღგაცემა არ შეინიშნება. პირიქით (თუმცა ეს არც თუ ისე მკაფიოდ შეიგრძნობა), შეინიშნება სკეპტიციზმი ეპოქაში მიმდინარე ნებისმიერი სიახლის მიმართ. ისინი ახალი ეპოქის მიერ მოგანილ კეთილდღეობას ეჭვის თვალთ უყურებენ. თეოგოკასი, რომელიც 1929 წელს თავისი საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალულ მანიფესტში “თავისუფალი სული” ბერძნული ლიბერაგურის დასავლური მოდელისაკენ მიმართვას მოუწოდებს, 1966 წელს დიდ სიფრთხილეს იჩენს დასავლური სამყაროს რაციონალური და ტექნოკრატიული ღირებულებების მიმართ, რასაც უკვე საბერძნეთშიც კარგა ხანია ფეხი ჰქონდა მოკიდებული. ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც უეჭველი გავლენა იქონია ამ პერიოდის ბერძნული

⁴⁶ M. Vitti, *Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Αθήνα 1987, 441.

პროზის განვითარებაზე იყო 50-იანი წლების ფრანგული “ახალი რომანი” (nouveau roman), რაც კრიტიკულად მიუღვა წერის ტექნიკასა და სიუჟეტის ტრადიციულ ფორმებს. ანტი-რეალისტური პროზა, რომელიც საბერძნეთში 60-იან წლებში განიცდის აყვავებას, უმეტესწილად 30-იანი წლების ბერძნული პროზის ექსპერიმენტების გაგრძელებას წარმოადგენს. ზოგიერთი მწერალი, რომელიც აღნიშნულ ათწლეულში აქვეყნებდა ნაწარმოებებს, თავიანთ ნაშრომებს პოსტმოდერნისტულს (μετα-μοντέρνο)⁴⁷ უწოდებდა.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული მწერლები ის შემოქმედები არიან, რომელთაც, 60-იანი წლების შემდეგ, წერის ტექნიკისა თუ თემატიკის თვალსაზრისით, პროგრესული ნაბიჯები გადადგეს. 1967 წლამდე ბერძნულ პროზაში მრავალი ცვლილება აღინიშნება. შემდგომი წინსვლის ინიციატივა მწერლების ახალ თაობას ეკუთვნის. მათ განამტკიცეს ბერძნული ლიტერატურული ტრადიციები და თავადაც მყარად გაიდგეს ფესვები იმ საპირკველში, რომელსაც 1974 წლამდე ბერძენი მწერლების ნიჭიერებისა და ავტორიტეტის წყალობით ჩაეყარა საფუძველი.

ნაწილი პირველი / თავი მესამე

ეგზისტენციალიზმი და XX საუკუნის ბერძნული ლიტერატურა

აღამიანის გაუცხოების, მისი მარტოობისა და საერთოდ, თანამედროვე სამყაროში აღამიანის არსებობის საკითხებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებით ეგზისტენციალისტი მწერლები არიან დაინტერესებულნი. ჩვენ პირველ თავში მიმოვიხილეთ ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის ლიტერატურაში დამკვიდრების პროცესები. მართალია ეს ლიტერატურული

⁴⁷ აღსანიშნავია, რომ ეს გერმინი საბერძნეთში დაახლოებით 1980 წლამდე ოფიციალურად არ იყო მიღებული; მღრ.: R. Beaton, *Εισαγωγή στη νεοελληνική λογοτεχνία*, Αθήνα 1996, 322.

მიმდინარეობა ძირითადად საფრანგეთთანაა დაკავშირებული, მაგრამ საგულისხმოა, რომ მან საკმაოდ სწრაფად ჰპოვა გავრცელება ევროპის დანარჩენ ქვეყნებშიც და არაერთი მწერალის თუ პოეტის შემოქმედებაში აისახა. გამონაკლისი არც თანამედროვე ბერძნული ლიტერატურა იყო. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და მის შემდეგ საბერძნეთში მიმდინარე მოვლენებმა, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ბერძნულ ლიტერატურაში ეგზისტენციალიზმის გავრცელების პროცესს.

ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორი იყო ეგზისტენციალიზმის გრანსფორმაციის გზა თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაში. მოცემულ თავში ნაკლებად შევჩერდებით ცალკეული მწერლების ნაწარმოებებზე, მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბერძნული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ეგზისტენციალისტურ ტენდენციას გამოვყოფთ.

აღსანიშნავია, რომ ეგზისტენციალიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას, ბერძენი კრიტიკოსები უმეტესწილად ომის შემდგომი პერიოდის პოეზიისათვის დამახასიათებელ მიმართულებად მიიჩნევენ. ისინი თვლიან, რომ აღნიშნული თაობის ბერძენი პოეტები თანამედროვე სამყაროში დისჰარმონიას გრძნობდნენ, რაც მათში გრაფიკულობის შეგრძნებას იწვევდა. ისინი სამყაროში თავს უცხოდ გრძნობდნენ. “პიროვნებასა და სამყაროს შორის დისჰარმონიის არსებობა ქმნის ანტიგმირს, რაც ეგზისტენციური და ისტორიული გამოუვალი მდგომარეობის შეგრძნების მაგარებელია”,⁴⁸ – აღნიშნავს დ. ცაკონასი.

50-იან წლებში, ზოგიერთი კრიტიკოსი, გ. სინოპულოსის (1917) შემოქმედებას ეგზისტენციალურ მიმდინარეობას უკავშირებდა. მისი პოეზია დრამატული განწყობით გამოირჩევა. ერთ-ერთი ლექსიც, რომლის სათაურია “აბსურდის შესახებ”, ფრანგული ეგზისტენციალიზმის ძირითადი დებულებებით

არის გაჯერებული. საინტერესოა ასევე პოეტი კ. ათანასულისის (1919) შემოქმედება. იგი თავისი მოღვაწეობის პირველ ფაზაში, თითქმის ყველა ნაწარმოებში, თანამედროვე ეპოქის მღელვარებას ასახავს. პოეტი მწვავედ განიცდის თანამედროვეობის უდაბნოში უსასრულო ხეგიალს, საუკუნის ბოროტების სამსახურში ყოფნას, მისთვის მგანჯველია უშედეგო მოლოდინი, უნაყოფო თესვა. ამ შემოქმედის იდეოლოგიურ მომწიფებაზე დიდი გავლენა იქონია რ. მ. რილკემ, რის შემდეგაც ბერძენი პოეტი მეტაფიზიკას უახლოვდება, არა იმიტომ, რომ ზურგი შეაქციოს გარე სამყაროს, არამედ იმისათვის, რომ მას არსებობის აღქმის ახალი თვალთ შეხედოს. აღსანიშნავია აგრეთვე მ. დიმაკისის (1915) შემოქმედება. პოეტი აცნობიერებს, რომ მარტოობა ჩვენი ეპოქის ავადმყოფობაა, თუმცა ის არის ერთადერთი ადგილი, სადაც ადამიანი თავს თავისუფლად გრძნობს. დიმაკისისათვის მარტოობა არ არის სიცოცხლე, ის სიკვდილის გოლფასია. პოეტი ადამიანის სულის ბნელ და მიუწვდენელ სივრცეებს იკვლევს, რათა კომმარული სამყაროს სურათი დაგვიხატოს.

გ. კოცირასი (1921) ბერძნული ეგზისტენციალისტური პოემის ერთ-ერთი ძირითადი ფიგურაა. მისთვის კამიუს გმირი სიზიფოსი საოცარი მეორე ადამიანია, რომელიც თანაარსებობს ჩვენში. ენერგიული, მეამბოხე, რომელიც თამამად იბრძვის უმოწყალო ბედის წინააღმდეგ. სიზიფოსი, როგორც ჩანს, შეეგუა თავის ბედს, რაც სიკვდილთან უსასრულო ბრძოლაა, რაც არ არის სიკვდილი, არამედ მგანჯველი შრომაა. ჩვენი მეორე “მე” კი გაოცებულია მისი შეუპოვრობით. ეგზისტენციალისტური გენდენციები ასევე დამახასიათებელია ნ. კარუმოს (1926), დ. პაპაზიცასის (1922), მ. სახტურისის და სხვა პოეტების შემოქმედებისათვის.

ზემოთ დასახელებულ პოეტებთან ერთად აუცილებელია აღვნიშნოთ ამავე ეპოქის თესალონიკის “ლიტერატურული სკოლა”, რომელსაც ღრმა

⁴⁸ შღრ.: Δ. Τσακωνάς, Επίτομη ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας, πρώτη μεταπολεμική γεννιά,

ფილოსოფიურობა და შთამბეჭდავი პოეტურობა ახასიათებს. ამ “სკოლაში” გაერთიანებული შემოქმედები დაკავებულნი იყვნენ მეტაფიზიკური პრობლემებით, რაც მათ სხვა ბერძნული სალიტერატურო სკოლების წარმომადგენლებისაგან გამოარჩევდა. ამ ქალაქშივე იბადება მისწრაფება ფსიქონალიზმისადმი, რაც ეგზისტენციურ ფილოსოფიასთან ერთად “შინაგანი მონოლოგის”⁴⁹ ლიტერატურას აძლიერებდა. ამ “სკოლის” წარმომადგენლები ცდილობდნენ თავიანთი ხელოვნებით, სარგრის კონცეფციის თანახმად დაემტკიცებინათ, რომ სხვა ადამიანები ჩვენთვის ჯოჯოხეთს წარმოადგენენ ან ის, რომ ჯოჯოხეთი თავად არსებობს ჩვენში (ჯოისი). თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საქმე ომებს შორის პერიოდის თაობის ლიტერატურულ სიახლეს ეხება, რაც საზოგადოებრივი ინტერესებისგან დაცლილია და გაჯერებულია არა სოციალური, არამედ ადამიანის არსებობის პრობლემით.

შეიძლება ითქვას, რომ 1940-იანი წლებიდან არა მარტო ბერძენი პოეტების, არამედ პროზაიკოსების შემოქმედებაშიც მკაფიოდ იკვეთება ეგზისტენციალისტური ტენდენციები. ზოგიერთი კრიტიკოსი აქაც გამოჰყოფს რამდენიმე მწერლის შემოქმედებას და მათ ეგზისტენციალისტური ლიტერატურის ჩარჩოებში განიხილავს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული თაობის ბერძნული ლიტერატურის წარმომადგენელთა შემოქმედების ძირითად თემას საომარი მოქმედებები და პოლიტიკური ბრძოლა, “ეროვნული წინააღმდეგობის” მოძრაობა, საკონცენგრაციო ბანაკი, პატიმრობა და გადასახლება, მშვიდობა და ადაპტაციის პრობლემები, მარცხის შედეგების

Αθήνα 1999, 533.

⁴⁹ თესალონიკის “სალიტერატურო სკოლაში” ე. წ. “შინაგანი მონოლოგის” ლიტერატურა ჩამოაყალიბა. “შინაგანი მონოლოგის” წარმომადგენლები (ქსეფლუდასი, პენტიკისი, დელიოსი, ღიანოპულოსი და სხვ.) თავდაპირველად თავს იყრიან ჟურნალში “მაკედონიის დღეები”. შემდგომში ჟურნალში «Κοχλίας» გადაინაცვლებენ. აღსანიშნავია, რომ ამავე ჟურნალში იბეჭდება დასავლეთელი ეგზისტენციალისტების, სიმბოლისტებისა და სურეალისტების ნაწარმოებთა თარგმანები.

გადმოცემა, პოლიტიკური პაექრობა, არჩევანის უფლების უქონლობა და ნიჰილიზმი წარმოადგენს.

ბერძენი მწერალი ა. სამარაკისი, რომლის იდეოლოგიურ ჩამოყალიბებაზეც დიდი გავლენა იქონია ფ. კაფკამ, თავის პროზაულ ნაწარმოებებში ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემდგომი, იმ აბსურდული სამყაროს ჭეშმარიტ სურათს გვიხატავს, სადაც ცხოვრება უხდებათ ადამიანებს. მისი გმირები იმედგაცრუებულნი არიან, ვერ პოულობენ რა გამოსავალს ამ სამყაროში. თუმცა მიუხედავად იმედგაცრუებისა, ისინი არ ნებდებიან და ბრძოლაში იწვევენ მას: *უარვეყოფ ამ აბსურდულ სამყაროს და, ამასთანავე, უარვეყოფ სიკვდილს...* – აცხადებს ერთ-ერთი გმირი მოთხრობისა “უარვეყოფ”. მ. ლიმბერაკისის (1919) რეალისტური წერის მანერის იმპრესიონიზმისაკენ შეგრილების მიზეზებს სარგრის, კამიუს, ბოვუარის შემოქმედებაში თუ მოვიძიებთ. “სარგრისა და ლიმბერაკის პერსონაჟები არ არიან გმირები, რომლებიც მხოლოდ სამყაროს წინაშე ილაშქრებენ. ისინი ანტი-გმირები არიან, რომლებიც სამყაროსთან ერთად საკუთარ თავსაც ეწინააღმდეგებიან”,⁵⁰ – აღნიშნავს დ. ცაკონასი.

აღნიშნული ეპოქის ბერძენ მოაზროვნეთა შორის, რომელთა შემოქმედებაზეც დიდი გავლენა იქონია ეგზისტენციალური ფილოსოფიისა და ლიბერალური წარმომადგენლებმა, ძირითადად სარგრმა, კამიუმ, კაფკამ, რილკემ, აღსანიშნავია დ. სარანდი (1920), რომელიც თავის მოთხრობებში, ნოველებსა თუ რომანებში ადამიანის შინაგან, სულიერებისა და ცნობიერების სამყაროს აშუქებს. “მის წიგნში “გახსოვდეს ვილნა” (1972) იკვეთება მწუხარება, მელანქოლიური განწყობა, სკეპტიკური მიდგომა ადამიანის ბედნიერებისადმი. მისი პერსონაჟების უმეტესი ნაწილი მარგოსული ადამიანები არიან - ან არსებები, რომლებიც ადამიანების გარემოცვაში

ცხოვრობენ და მაინც მძაფრი მარგობის შეგრძნება ეუფლებათ. მათ არ აქვთ სხვებთან ურთიერთობის და მამასადამე ბედნიერების ხშირი შესაძლებლობა. ამ ადამიანებს საკუთარი შინაგანი სამყარო გააჩნიათ, მაგრამ მათ ყოველთვის რაღაც აკლიათ: სულში სიცარიელეს გრძნობენ”.⁵¹ არანაკლებ საინტერესოა მისივე რომანი “საზღვრები”, რომელშიაც ჩვენი აზრით მკაფიოდ გამოსჭვივის ეგზისტენციალური პრობლემატიკა.

გ. ხაძიანაღნოსტუ (1923), ბერძნული ეგზისტენციალისტური პროზის კიდევ ერთი წარმომადგენელია. მისი რომანი “ცხოვრება” სხვა არაფერია, თუ არა მწუხარებითა და ნოსტალგიით აღსავსე უიმედობის ქრონიკა. მისი პერსონაჟები აღიარებენ, რომ ისინი შეცდნენ, ვინაიდან ეგონათ, რომ ამაღლებული და დიდებული საქმეებისთვის იყვენენ შექმნილნი. ახლა კი იმედგაცრუებულნი არიან, რადგან გააცნობიერეს, რომ თვითგადარჩენისათვის სხვა არაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ შეეგუონ ყოველდღიურობას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სულმდაბლობითა და ვულგარულობითაა გაქვნილი. დაკარგული იმედებისა და ამოიძიების, მწუხარებისა და იმედგაცრუების სამყაროში არსებობენ გ. ხაძიანაღნოსტუს რომანის გმირები. ისინი მორჩილი, დამარცხებული და წარუმატებელი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებიან, რასაც ქვეცნობიერად თავადვე აღიარებენ.

ს. ვავურისის (1925) ლიგერატურულ ნაწარმოებებსაც ტრაგიკული ელფერი გასდევს. მისი გმირების საშინელი, უმოწყალო მარგობა, შიში შოკს მოჰგვრის მკითხველს.

განსაკუთრებით საყურადღებო და აღსანიშნავია ხ. ალექსანდრუს შემოქმედება, რომელმაც ლიგერატურულ ასპარეზზე ერთ-ერთ სახელოვან ბერძენ პოეტად დაიმკვიდრა თავი. თუმცა განსაკუთრებული აღიარება მას მისმა

⁵⁰ Δ. Τσακωνάς, Επίτομη ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας, πρώτη μεταπολεμική γεννιά, Αθήνα 1999, 529 .

⁵¹ Α. Σαχίνης, Μεσοπολεμικοί και μεταπολεμικοί πεζογράφοι, Θεσσαλονίκη 1979, 118.

ერთადერთმა რომანმა “ზანდუკი” მოუგანა. მის იდეოლოგიურ მომწიფებაზე დიდი გავლენა იქონია კაფკასა და დოსტოევსკის შემოქმედებამ. “ხ. ალექსანდრუს 40-50-იან წლებში შესაძლოა ჰაიდეგერის, სარტრის ან კამიუს შემოქმედებიდან ორიგინალში ერთი გვერდიც კი არ ჰქონდა წაკითხული, თუმცა მის შემოქმედებას თავიდანვე ბევრი რამ აკავშირებდა დოსტოევსკის სულიერ სამყაროსთან, რომელშიაც ეგზისტენციალიზმისა და ფსიქონალიზმის იდეებს აქვს ჩაყრილი საფუძველი”,⁵² – აღნიშნავს ბერძენი კრიტიკოსი რ. რავგოპულოსი.

რომანი “ზანდუკი” თხრობის თავისებური სტილით გამოირჩევა. მასში არ არსებობს კონკრეტული შემთხვევება, კონკრეტული სცენა და არც კონკრეტული ადამიანები გვევლინებიან. ეპიზოდური პერსონაჟები, თავად მთხრობელიც კი, არ გვესახებიან როგორც ადამიანები, ისინი არიან უბრალოდ რიცხვები. მათ არ გააჩნიათ პირადი ცხოვრება, შინაგანი სამყარო და არც წარსული, რომელიც მათ ადამიანობაზე მიგვანიშნებდა. მწერალმა მთავარი სიმბოლოს - ცარიელი ზანდუკის წარმოჩენით, მიზნად დაისახა აბსურდის შეგრძნება, არაადამიანური გეწოლა და ბრმა მორჩილება მკითხველისათვის უფრო თვალსაჩინო გაეხადა. “ზანდუკი” - ეს არის ფანტაზია, რომელიც ისტორიულ სინამდვილეს ასახავს. ის, ერთი მხრივ, არის ფანტაზია, რომელიც ყოველდღიური ურთიერთგაუგებრობის, გეწოლის, სავალდებულო დათმობის კომპარისაგან წარმოიშვა, მეორე მხრივ, კი წარმოადგენს ადამიანის არსებობის “მიზანდაუსახაობის”, “გარდაუვალის”, “გათიშულობის”, “უმოცივო და გაუმართლებელის”, “ამაოების” სიმბოლოს – გვიხატავს რა საზოგადო და პიროვნული მარგოების გრაფიკულ სურათს და გვეუფლება შეგრძნება, თითქოს თავად “სამყაროა ობოლი”.⁵³

იმ ბერძენ შემოქმედთა რიცხვი, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში დიდ ინტერესს გამოხატავენ სამყაროში ადამიანის არსებობის საკითხებთან

⁵² Δ. Ραυτόπουλος, Άρης Αλεξάντρου, Ο εξόριστος, Αθήνα 1996, 26.

დაკავშირებით, ჩვენს მიერ წარმოდგენილი პოეტიკითა და მწერლებით არ შემოიფარგლება. ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ მათზე, ვინც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ და რომელთა ძირითადი შემოქმედებითი პრინციპების ფორმირება თანხვედრა ჩვენთვის საინტერესო თემატიკას. ბერძნული ეგზისტენციალისტური პროზის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები კი, რა თქმა უნდა, ომის შემდგომი პერიოდის საუკეთესო პროზაიკოსები ანდრეას ფრანგიასი, დიმიტრის ხაძისი და სპიროს პლასკოვიგისი არიან. თითოეულმა მათგანმა შეძლო აესახა ცხოვრების ესა თუ ის ასპექტი და ხელოვანის ორიგინალური ხედვის წყალობით დიდი წვლილი შეეგანა თანამედროვე ქაოტური ყოფის აღქმაში. მათ შემოქმედებას ჩვენი ნაშრომის შემდეგ თავებში უფრო დეტალურად განვიხილავთ.

ნაწილი პირველი / თავი მეოთხე

ა. ფრანგიასი, დ. ხაძისი, ს. პლასკოვიგისი (ცხოვრება და მოღვაწეობა)

მიგვაჩნია, რომ ქართველი მკითხველისათვის, რომელიც თითქმის არ იცნობს თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურას და მის წარმომადგენლებს, მიზანშეწონილი იქნებოდა, პირველ რიგში, თავად მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას გაცნობოდა. აქედან გამომდინარე, ვიდრე ა. ფრანგიასის, დ. ხაძისის და ს. პლასკოვიგისის კონკრეტული ნაწარმოებების ანალიზზე გადავიდოდეთ, შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანის შემოქმედებითი მოღვაწეობა.

იმ მწერალთა შორის, რომელთაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს თანამედროვე ბერძნული პროზის განვითარებაში, მნიშვნელოვანი წვლილი ანდრეას ფრანგიასს მიუძღვის. იგი 1921 წ. ქალაქ ათენში დაიბადა. მამა, ემანუელ

⁵³ Δ. Παυτόπουλος, Άρης Αλεξάντρου, Ο εξόριστος, Αθήνα 1996, 266.

ფრანგიასი სახელმწიფო მოხელედ მუშაობდა. ვარჯაკიოსის ლიცეუმის დამთავრების შემდეგ, 1939 წელს, იგი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში ფინანსებისა და ვაჭრობის განყოფილებაზე, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო სწავლა მალევე შეწყვიტა. 1947 წელს მწერალი, თავისი პოლიტიკური ორიენტაციის გამო, კ. იკარიაზე გადაასახლეს. 1949 წელს იგი უბრალო ჯარისკაცის რანგში კორინთოში მსახურობდა, ხოლო 1950 წელს გადაგზავნილ იქნა კ. მაკრონისოსზე. 1945 წლიდან მუშაობდა ჟურნალისგად გამეთიმი “ელეფთერი ელადა”, მოგვიანებით კი თანამშრომლობდა სხვადასხვა გამეთისა და ჟურნალში. მას მჭიდრო საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დ. ხადისტან. ა. ფრანგიასი სამწერლო ასპარეზზე 1955 წელს გამოჩნდა თავისი პირველი რომანით “ადამიანები და სახლები”. მისი რომანები გერმანულ, რუმინულ, უნგრულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე ითარგმნა. 1988 წელს რომანისათვის “ხალხის მასა” მან მიიღო სახელმწიფო პრემია საუკეთესო რომანისათვის, 2000 წელს კი სახელმწიფო პრემია ლიგერაგურაში შეგანილი წვლილისათვის. ანდრეას ფრანგიასი 2002 წელს გარდაიცვალა.

ანდრეას ფრანგიასი XX საუკუნის თანამედროვე ბერძნული პროზის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. იგი ომის შემდგომი პერიოდის პირველი ათწლეულის იმ მემარცხენე იდეოლოგიის მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სოციალური ცვლილებების ოცნებით არიან შეპყრობილნი და თავიანთ ეპოქაში მიმდინარე მოვლენების ქარცეცხლში ადამიანის არსებობით განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი. “ა. ფრანგიასის ლიგერაგურული ხედვა, არსებითად, ომის შემდგომი პერიოდის ადამიანსა და მისი პრობლემებისკენაა მიმართული. იგი მგკივნეულად განიცდის ადამიანთა იდეალების მსხვერველს, რაც ომის გამანადგურებელმა შედეგებმა და შფოთმა გამოიწვია. თვალს ადევნებს განხეთქილებას, რომელიც საზოგადოებიდან

ინდივიდებისაკენ მიიწევს და მათი სულიერი და მორალური დაცემის მიზნით ხდება”,⁵⁴ – აღნიშნავს დ. რავგოპულოსი.

მიუხედავად იმისა, რომ ა. ფრანგიასი ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მწერალია, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა არ გამოირჩევა დიდი მოცულობით. მან შთამომავლობას ოთხი,⁵⁵ თუმცა მეგაღ საინტერესო რომანი უანდერძა. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია დიდი მოცულობის, მრავალპერსონაჟიანი რომანების შექმნა. ეს რომანები თანამედროვე ბერძნული პროზისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

ა. ფრანგიასის შემოქმედების მკვლევარები მწერლის მოღვაწეობაში სამ ძირითად ეტაპს გამოყოფენ. პერიოდიზაციის ამოსავალი პრინციპი მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი წერის მანერა და ერთ კონკრეტულ პერიოდში სხვადასხვა ნიშან-თვისებების დომინირებაა. მწერალი თავისი შემოქმედების პირველ ფაზაში რეალისტური წერის ძირითად პრინციპებს მისდევს. ამ პერიოდს ორი რომანი “ადამიანები და სახლები” და “გისოსიანი კარი” მიეკუთვნება, სადაც ძირითადად მოვლენების რეალისტური, გედმიწევნითი ასახვა ხდება, რაც ზოგჯერ დეტალების აღწერაში გადადის. თუმცა რეალობის ამგვარი დაქინებული, დაწვრილებითი აღწერა არ არის სტატიკური. რომანში “ადამიანები და სახლები” იმ ხალხის ბრძოლის მოწმენი ვხდებით, რომლებიც ცდილობენ გადასარჩენად წარსულს თავი დააღწიონ. “ამ რომანში დიდი ადამიანური ტკივილი შეიგრძნობა, თითქმის იღუმალი, თუმცა თუ

⁵⁴ Δ. Ραυτόπουλος, Οι ιδέες και τα έργα, Αθήνα 1965, 151.

⁵⁵ ა. ფრანგიასის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნაყოფს შემდეგი რომანები წარმოადგენენ: 1. “ადამიანები და სახლები” - ათენი 1955; 2. “გისოსიანი კარი” – ათენი 1962; 3. “შავი ჭირი” უკვე 1967 წელს მზად იყო პირველი გამოცემისათვის, თუმცა 21 აპრილს, გამომცემლობა, სადაც წიგნი უნდა დაბეჭდილიყო განადგურდა. საბოლოოდ რომანი, მრავალი ცვლილებებით, 1972 წ. გამოიცა; 4. “ხალხის მასა” - I ტომი - ათენი 1985, II ტომი - ათენი 1986. ასევე აღსანიშნავია, რომ არსებობს მისი გამოუქვეყნებული ექვსი ე. წ. “განუხორციელებელი რომანი”, რომლებიც 1995

ჩავეუღრმავდებით, ადამიანთა საშინელ ტრაგედიას ამოვიკითხავთ”,⁵⁶ – წერდა ამ რომანთან დაკავშირებით კრიტიკოსი ბ. კლარასი ბერძნულ გაზეთში “ვრადინი”. “გისოსიანი კარი” კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საბერძნეთის, კერძოდ კი ათენელების ისტორიას მოგვითხრობს. რომანის გმირებისათვის ომი და მასთან დაკავშირებული მოვლენები თითქმის უკვე მითიურ წარსულად არის ქცეული, თუმცა, აცნობიერებენ რა ყოველდღიური მორალური დაცემისა და გაუცხოების ფაქტს, ეს მითი მათთვის მძიმე გვირგვინად იქცევა.

შემოქმედებითი მოღვაწეობის მეორე ეტაპზე, როცა მწერალი ქმნის რომანს “შავი ჭირი” რეალიზმი მისთვის დამახასიათებელ ყველანაირ ნიშანს კარგავს. ამ პერიოდში, შეიძლება ითქვას, რომ მწერალი ახდენს რეალობის მეტამორფოზას, რასაც იგი მეტაფორული და ალევგორიული გრანსფიგურაციის გამოყენებით ახერხებს. აღნიშნული ნაწარმოები, სადაც ეპიცენტრში საკონცენტრაციო ბანაკის მსჯავრდებულთა არაადამიანური ცხოვრება დგას, წარმოადგენს “ფაშისტური გეწოლის” ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს. შეიძლება ითქვას, რომ ის არის გოგალიგარიზმისა და ნაციზმის წინააღმდეგ გალაშქრების ქრონიკა. თუმცა მწერალი, თავისი შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით, რეალური მოვლენების საოცარ ინტერპრეტაციას ახდენს, რაც მისი რომანის წარმატების საწინდარად იქცა. 1992 წელს, ბერძენ პროზაიკოსთა შეხვედრაზე, ა. ფრანგიასმა “შავი ჭირის” შექმნასთან დაკავშირებით განაცხადა: “მწერალს თავისი საზღვრები აქვს: ქმნის არა იმას რაც უნდა, არამედ რაც შეუძლია. მას არ ძალუძს ყველაფერი აკეთოს..., რაც უფრო მეტს აკვირდება რეალობას, მას მით უფრო ახლოს მიყავხარ მისი თვითსიმბოლიზაციისაკენ. რეალობა თავისი ინტენსიურობით ზოგიერთ ელემენტს სიმბოლოდ აქცევს. დღევანდელი მოვლენების დაძაბულობა, ცვალებადობა, გეწოლა აადვილებს

წლის 24 ნოემბერს, მწერალმა ს. გასოპულოსმა ღულანდრი-ხორნის ფონდში ა. ფრანგიასისადმი მიძღვნილ საღამოზე წარმოადგინა.

⁵⁶ Μπ. Κλάρας, Κριτική για το *Άνθρωποι και σπίτια*, εφημ. «Βραδυνή», 1.02.1956.

ფართომასშტაბიანი და ზოგადი სახეცვლილებებისა და სიმბოლოების წარმოშობას”.⁵⁷

რომანმა “შავი ჭირი”, რომელიც ბერძნული მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, დრამატული და ამაღლებული ნაწარმოებია, რაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში შექმნილა, განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია როგორც კრიტიკოსების, ასევე მკითხველის მხრიდან. ბერძენი მწერალი და კრიტიკოსი ა. კოძიასი წერდა: “ანდრეას ფრანგიასის ამ მეგად მნიშვნელოვანი წიგნის ქვესათაური, ალბათ, “არაადამიანურობის ეტიუდი” უნდა იყოს. ეს წიგნი, ბერძნული ყოველდღიურობის ამსახველი ორი მრავალგვერდიანი, რეალისტური რომანისგან განსხვავებულ კალაპოგში მიედინება. მწერალს თავისი მკითხველი ყველასათვის ცნობილი ათენის ღარიბი უბნებიდან ერთ ანონიმურ “ხრიოკ ადგილზე” გადაჰყავს... ამ ამაღლებულ რომანში სიუჟეტი არ ვითარდება. რაც ხდება, ადრეც მომხდარა და მომავალშიც მოხდება. არსებითად სტაგნაციური ვითარება სუფევს: ეს არის ჯოჯოხეთი, რომლის სხვადასხვა შრეებს რომანის თითოეულ ფურცელზე აღმოვაჩინებ”.⁵⁸

ბერძენ კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ რომანში მოთხრობილი ამბავი კუნძულ მაკრონისოსზე⁵⁹ განვითარებულ ისტორიულ მოვლენას ასახავს. მათი

⁵⁷ T. Γουδέλης, Γύρω από την πεζογραφία, περ. «Το Δέντρο», τ. IX, τευχ. 66, Ιαν.-Μαρτ. 1992, 6.

⁵⁸ Αλέξ. Κοτζιάς, Κριτική για το *Λοιμός*, εφημ. «Το Βήμα» 15.2.63, 31.

⁵⁹ “მაკრონისოსი” საბერძნეთის ერთ-ერთი კუნძულია, სადაც 1947-56 წლებში ხალხის მასიური გადასახლება ხდებოდა. თავდაპირველად იქ სამხედროებს ასახლებდნენ, მოგვიანებით საეჭვო პოლიტიკური მრწამსის მქონე ადამიანებს, 1948 წლიდან კი პოლიტიკურ პატიმრებს. ხელისუფლების მიზანი მათი არა მხოლოდ სამოგადოებისაგან იზოლირება იყო, არამედ საშინელი წამების შემდეგ პატიმრებს საკუთარ იდეებზე საჯაროდ უარის თქმას აიძულებდნენ. მაკრონისოსი საბერძნეთის ისტორიის ერთ-ერთი შავი ლაქაა. ეს მოვლენა არა-ერთი ბერძენი მოაზროვნის შემოქმედებაში აისახა. ისე როგორც ი. რიცოსის ლექსში “ქვის წელიწადი” (1949), თ. კორნაროსის რომანში “ნაცარი და ფინიკები” (1957), მ. ლუდემისის “ქვესკნელის ქუჩა, ნომერი 0” (1962), მ. რაფგოპულოსის მოთხრობაში “რა იხილა ხარის თვალმა” (1957) და ნ. კასმაღლის “ნეგარი შემწყვალელები, ისინი რომ შეიწყალეს” (1977).

აზრით, ფრანგიასის “შავი ჭირი” მაკრონისოსის ისტორიის ლიტერატურული გარდასახვის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. ამ საოცარი რომანის შექმნისაკენ კი მას უდაოდ მაკრონისოსზე (1950) დაგროვილმა პირადმა გამოცდილებამ და შთაბეჭდილებებმა უბიძგეს. მართალია თავად რომანში კუნძული მაკრონისოსი ნახსენები არ არის და საერთოდ, მწერალი, არ ასახელებს ამ “ჯოჯოხეთური” ადგილის არანაირ სახელს. ნაწარმოებში მოცემული რეალური მონაცემების საფუძველზე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საქმე კონკრეტულ კუნძულსა და იქ განვითარებულ კონკრეტულ მოვლენებს ეხება. მწერალი რომანში მიმდინარე მოვლენების ადგილის შესახებ შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის: მოქმედება ვითარდება ერთ ხრიოკ კუნძულზე, სადაც გამუდმებით ძლიერი ქარი ქრის, სადაც არის ციხეები, პატიმრები და ზედამხედველები, რომელნიც ყველანაირი ძალადობრივი ხერხის გამოყენებით ცდილობენ მსჯავრდებულთა, ვითომდა, გამოსწორების გზაზე დაყენებას. ბერძენი კრიტიკოსი, ერი სტავროპულუ დაბეჯითებით აცხადებს, რომ რომანის თითქმის ყველა ეპიზოდი რეალურ მოვლენებზეა დაფუძნებული და მისი გმირებიც სინამდვილეში არსებული ადამიანები არიან. მართლაც თანამედროვე საბერძნეთის ისტორიის მცოდნე მკითხველს არ გაუჭირდება გააანალიზოს, თუ სად ვითარდება სინამდვილეში მოქმედება.

რომანი “ხალხის მასა”, რომელიც ა. ფრანგიასის შემოქმედების მესამე ეტაპს განეკუთვნება, რეალურსა და ალეგორიულს შორის მერყეობს. რომანში ადამიანთა ცხოვრება მთლიანად დაგეგმილია მმართველობის უხილავი სისტემის მიერ, რომელიც ყველაფერს არეგულირებს, უცნობი, ბნელი და აბსურდული ძალები მოქმედებაში მოჰყავს. არსებული მექანიზმები ფუნქციონირებენ არა მხოლოდ იმისთვის, რომ დასაჯონ დამნაშავეები, არამედ ისინიც, ვინც მათ შემთხვევით ჩაუვარდებათ ხელში. სისტემა, იმისათვის რომ თავის მიზანს მიაღწიოს ორგანიზებულად მუშაობს. მისი მიზანი ის არის, რომ

ადამიანებს პიროვნულობა დააკარგვინოს, აღკვეთოს მათი წინააღმდეგობა და აიძულოს ისინი მათ მიერ განსაზღვრული ცხოვრების წესით იცხოვრონ. ადამიანები მხოლოდ მარიონეტებს წარმოადგენენ, რომელთა არსებობას განაგებს მტრული, უკეთური ძალა.

ა. ფრანგიასი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანს და საერთოდ ადამიანის სამყაროში არსებობის პრობლემას უთმობს. მწერალის შეხედულებები ადამიანის გარესამყაროსთან და სხვა ადამიანებთან მიმართების შესახებ მის ყველა რომანში თავისებურად არის წარმოჩენილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ “შავი ჭირი”, სადაც ადამიანის არსებობის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეით არის დაყენებული, არა მხოლოდ მისი შემოქმედების, არამედ თანამედროვე ბერძნული პროზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროზაულ ნაწარმოებს წარმოადგენს. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ბერძნული ეგზისტენციალისტური მიმდინარეობის თვალსაჩინოებისათვის, ჩვენს მიერ ეს კონკრეტული ნაწარმოები იქნა შერჩეული, რომელსაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

XX საუკუნის ბერძენ მწერალთა შორის, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში ადამიანის არსებობის პრობლემას ასახავენ, განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა დიმიტრის ხაძისი. იგი თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში, რომანსა თუ მოთხრობაში, მეტად მწვავედ აყენებს თანამედროვე სამყაროში ადამიანის გაუცხოების, მარგობის, ადამიანთა შორის გათიშულობის, “არაკომუნიკაბელობის” საკითხს.

დიმიტრის ხაძისი დაიბადა 1913 წელს ქ. იოანინაში. 1925 წელს იგი ქალაქ ათენში გაემგზავრა და განათლება ათენის ერთ-ერთ გიმნაზიაში მიიღო. ხაძისი 1935 წელს კომუნისტურ პარტიაში შევიდა და აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ საქმიანობაში, რის გამოც მთავრობის მხრიდან დევნას განიცდიდა. იგი

არაერთხელ იქნა გაგზავნილი გადასახლებაში. 1941-44 წლებში ხაძისი მონაწილეობას იღებდა “ეროვნულ წინააღმდეგობაში”. 1947 წელს იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს კ. იკარიაზე. იქ მწერალი შეხვდა თავის საუკეთესო მეგობარსა და თანამოაზრეს, ანდრეას ფრანგიასს. დ. ხაძისი, მისი პოლიტიკური ორიენტაციის გამო, იძულებული გახდა სამოქალაქო ომის დასრულებისთანავე (1949) მიეგოვებინა სამშობლო და პოლიტიკური ემიგრანტის სტატუსით აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებისათვის შეეფარებინა თავი. 1949 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1974 წლამდე იგი არის ადამიანი, რომლის პირად საბუთებშიც წერია: “სამშობლოს გარეშე”.⁶⁰

ბერძენი კრიტიკოსები დ. ხაძისის შემოქმედებას სამ პერიოდად ყოფენ. მისი შემოქმედების პირველ ეტაპს (1940-1950) ისინი “საბრძოლოს” უწოდებენ. ამ პერიოდშია შექმნილი დ. ხაძისის მოთხრობების კრებული “სამხედრო სამსახური” (1947) და მისი პირველი რომანი “ცეცხლი” (1946). აღნიშნულ რომანში მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, მემარცხენე პარტიზანული ჯგუფის მიერ რუმელის მთებში განხორციელებული საბრძოლო მოქმედებებია ასახული. კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ეს ორი ნაწარმოები პოლიტიკური შინაარსისაა და ლიტერატურულ ღირებულებას ნაკლებად წარმოადგენს.

დ. ხაძისის შემოქმედების მეორე ეტაპი 1953-1976 წლებით შემოიფარგლება. ეს არის ეპოქა, როდესაც სამშობლოს მოწყვეტილი მწერალი, საუკეთესო ნაწარმოებებს ქმნის. 1966 წლამდე მან თავისი მოთხრობები ორ კრებულში გააერთიანა: “ჩვენი პაგარა ქალაქის დასასრული” (1963) და “დაუსველნი” (1966). პირველი კრებული საბერძნეთის ერთ-ერთი ეპარქიის პაგარა ქალაქის (სავარაუდოდ იონინას) მოსახლეთა ცხოვრებას ეძღვნება და ძირითადად იმ სამყაროს ასახავს, რომელშიაც თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების გამო დაღუპვის პირასაა მისული.

⁶⁰ შდრ.: περ. Διαβάζω, Δεκαπενθήμερη επιθεώρηση του βιβλίου, αφιέρωμα στο Δ. Χατζή, αριθ. 180,

მასში წარმოდგენილია ადამიანი და მთელი საზოგადოება ისტორიული ცვლილებების გარემოცვაში. მეორე კრებული კი, რომლის ძირითადი თემა კვლავ თანამედროვე ბურჟუაზიულ და მცირებურჟუაზიულ საზოგადოებაში “ლაუსველი” ადამიანია, უფრო მეტად დრამატულია. აღნიშნული კრებულის მოთხრობებში მოქმედება პატარა ეპარქიული ქალაქიდან დიდ ქალაქში ინაცვლებს და საზოგადოებიდან გარიყული ადამიანების, ნაფსადგურის უიმედო გლახაკის, მეძავის, ინვალიდი ბავშვის, ლუკმა-პურის მოსაპოვებლად მომუშავე მუშის გაუხარელი ცხოვრების აღწერას ემსახურება. რამდენიმე წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული მწერალი აქვეყნებს თავის მეოთხე წიგნს სათაურით “ორმაგი წიგნი” (1976).

მესამე პერიოდს (1976-1981) კრიტიკოსები “ძიების ხანას” უწოდებენ. ამ პერიოდს მეკუთვნება მოთხრობების კრებული “სწავლანი”, რომელშიც მწერალი შეეცადა ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთში ისტორია, პოეზია და ხელოვნება.

დ. ხაძისის შემოქმედებისათვის ძირითადად დამახასიათებელია ელეგიური და სევდიანი ტონი, გრძნობების კეთილშობილება, ნაზი მელანქოლია, ნოსტალგიური განწყობა. მწერალი ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი სულიერი და ფიზიკური განცდების ასახვას ემსახურება. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მისი შემოქმედება ადამიანის შინაგანი სამყაროს გარეგანი პროექციაა.

დ. ხაძისის თანამედროვე მწერალი, ახალი ბერძნული ლიტერატურის კიდევ ერთი უნიჭიერესი და გამოჩენილი მოაზროვნე, სპიროს პლასკოვიცის 1917 წელს კუნძულ კერკირაზე დაიბადა. საშუალო განათლება მან მშობლიურ ქალაქში მიიღო. 1931 წელს ოჯახთან ერთად ათენში დასახლდა, სადაც განაგრძო სწავლა გიმნაზიაში. მოგვიანებით კი ჩაირიცხა ათენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1939 წელს წარჩინებით

დაამთავრა. აქედან მოყოლებული მწერალი მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მსახურობდა. 1963 წ. იგი გაემგზავრა პარიზში, იურიდიულ ფაკულტეტზე ფილოსოფიისა და სამართლის ლექციების მოსასმენად. საბერძნეთში დიქტატურის წლებში აქტიურად იყო ჩართული წინააღმდეგობის მოძრაობაში, რის გამოც გადასახლებულ იქნა კ. კასოსსზე, სადაც მას სამხედრო ტრიბუნალმა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დიქტატურის დამხობის შემდეგ იგი სოციალისტური პარტიის მანდატით ხდება საბერძნეთის პარლამენტის წევრი და მისი წარმომადგენელი ევროსაბჭოში. მწერალი 2000 წელს გარდაიცვალა.

სამწერლო ასპარეზზე სპიროს პლასკოვიგისი პირველად 1948 წელს გამოჩნდა მოთხრობით “სალამო”, რომელიც ჟურნალ “ნეა ესტიაში” გამოქვეყნდა, თუმცა მისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები ჯერ კიდევ 1929-33 წლებში სხადასხვა ჟურნალნალში იბეჭდებოდა. შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის იგი 1956 წ. დაჯილდოებული იქნა სახელმწიფო ჯილდოთი საუკეთესო მოთხრობისათვის, 1980 წ. პირველი სახელმწიფო პრემიით საუკეთესო რომანისათვის. მისი ნაწარმოებები მრავალ ევროპულ ენაზეა თარგმნილი.

ს. პლასკოვიგისი არაერთი მოთხრობისა და ლირიკული ნაწარმოების ავტორია, რომლებშიაც იგი თანამედროვე ეპოქის პრობლემატურ და საჭირბოროტო საკითხებს განიხილავს. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ნაყოფია შემდეგი რომანები და მოთხრობათა კრებულები: “შიშველი ხე” 1952, “ელვა და შუქურა” 1978, “კაშხალი” 1960, “დაჩოქილნი” 1964, “მავთულხლართი” 1976, “ქალაქი” 1979, “გიჟური შემთხვევა” 1984-1985, “მორალის მწერლობა” 1986.

ს. პლასკოვიგისის შემოქმედების მკვლევართა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ მისი, როგორც ეგზისტენციალისტი მწერლის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ფ. კაფკასა და ა. კამიუს შემოქმედებამ. თუმცა, ამასთან

დაკავშირებით საპირისპირო აზრიც არსებობს. ბერძენი კრიტიკოსი კ. სტერიოპულოსი წერდა: “ამბობენ, რომ რომანზე “კაშხალი” ფ. კაფკასა და ა. კამიუს გავლენა იგრძნობა. ვინაიდან მქონდა შესაძლებლობა ამ წიგნის შექმნის ისტორიისთვის და წინაპირობებისთვის თვალი მეღვენებინა, შემძლია დავადასტურო, რომ ს. პლასკოვიგის იმ პერიოდში არც ერთის და არც მეორეს შემოქმედება წაკითხული არ ჰქონდა. მათი გაცნობა მხოლოდ 1960 წელს მოახერხა, როცა წიგნის წერა უკვე დამთავრებული ჰქონდა. მათ შემოქმედებაზე ს. პლასკოვიგისმა ერთი-ორი წლის მოგვიანებით თავის ლექციაზე “მორალის მწერლობის შესახებ” საჯაროდ ისაუბრა, რამაც გამოიწვია სხვადასხვა კრიტიკული გამოსმაურება, სადაც ზემოთ აღნიშნულ გავლენაზე იყო საუბარი. ჩემი აზრით, ის უდაო მსგავსება რაც რომანს კაფკასა და კამიუს შემოქმედებასთან აახლოებს, გამოწვეულია იმ მდგომარეობით, რომ ბერძენ მწერალს კაფკასა და კამიუს მსგავსად სულისშემხუთველ გარემოში მოუწია ცხოვრება”.⁶¹

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საბერძნეთში არსებული მდგომარეობა მწერალის შეხედულებით იყო კატალიზატორი, რამაც ხელი შეუწყო ბოროტების ამოფრქვევას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ისტორიაში და საერთოდ ადამიანურ ცხოვრებაში იყო დაგროვილი. მსოფლიო და სამოქალაქო ომმა მწერლის კონცეფციაში ისტორიის აბსურდულობას შეასხა ხორცი. ომი პლასკოვიგისის ცნობიერებაში აღიქმებოდა, როგორც ყოფიერების აბსურდულობის უკანასკნელი განსახიერება. ეს განწყობა განსაკუთრებული სიმწვავეთ აისახა მის რომანში “კაშხალი”.

რეალიზმი ლირიკასა და პოეტურ ელემენტებთან, სოციალური პრობლემტიკა ეგზისტენციალურ და მეტაფიზიკურ მღელვარებასთან სინქრონულადაა შერწყმული ს. პლასკოვიგისის შემოქმედებაში. ყოველივე ეს

⁶¹ K. Στεργιόπουλος, Παρουσίαση-ανθολόγηση, Η μεταπολεμική Πεζογραφία, τ. VI, Αθήνα 1988,

კი, მთლიანობაში შეჯამებული, მის ლიგერატურულ ნაწარმოებებში კონკრეტულ სიმბოლოებში იყრის თავს, რომელთა საშუალებითაც მწერალი ადამიანის მარადიულ საგანჯველს, სამოგადოებრივ და ჩვენი ეპოქის სხვა პრობლემებს წარმოგვიჩენს. სიმბოლოების გამოყენებით მწერალი გვაიძულებს უფრო ღრმად ჩავეძიოთ მის მიერ წამოჭრილ საკითხებს, რათა თავადვე გავაცნობიეროთ საკუთარი ცხოვრება არსებულ სამყაროში. ასე მაგალითად, რომანში “კაშხალი” მწერალი სიმბოლოების საშუალებით გვაგვობინებს, რომ ჩვენს პლანეტას ტექნიკური კულტურის გამო განადგურება ემუქრება. პარალელურად რომანში მოცემულია ეგზისტენციალური შეჭირვება, მთელი სიმძაფრითაა გადმოცემული ადამიანთა მღელვარება, შიში თანამედროვე კულტურის უზარმაზარი ნაგებობის წინაშე.⁶²

ეგზისტენციალური და მეგაფიზიკური პრობლემებითაა გაჯერებული ს. პლასკოვიცის თითქმის მთელი შემოქმედება. მის ნაწარმოებებში განსაკუთრებული სიმწვავეთ მეგაფიზიკური საკითხი და სიკვდილის პრობლემაა წამოჭრილი.⁶³ არაერთ მოთხრობასა თუ ნოველაში ხშირად ვხვდებით მომაკვდავ ადამიანებს, რომლებიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე ფიქრდებიან. თუმცა მოთხრობაში “გიჟური შემთხვევა” მწერალი უკვე საბოლოოდ დარწმუნებული ჩანს, რომ სიცოცხლისა და სიკვდილის ამოხსნა შეუძლებელია, ლოგიკა უძლურია მიუახლოვდეს აბსურდითა და საიდუმლოებით მოცულ სამყაროს *რადგანაც სამყარო დიდია და არავის ძალუძს ჩასწვდეს მის ბირთვის* აღნიშნავს იგი.

მის შემოქმედებაში მაგერიალური და სულიერი სამყარო, ხსნა და დალუპვა წინააღმდეგობრიობაში მოდის ერთმანეთთან. ბენარდი ხარიგოსის

1992, 279-80.

⁶² E. Σταυροπούλου, Προτάσεις ανάγνωσης για την πεζογραφία μιας εποχής, Σπ. Πλασκοβίτης, Αθήνα 2001, 85.

⁶³ B. Βαρίκας, Η ωριμότητα ενός πεζογράφου, εφημ. «Βήμα», 1965.

უკანასკნელი სიგევეები რომანში “კაშხალი”, რომელიც გვეუბნება, რომ *ყოველივე დაბრკოლება, რომელიც გვხვდება მიწაზე, რომელსაც ვაბიჯებთ, იქნებ გამოცდაა, ვზა, რომელიც უნდა გავიაროთ?*⁶⁴ – წარმოადგენს მწერლის იდეოლოგიის ძირითად ბირთვს.

მეორე ნაწილი / თავი პირველი

ანდრეას ფრანგიასის “შავი ჭირის” აბსურდის სამყარო და აბსურდის გმირები

რომანში “შავი ჭირი” ანდრეას ფრანგიასი თავისი ეპოქის მწვავე სოციალური, პოლიტიკური და ადამიანთა მორალური მდგომარეობის ამსახველ სურათებს გვიხატავს. მწერალმა, ისევე როგორც მისმა თანამედროვე შემოქმედებმა, საკუთარ თავზე განიცადა საბერძნეთის ოკუპაციის წლებში და მის შემდგომ დაგრილებული დრამატული მოვლენები. რომანში იგი წარსულის ისტორიას მოგვითხრობს, რაც მისთვის კომმარულ აწმყოს წარმოადგენს. “აღწერს რა თავისი ეპოქის მოვლენებს, მიუხედავად იმ ოპტიმიზმისა, რაც რომანის დასასრულს შეინიშნება, მწერალი აშკარად მომავლის შიშით იმსჭვალება... უმეგესწილად ეს არის ცნობიერების, ადამიანის არსებობის საკითხებთან დაკავშირებული რომანი და საფრთხეზე მიუთითებს: ჩვენს ირგვლივ მექანიზმებია განლაგებული, რაც აბსურდამდე დადის. მათი მიზანი ადამიანის არსებობა როდია. ადამიანები მათ საკუთარი მიზნების განხორციელების საშუალებად მიაჩნიათ. მათი წარმატება დაფუძნებულია ადამიანის ცნობიერებისა და ღირსების შელახვაზე...”⁶⁵ – წერდა ბერძენი კრიტიკოსი გ. კარველისი. ა. ფრანგიასის მთავარი მიზანია წარმოაჩინოს

⁶⁴ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 211.

⁶⁵ Τ. Καρβέλης, *Η μεταπολεμική πεζογραφία, παρουσίαση-ανθολόγηση*, Αντρέας Φραγκιάς, τ. VII, Αθήνα 1988, 18.

ადამიანი, ადამიანური ცხოვრება და ღირსება, ადამიანური ღირებულებები, რაც სრული განადგურების პირას დგას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომანი “შავი ჭირი” საბერძნეთის ერთ-ერთ კუნძულზე განლაგებულ საკონცენტრაციო ბანაკში იზოლირებულ პატიმართა არაადამიანურ ცხოვრებაზე მოგვითხრობს. მწერალი საოცარი სიზუსტით ასახავს კონკრეტული ეპოქის (მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საბერძნეთის) სურათს, კერძოდ კი, ე. წ. “განუკითხაობის ეპოქაში” ადამიანის არსებობის პრობლემით ინტერესდება. აბსურდის სამყარო და აბსურდის ადამიანები მეგად საინტერესოდაა წარმოჩენილი მის მიერ. “შავ ჭირში” მკვეთრად შეიგრძნობა ამაოების სამყაროში პიროვნების გაუცხოების მომენტი, ისევე როგორც თვალსაჩინოა ადამიანის მარცობის, იზოლაციის, ანონიზაციის და თვითგაუცხოების ელემენტები.

მწერალი შეეცადა ისტორიულ მოვლენებზე ჩამოყალიბებული საკუთარი აზრებისათვის და შეხედულებებისათვის კონკრეტული ფორმა სიმბოლოების საშუალებით მიენიჭებინა. მან რეალობა თავის რომანში არა პირდაპირ, არამედ ალევორიებითა და სიმბოლოებით გადმოსცა, ისე რომ ზუსტად არ მიანიშნოს კონკრეტულ მოვლენებზე და ასევე არაფერი შეცვალოს სინამდვილეში მომხდარ ამბავში. რა თქმა უნდა, ამ რომანის შექმნა არა მხოლოდ განსაკუთრებულმა ისტორიულმა პირობებმა, არამედ მის ეპოქაში არსებულმა ლიტერატურულმა ატმოსფერომაც განაპირობა. საინტერესოა, რომ ფანტაზიისა და რეალობის შერწყმით მწერალი ახერხებს იმ სინამდვილეს მიუახლოვდეს, რაც მოვლენების რეალურად გადმოცემის სახით საშიში და მიუღებელი იქნებოდა. ამ თვალსაზრისით, მიგვაჩნია, რომ ა. ფრანგიასი ახლოს დგას ფრანგი აბსურდისტი მწერლების შემოქმედებასთან.

ჩვენ, კვლევის ამ ეტაპზე შევეცდებით აღვნიშნულ ნაწარმოებში გამოვეყოთ ის არსებითი შგრიხები, რაც საფუძველს მოგვცემს ბერძენი შემოქმედის ეს

შესანიშნავი რომანი ეგზისტენციალისტური ლიტერატურის პრიზმაში განვიხილოთ.

რომანის კითხვისას ნათლად იკვეთება ის ანალოგიები, რომლებიც ნაწარმოებს ცნობილი ეგზისტენციალისტი მწერლების შემოქმედებასთან აახლოვებს. უპირველეს ყოვლისა თავად ნაწარმოების სათაურზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება. “შავი ჭირი” გამოჩენილი ფრანგი მწერლის, ალბერ კამიუს “შავი ჭირის” ასოციაციას იწვევს. ბერძენ მწერალთან, ჩვენი აზრით, ისევე როგორც კამიუსთან, შავი ჭირი აბსურდული ომის და ზოგადად ბოროტების სიმბოლოდაა ქცეული. ა. ფრანგიასის “შავ ჭირში” ეგზისტენციალური აზროვნებისა და ისტორიული რეალობის შერწყმა ხდება. ეს არის სწორედ ის, რასაც კამიუ თავის “შავ ჭირზე” ამბობდა: “რეალური შინაარსი “შავი ჭირისა” ეს არის ევროპული წინააღმდეგობის ბრძოლა ნაცისტების წინააღმდეგ”.⁶⁶

ბერძენ მწერალთან შავი ჭირი თუკი, ერთი მხრივ, საკონცენტრაციო ბანაკში შექმნილი მდგომარეობის ნათელი გამოხატულებაა, მეორე მხრივ, ის ქოლერის დაავადების გავრცელების საშიშროებასთანაა დაკავშირებული, რისი მომასწავლებელიც ბანაკში მომრავლებული თავგებია: *სახიფათო. უთვალავი, უზარმაზარი და მსუქანი თავგები, ცალახის ერთი ნაგლეჯი, გრძელი, გაქონილი ბეწვით მოდებულნი არიან ყველგან, ყველაფერს აბინძურებენ, ანადგურებენ, აქეთ-იქით დასუნსულებენ, თავი აქაურობის ბაგონ-პაგრონი ჰგონიათ და თითქოს ყველაფრის უფლება ჰქონდეთ. უფრო მეტიც, ისინი დამპყრობლები არიან. ადამიანებს დასცინიან, ლუკმას პირიდან აცლიან, თავსაც კი ესხმიან მათ: თავის ნაკბენი ტკბილია, კბენას ვერ გრძნობ. როგორც ამბობენ, კბენისას ნარკოტიკულ სითხეს გამოყოფს, რომელიც ხორცს აბუყებს და ასე ჩუმად*

⁶⁶ И. Шкунаева, Современная Французская Литература, Экзистенциалистское направление в философии и художественной литературе, Альбер Камю, Москва 1961, 173.

აგრძელებს თავის საქმეს.⁶⁷ იქაური ბინადრები ხშირად მოკვნივნილი ყურით იღვიძებდნენ, ზოგს კი ფეხის რომელიმე თითი აკლდა. ადამიანები დიდი საფრთხის წინაშე იდგნენ. მრავალი ხერხი მოიგონეს თავგების შესაჩერებლად, თუმცა არაფერი შეელოდა: *ასეთი ურჩხულებისთვის სათაგურს ვერსად მონახავდი, კატებიც კი, მათგან შეშინებულნი, მთებისაკენ კუდამოძუებულნი გარბოდნენ.*⁶⁸ დროთა განმავლობაში თავგები უფრო მომრავლდნენ, შხამიც მაგულობდა, ჯერ ტკბილი და ნარკოტიკული, შემდგომში კი ქოლერის გამავრცელებელი.

ქოლერის გაჩენის შიში, თავგის სხვა მუხანათურ საქმეებთან ერთად, უსასრულო განჯვადაა ქცეული “შავი ჭირის” პერსონაჟებისათვის. ამგვარი განწყობის გადმოცემით მწერალი ცდილობს მეგაფიზიკური ახსნა მოგვეცეს ადამიანის სამყაროში არსებობის მარადიულ მდგომარეობაზე.

თავგი, როგორც ცნობილია, უძველესი დროიდან მოყოლებული მონობის სიმბოლოს წარმოადგენდა. თავგების მიერ ზიანის უხმაუროდ მიყენება გახდა მიზეზი იმისა, რომ იუდაიზმში ისინი ფარისევლობის სიმბოლოდ, ქრისტიანობაში კი ბოროტი, დამანგრეველი ძალის სიმბოლოდ იქცნენ.⁶⁹ თავგები ბერძენ შემოქმედთან სწორედ რომ ადამიანისადმი ბოროტად განწყობილ და გამანადგურებელი ძალის სიმბოლოდაა გააზრებული.

შავი ჭირი ფრანგიასის გმირებისათვის მხოლოდ ქოლერის შიში და თავისმომბაზემრებელი თავგები არ არიან. ეს ის არაადამიანური განჯვა, მხეცური, ფაშისგური და ფსიქოლოგიური გეწოლა და პროპაგანდაა, რასაც ისინი საკონცენგრაციო ბანაკში მათი ზედამხედველებისგან განიცდიან. “შავი ჭირი” საკონცენგრაციო ბანაკში შექმნილი არაადამიანური პირობებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ერთ-ერთ, ყველაზე აღმაშფოთებელ სამხილს

⁶⁷ Α. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 60, 62.

⁶⁸ *Ibid.*, 63.

⁶⁹ Д. Тресиддер, *Словарь Символов*, Москва 2001, 232.

მხეცური, “ფაშისგური” სისტემის გეწოლისა. ეს ეჭვგარეშეა, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში კონკრეტულად არ სახელდება “ხელისუფალთა” პოლიტიკური იდეოლოგია”, – აღნიშნავს იტალიელი კრიტიკოსი ვ. როტოლო.⁷⁰ ნაწარმოებში ხშირად ვხვდებით იძულებითი მაზოხიზმის სცენებს, რაც მსჯავრდებულთა მხრიდან სრულიად აბსურდული დანაშაულის აღიარებაში გამოიხატება. ხელისუფლებას დასჯის არაერთი მეთოდი აქვს შემუშავებული, როგორცაა მაგალითად ადამიანის ხანგრძლივი იზოლირება, მისი ზღვის სანაპიროზე ციხაბო კლდეზე მიბმა და აბობოქრებული ტალღების ანაბარა მიტოვება, მცხუნვარე მზებზე მავთულ-ხლართებში გაბმული ადამიანის მიტოვება, გალიაში გამოკეცვა, მისი უმოწყალო ცემა და სხვა მრავალი. იმისათვის, რომ ააშენონ ახალი ძეგლი, მსჯავრდებულები სხვადასხვა მასალას ზიდავენ, ხოლო წყლის გადასაზიდად ხელისუფლების წარმომადგენლები მეტად ორიგინალურ ხერხს იგონებენ: *თითოეული თქვენგანი წყალს პირში ჩაივებებს. როცა მივა დანიშნულების ადგილას იქ ცარიელ კასრში ჩააფურთხებს. აქ სად ვებებოთ ვედროები? ... გზაში წყალს ვინც დალევს და მუსტ რაოდენობას არ ჩააფურთხებს კასრში, ვაი მისი ბრალი.*⁷¹ სისტემატურად იმართება დამრიგებლობითი ხასიათის თავყრილობები, მსჯავრდებულთა, ვითომდა, მორალური და სულიერი აღზრდისათვის. თუმცა, ხელისუფლების მთავარ მიზანს ადამიანის დამცირება, მისი ფიზიკურად, მორალურად და ფსიქიურად განადგურება წარმოადგენს, იმ დონემდე, რომ ადამიანს საკუთარი თავი შეზიზღდეს. ამგვარი სცენების აღწერით ა. ფრანგიასს სურს, ერთი მხრივ, მკითხველის ყურადღება ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ ბოროტებასა და სისასტიკაზე გაამახვილოს, მეორე მხრივ კი, გვიხატავს რა იგი “ნაცისგური”, არაადამიანური სისტემის რეალურ სურათს, რომლის მსხვერპლადაც მისი რომანის გმირები ქცეულან, ჩვენი აზრით, ხაზს უსვამს

⁷⁰ V. Rotolo, *Ο Λοιμός του Αντρέα Φραγκιά*, περ. «Νέα Δομή», τευχ. 1, 1976, 74.

ისგორიული მოვლენებით განპირობებულ ადამიანური არსებობის გრაფიზმს. მწერალი ცდილობს ინდივიდების ბედი ისგორიის ჩარჩოებში მოაქციოს. მისი ნიჰილისტური დამოკიდებულება სამყაროსადმი ვერ უძლებს რეალური, ისგორიულ-პოლიტიკური ცხოვრების გამოცდას და იგი, ისევე როგორც ალბერ კამიუ თავის ფილოსოფიურ-პუბლიცისტურ ნაწარმოებში “წერილები გერმანელ მეგობარს”, აღიარებს, რომ ყოველგვარი ღირებულებებისგან დაცლილ სამყაროში არსებობს ერთი რამ, რასაც ნამდვილად აქვს აზრი – და ეს არის ადამიანი.

რომანში წარმოდგენილი სახელმწიფო-სადამსჯელო მექანიზმი, რომელიც დაუნდობლად ანადგურებს დაუსცველ ადამიანებს, ფრანგიასთან გააზრებულია, როგორც სამყაროს აბსურდულობის კიდევ ერთი გამოხატულება. ამ თვალსაზრისით მეგად საინტერესო პარალელების გავლება შეიძლება ფ. კაფკას ნოველასთან “დამსჯელ კოლონიაში”. კაფკას ნაწარმოებებზე საუბრისას შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, თუ რაოდენ დიდი იყო მისი შემოქმედების გავლენა არა მხოლოდ ბერძნულ, არამედ მთელ ევროპულ ლიტერატურაზე. მისი აბსურდული და ალოგიკური სამყარო, მასში გაბატონებული ძალები, წესრიგისა და სამართლიანობის ცინიკურ ნიღბებს ამოფარებულნი, თვითნებურად იჭრებოდა ევროპის და მასთან ერთად საბერძნეთის რეალურ ცხოვრებაში. ოკუპაციის დამლუპველ მორევში ჩაძირული ადამიანებისათვის სირთულეს არ წარმოადგენდა კაფკას გრაფიკულ-სიმბოლურ სახეებში მათი საკუთარი ბედის – განჯვის, მწუხარების, სიკვდილის ანარეკლი აღმოეჩინათ.

“დამსჯელ კოლონიაში” წარმოჩენილია ძალაუფლების ფენომენი, უფრო მეტიც, თავად ოფიციალური ხელისუფლების, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო ხელისუფლებისა... თუმცა, ვფიქრობ, მთავარი არსი ამაში არ არის, არამედ იმ ძალადობის კულტის აგმოსფეროში, რომელიც გოგალურ რეჟიმებს ახასიათებს

⁷¹ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 190.

და რაც ოსტაგურადაა ასახული მოთხრობაში”,⁷² – აღნიშნავს რუსი კრიტიკოსი დ. ზაგონსკი. საინგერესოა, რომ კაფკასთანაც და ფრანგიასთანაც საუბარია საკონცენტრაციო ბანაკზე, რომელიც იზოლირებულ, ხრიკ კუნძულზე განლაგებული. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს მსჯავრდებულთა უმოწყალო ტანჯვას. კაფკასთან სასამართლო გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სხეულზე გვიფრავენ, რაც მისი სიკვდილით სრულდება, “შავ ჭირში” კი მსჯავრდებულები “დალდასმულები” არიან და იმისათვის, რომ ლაქა მოცილონ ზოგჯერ “ცყავის გაძრობაც” კი საჭიროა: *არ მეგონა ასე რთული თუ იყო ლაქის მოშორება, - ჩაიბურცეუნა ძილმორეულმა კაცმა, რომელიც ეფექტურ რჩევას ელოდა. მენი ძალიან ღრმავ, ალბათ ცყავის გაძრობა დაგჭირდება... – ურჩია მას თავაზიანმა განცხადებების მიმღებმა.*⁷³

რა თქმა უნდა, ა. ფრანგიასი არ იყო ის ერთადერთი ევროპელი მწერალი, რომლის შემოქმედებაშიც კაფკას სასამართლო-სადაამსჯელო პროცესების აბსურდულმა სამყარომ ჰპოვა ასახვა. ეს თემატიკა ალბერ კამიუს შემოქმედებაშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. სასამართლო პროცესი მასთან გაიაზრებოდა ადამიანის და ისგორიის შეჯახებაში, მწერლისათვის ძვირფასი, უდანაშაულობის იდეის საყოველთაო ბრალეულობის იდეასთან დაპირისპირებაში, რაც ქრისტიანული კონცეფციის პირველი ცოდვიდან გამომდინარეობდა და გოგალური იდეოლოგიის საყრდენს წარმოადგენდა. კამიუ თავის “უცხოში” პროცესების სამყაროს – ბურჟუაზიული, ნაცისტური, კომუნისტური – წინააღმდეგ ილაშქრებს, რაც მისი აზრით, “თანამედროვეობის წყლულია”.⁷⁴

“შავი ჭირის” საკონცენტრაციო ბანაკში გაბატონებული, ყოვლად აბსურდული სისგემის აბსურდული შედეგი არის ბუმების ჭერა. ნაწარმოებში

⁷² Д. Затонский, Предисловие, Франц Кафка, *Замок*, Москва 1991, 9.

⁷³ Α. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 138.

⁷⁴ С. Фокин, Альбер Камю. Роман. Философия. Жизнь, Санкт-Петербург 1999, 91.

გედმიწევნით არის აღწერილი ის სცენები, სადაც მსაჯავრდებულები ყოველდღიურად იძულებულნი არიან შეაგროვონ ბუზები (აუცილებელი ზღვარი არის 20 ბუზი), რაც მათი ჭამისა და წყლის საფასურადაა ქცეული. მსჯავრდებულთა შორის ბუზი შეუღლისა და მეგობრობის საწინდარადაც კია ქცეული. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბუზს “შავ ბაზარზე” ყიდიან. რაც უფრო ცოცხალია ბუზი, მით უფრო იწვევს მისი ფასი. *ასე რომ, ყველა მიხვდა, რომ ბუზების საკითხი მეტად მნიშვნელოვანი იყო.*⁷⁵ იმდენად მნიშვნელოვანი, რომ იგი მათი ცხოვრების მიზნადაა ქცეული: *ეს განსაკუთრებული მწერი მისი ცხოვრების მიზნადაა ქცეული, მისთვის თვალი არ უნდა მოეცილებინა. მთელი გასული წლები მას ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა, რომ ეს ბუზი ამ შუადღეს დაეჭირა. იქნებ, სწორედ ამიტომ დაიბადა იგი. და თუ ის ხელიდან დაუსხლგებოდა, ალბათ მოკვდებოდა,*⁷⁶ – მოგვითხრობს მწერალი ერთ-ერთ მსჯავრდებულზე.

ამკარაა, რომ ბუზი ფრანგიასთან სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ადამიანთა ყოველდღიური, ამაო, უაზრო და აბსურდული ჯაფის გამოხსაგველია: *გემოდან რომ გადმოიხედეს, თაკარა მზის დამაბრმავეებელ შუქზე დაინახეს ათასობით ადამიანი, რომელიც ჰაერში ხელებს იქნევდა, რომ რაღაც უჩინარი დაეჭირა, მიმწვდარიყო ჰაერში რაღაც უხილავს.*⁷⁷ ბუზები, ცხადია, მაშინათვე სარგრის პიესას “ბუზებს” გაგვახსენებს, სადაც, კრიტიკოსთა აზრით, არგოსში მომრავლებული ბუზები მწერალს რელიგიური იდეოლოგიის მეტაფორად აქვს გააზრებული. ა. ფრანგიასთან კი ისინი, ჩვენი აზრით, პოლიტიკური იდეოლოგიის მეტაფორად შეიძლება იქნან მიჩნეული. ამასთანავე, საერთოდ ბუზის სიმბოლიკიდან⁷⁸ გამომდინარე, შეიძლება ბუზები,

⁷⁵ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 30.

⁷⁶ Ibid., 82.

⁷⁷ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 57.

⁷⁸ “ბუზები ბოროტებისა და მსოფლიო ეპიდემიების სიმბოლოდაა მიჩნეული. ისინი იმდენად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდნენ ძველ სამყაროში, რომ მათგან დასაცავად ღმერთებსაც კი მოუხმობდნენ... ბუზებს ღემონებს უკავშირებდნენ. მოგვიანებით ისინი

რომლებიც საკონცენგრაციო ბანაკს ეპიდემიასავით მოსდებიან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან გაავაიგივოთ, რომელთა ერთადერთი მიზანი ადამიანის სულიერი და ფიზიკური განადგურებაა.

აბსურდის ციკლთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო მომენტის გამოყოფა შეიძლება ფრანგიასის “შავ ჭირში”. გარდა ბუზების ჭერისა, მსჯავრდებულები იძულებულნი არიან აშენონ სხვადასხვა ნაგებობები, მოაპირკეთონ გზები, ააგონ ხიდეები, დადგან ძეგლები, შექმნან ისეთი რამ, რასაც არავინ არასოდეს გამოიყენებს. ააშენონ ქალაქი, რომელიც არასოდეს დასახლდება. ეს აბსურდული შრომა, მათი ყოველდღიური ცხოვრების წესადაა ქცეული: *მობინადრეები გაემართნენ თავიანთ სამუშაოებზე და მათი ცხოვრება კვლავ ჩვეულ რიგში დაუბრუნდა. ქვაზე მომუშავე ბრიგადა, მიწის მთხრელები, ციხესიმაგრეებისა და ხიდების მშენებლები, ნავსადგურის მგვირთავეები, ქუჩებისა და საფლავების მთხრელები, მოქანდაკეები, ქვის მზიდაეები, წყლის და ბათქაშის მგარებლები [...] სამუშაო წინ მიიწევს, აქაურობა სახეს იცვლის და მრავალი პროფესია, ხელობა დღითი დღე იხვეწება და უმჯობესდება. იქ, სადაც გუშინ ხრიოკ ადგილზე დააბიჯებდი, დღეს შენს წინაშე ადმინისტრაციული შენობები, სათავსოები, ეკლესიებია აღმართული. მუშაობა დილით იწყება, მეორე დილით კი შენობა უკვე წამოჭიმულია, თითქმის დასრულებული. რა თქმა უნდა, უფრო მასშტაბური მშენებლობაც მიდის, როგორცაა ციხესიმაგრეების და ხიდების მშენებლობა, რასაც მეტი დრო მიაქვს. ცვლილება ისეთი გემპით ხდება, რომ თითქოს ათეულობით წელი გადიოდეს, საუკუნე წყალივით მიედინება, დღე უსასრულოა.⁷⁹* აბსურდული შრომა, კონკრეტულად კი ქვის გარება, რაც ბუზების ჭერასთან ერთად მძიმე გვირთადაა ქცეული მსჯავრდებულთათვის, ძველ ბერძნულ მითს სიზიფოსის შესახებ და სიზიფოსის შრომას მოგვაგონებს, რაც

მორალური და ფიზიკური გახრწნის ქრისტიანულ სიმბოლოდ იქცნენ”. იხ. Д. Тресидлер, Словарь Символов, Москва 2001, 232.

⁷⁹ Α. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 23-24, 32-33.

გადაგანითი მნიშვნელობით მძიმე, დაუსრულებელ უშედეგო და უსარგებლო შრომას ნიშნავს.⁸⁰

როგორც ცნობილია, ამ თემატიკის საოცარ ინგერპრეგაციას ახდენს ა. კამიუ თავის ფილოსოფიურ ესეში “სიზიფოსის მითი”, სადაც იგი წერდა: სამყარო უგუნურია, მხოლოდ ამის თქმა შემიძლია მასზე. თუმცა ამ უგუნურობის შეჯახება მისი შეცნობის დაუშრეგელ სურვილთან, იმ ძახილთან, რომელიც ადამიანური არსების სიღრმეებში გაისმის, არის სწორედ აბსურდული. აბსურდი იმდენადვეა დამოკიდებული ადამიანზე, რამდენადაც სამყაროზე. მოცემულ შემთხვევაში ის მათი ერთადერთი კავშირია.⁸¹ რუსი მეცნიერის ე. კუშკინის აზრით, კამიუ კონკრეტულ ნაწარმოებში ადამიანისა და სამყაროს აბსურდულ კავშირში სწორედ, რომ ფუჭ შრომას გულისხმობდა.⁸² ჩვენი აზრით, ა. ფრანგიასის გმირებსა და სამყაროს კავშირშიც სიზიფოსის ფუჭი და აბსურდული შრომა გაიაზრება. ქვის ზიდვა მათი ცხოვრების ნაწილადაა ქცეული: *ბუზები და ქვები, მამასადამე, წარმოადგენენ ბუნების შემადგენელ ორ ძირითად ელემენტს. ეს ორი რამ განსაზღვრავს დღისით მენს ცხოვრებას. დამით საბოლოო იცვლება. თითქოს სამყაროს შექმნიდან მოყოლებული სულ ასე ხდებოდა. ქვები და ბუზები. მთელი მენი ცხოვრება ათრევდი ქვებს და იჭერდი ბუზებს. [...] ყველაფერი, აქ და ყველგან, ესლა და მუდამ, არის ქვის ტარება და ბუზის ჭერა.*⁸³ ამ აბსურდული მდგომარეობით, როგორც ჩანს, ფრანგიასს იმის აღიარებაც სურს, რასაც ამბობდა ეკენ იონესკო: “ადამიანის ყოველი მოქმედება უაზრობაა, რადგან აბსურდულია და უსარგებლო, ადამიანი მოკვეთილია ყოველგვარი ძირებისაგან.

⁸⁰ ღმერთებისაგან დასჯილ სიზიფოსს დიდი ჭაპანითა და ოფლის ღვრით აჰქონდა ლოდი მთის წვერამდე, მაგრამ ღვთაებრივი განგებით ზედ მთის წვერიდან ლოდი ისევ უგორდებოდა და კვლავ და კვლავ გრძელდებოდა და მეორდებოდა მისი მომქანცველი, მძიმე, უშედეგო და უსასრულო შრომა. შდრ.: ნ. გაფრინდაშვილი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი 1972, 276.

⁸¹ იხ. А. Камю, Миф о Сизифе, Москва 1988.

⁸² Е. П. Кушкин, Достоевский в зарубежных литературах, Достоевский и Камю, Ленинград 1978, 89.

⁸³ А. Фραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 47-48, 86.

სამყარო მოჩვენებითია, ილუმორული... სამყარო საყოველთაო განადგურებისაკენ მიექანება”.⁸⁴

ადამიანს ისღა დარჩენია, რომ შეეგუოს თვითნებობას, ანუ გახდეს ბოროტების მოკავშირე, ან უარყოს თვითნებობა და აქტიურად შეეწინააღმდეგოს მას და ამით ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ადამიანი თავისი ადამიანურობიდან გამომდინარე ამბოხისთვის არის განწირული.⁸⁵ ფრანგიასის გმირები მიუხედავად იმისა, რომ უმიზნო, განადგურებული, ყოველგვარი პოტენციისაგან დაცლილი ადამიანების შთაბეჭდილებას გოვებენ, ცდილობენ გამოიჩინონ სიმამაცე, შეეწინააღმდეგონ აბსურდულ სისტემას, წინ აღუდგნენ მხაგვრელთა ნებას: *ზოგი ქვას ხმის ამოუღებლად მიათრევდა, თითქოს ისინი კი არა, მათ ნაცვლად მანქანები ასრულებდნენ სამუშაოს. ... იქნებ აღარ სტკივათ სხეული, ფეხები რკინის გაუხდათ, წელი და თირკმელები თითქოს მსხვილი ჭანჭიკებით ჰქონდეთ დამაგრებული, ისეთით, რკინის ხიდებს, რომ კრავენ... აი ისიც, ყვითელჩაჩიანი, ისიც მასეთია – წინ მიიწევს, თითქოს ქვას სიმძიმე არ ჰქონდეს და ბამბის ქულა იყოს. მას ყველაზე დიდი მისცეს, ისე გასართობად, თუმცა ამანაც წონა დაკარგა. შევლივით აირბინა აღმართი.*⁸⁶ ფრანგიასის გმირები, როგორც ჩანს, აცნობიერებენ იმ უსამართლო ბედს, რაც მათ წილად ხვდათ. ამის გაცნობიერება კი უკვე მათი გამარჯვების გოლფასია. “შავი ჭირის” ზოგიერთი პერსონაჟი ისეთივე “აბსურდის და მეამბოხე ადამიანი” არის, როგორც კამიუს რომანის გმირი “სიზიფოსის მითში”.⁸⁷ კამიუს ეს საოცარი

⁸⁴ მ. ანთაძე, ეღუარდ ოლბი: ექსისტენციური ინტუიცია, თანამედროვე დასავლური დრამა, ესეები თანამედროვე საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე, თბილისი 1989, 71.

⁸⁵ С. Фокин, Альбер Камю. Роман. Философия. Жизнь, Санкт-Петербург 1999, 231.

⁸⁶ Α. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 108.

⁸⁷ კამიუს მიაჩნდა, რომ სიზიფოსი გონიერი და ღირსეული ადამიანი იყო. მისი ცანჯვის მიზეზს თავად იგი კი არა, არამედ ღმერთების გულმწყერალობა წარმოადგენდა. იგი პასუხს აგებდა, თუმცა არ იყო დამნაშავე. მას მარადიული, ფუჭი და მძიმე შრომა ჰქონდა მისჯილი. მიუხედავად ამისა იგი საკუთარ ბედზე მალლა დადგა. როცა მთიდან დაგორებული ქვის ამოსაგანად ეშვებოდა, იცოდა, რომ როგორც კი კვლავ მწვერვალს მიაღწევდა ქვა ისევ დაგორდებოდა და ის კვლავ მწვერვალზე უნდა აეგანა. მიუხედავად ამისა იგი ეშვებოდა

გმირი, ჩვენი აზრით, ფრანგიასის “ყვითელჩაჩიანში” პოეებს განსახიერებას, რომელიც აცნობიერებს რა საკუთარ აბსურდულ მდგომარეობს, თავის ქვაზე უფრო მგკიცე ხდება. მას ამბოხი ეხმარება, რომ დასძლიოს სასოწარკვეთილება და თავს “გამარჯვებულად” თვლის: *რაგომ მიღიხარ ასე სწრაფად ასე მძიმე ქვით? რაგომ აკეთებ ამას? - რათა არ შევუქმნა მათ კმაყოფილების გრძნობა, რომ მგანჯავენ,*⁸⁸ - პასუხობს ყვითელჩაჩიანი მის გვერდზე მყოფს.

მსჯავრდებულთა “გამარჯვება”, მათი “ამბოხი” ეს უბრალოდ საკუთარი თავისადმი ნუგეშისცემაა აბსურდული სისტემის ხელისუფალთა კლანჭებში მოქცეული ფრანგიასის გმირებისათვის, რომელთაც არ შესწევთ ძალა მათგან საბოლოოდ თავის დაღწევისა: *ყველა მრომობს, იჭერს ბუბებს და ელოდება საღამოს, რომ მისი ცუდი საქციელი დავთარში აღრიცხონ. ეს მისი ძველი და ახალი ცოდვებია, რაც სამარადისოდ განჯავს მის სულს. ამის იქით არაფერი არსებობს. არც აღრე იარსებებდა და არც მერეა შესაძლებელი მოხდეს რაიმე სხვა, რაც არ იქნება იმის მსგავსი, რაც აქ ხდება. სამყარო, სადაც ვცხოვრობთ, მარადიული და უცვლელია. და ასე იქნება სამარადეამოდ. არ გვეგონოს ეს კედლები აქვე ახლოსაა. სიცრუეა! ისინი სამყაროში უსაზღვროდაა გადაჭიმული. იმის იქით კი აღარაფერი არსებობს. სიბნელე, უმოძრაობა და ყინვა. ამ სამყაროს უნდა მოერგო. სხვანაირად წასულია შენი საქმე.*⁸⁹ როგორც ვხედავთ, “შავი ჭირის” პერსონაჟებს სიმამაცე იმისთვის გააჩნიათ, რომ მონობას

მთიდან, რათა ეშრომა. იგი ამ დროს უფრო დიადი იყო, ვიდრე მისი დამსჯელი ღმერთები და ის ქვაც უკვე ღმერთებს აღარ ეკუთვნოდა, ის სიზიფოსის საქმედ იყო ქცეული. ძალდაგანება კი, რომლისგანაც თითქოს არ შეეძლო თავის დაღწევა, სიზიფოსის ნებაყოფლობით გმირობად იქცა. იგი არ დაემორჩილა, არ იქცა ღმერთების ყურმოჭრილ მონად. არ შესწევდა რა მას ძალა მათ მიერ მიჩენილი განჯვა აერიდებინა, გააცნობიერა თავისი მდგომარეობა და ამაყი წინააღმდეგობით თავისი მონობა თავისუფლებად აქცია, თუნდაც ბედის “კედლებში”, “საზღვრებში” დაგყვევებულმა; შდრ.: И. Шкунаева, Современная Французская Литература, Экзистенциалистское направление в философии и художественной литературе, Альбер Камю, Москва 1961, 166.

⁸⁸ Α. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 111.

⁸⁹ Ibid., 69-70.

გაუძღონ და არა იმისთვის რომ გაიმარჯვონ მასზე. ბერძენი მწერლის ამბოხი იმაში გამოიხატება, რომ მონას მისი მონური მდგომარეობა შეაცნობინოს, ნაცვლად იმისა, რომ მას შთაუნერგოს თავისუფლება, უნარი და სურვილი ბორკილების დამსხვრევისა. მისი გმირების ამბოხი არაფრის მომგანია. ეგზისტენციური ამბოხით შეპყრობილი ქურუმის სარკეში არეკლილია სიცარიელე – არარა.⁹⁰ მწერალს, როგორც ჩანს, სურს დაგვარწმუნოს იმაში, რომ არსებობა წრეზე უსასრულო გრიალია, იზიარებს რა იმ თეზისს, რომელსაც აბსურდისტები ყოველთვის ეყრდნობოდნენ: “ეს ასეა, ასე იყო და ასე იქნება”. კედლები კი, რომელიც გარს შემორგყმიან ადამიანებს, აიძულებენ მათ გააცნობიერონ მათი განწირულობა. ისინი გრძნობენ, რომ დაკარგული აქვთ უნარი იმისა, რომ აკეთონ ცხოვრებაში უმთავრესი რამ: აშენონ მომავლი.

იმ ნაწარმოებთა დიდ ნაწილში, რომელიც აბსურდის თემას მოიცავს, როგორც წესი, ფანტასტიკური ელემენტები ჭარბობს. არ არის გამონაკლისი არც ა. ფრანგიასის რომანი, რომელშიც ფანტასტიკა და რეალობა ერთმანეთში მჭიდროდაა გადახლართული. აქ საქმე გვაქვს გმირების მეგამორფოზასთან, მათ უცნაურ არსებებად გადაქცევასთან. საკონცენგრაციო ბანაკის ჯალათები უზარმაზარ ურჩხულებად იქცევიან ხოლმე. მწერალი მათ ღამის უცნაურ ქმნილებებად მოიხსენიებს, რომლებიც ამ ჯოჯოხეთური ადგილის ბინადართათვის ღამის კომმარადაა ქცეული: *ამ უცნაურ არსებებს, რომლებიც მთიდან ეშვებიან, გრძელი კლანჭები აქვთ ბასრი ბრჭყალებით და უხეში, ეკლიანი ჯავშანი. ოთხით დადიან, ხობავენ მუსკელზე, რომელიც ბურვს უფრო წააგავს. მძიმედ სუნთქავენ. არსებობენ ისეთებიც, რომლებიც არც სუნთქავენ და თვალებსაც არ ახამხამებენ. შეუძლიათ დაპაგარავდნენ, მწერებად იქცნენ და ქვებში და ოჯახურ საფლავეებში ჩაძვრენ, სადაც შესაძლებელია ერთ ღამეს მოულოდნელად გაიბარდონ, თავიანთი ბუნებრივი ზომა დაუბრუნდეთ,*

⁹⁰ შდრ.: მ. ანთაძე, ელუარდ ოლბი: ექსისტენციური ინგუიცია, თანამედროვე დასავლური

შესაძლოა უფრო დიდიც, მთელი გერიგორია მოიცვან, მენ კი, დაბნეული და დამფრთხალი დაუწყებ ცქერას დაგორგოსალავებულ სხეულებს ბანჯგვლიანი საცეცებით. ასევე შესაძლოა სისხლიც გამოგწოვონ, ისე, რომ ვერაფერი გაიგო, გულის ცემის გარეშე და სისხლდაცლილი ვენებით გაიღვიძო.⁹¹ შესაძლოა ასევე მენს წინაშე მდგომი ჩვეულებრივი არსება მოულოდნელად საშინელ ურჩხულად გადაიქცეს: თვალყურს აღევნებ მას, ვინც მენს წინ ღვას. კისერზე მუწუკი აქვს, საიდანაც შედედებული ჩირქი გადმოსდის. გამომშრალი კანი ნაიარევის ადგილას შეწითლებული აქვს. დაეჭვებული შემობრუნდა. კარგად შეხედე. კლდეებსა და ხევში მობინადრე ღამის ფრინველია. საიდან წარმოიშვა ეს არსება, რა არის მისი, როგორც ბუნებრივი ორგანიზმის ისტორია და რა სახეობას ეკუთვნის? ვერ გაიგებ ირგვლივ რას ხედავს, სინათლეს ამჩნევს თუ არა, რა ფერებს არჩევს, ცას როგორ აღიქვამს? იქნებ მწერის პრიბმული და მრავალწახნაგიანი თვალები აქვს და ყველაფერს დაქუცმაცებულად ხედავს, შავი და თეთრი შეფერილობით? შემობრუნდა და გიყურებს, თითქოს მისმა საცეცებმა ინფორმაცია მიიღო, პაგარა, უნდო, მოჭუტული თვალებით. აქ ირგვლივ ბევრი უცნაური არსებაა, რომლებიც კლდეებიდან აღმოცენდნენ. მენს ამრებს კითხულობენ და გრძნობენ მენს გიბლს, სუნთქვას ყურს უგდებენ და საცეცებით ინფორმაციას იღებენ.⁹² ამგვარი ელემენტების გამოყენებით, მწერალი მიზნად ისახავს ამ ადამიანების შინაგანი სამყარო დაგვანახოს და მეგამორფომის საშუალებით ხაზი გაუსვას მათში ჩაბუდებული ცხოველურის წარმოჩენას. ლიგერაგურაში ადამიანების ცხოველებად გადაქცევის შესახებ ასეთ ახსნას გვაძლევს ბერძენი კრიტიკოსი ე. სტავროპულუ: “... ელემენტები, რომლებიც ადამიანების ძირითადად ცხოველებად გადაქცევასთანაა დაკავშირებული, რასაც ანტიკური მხატვრული ლიგერაგურის არაერთ

დრამა, ესეები თანამედროვე სამღვარგარეთულ ლიგერაგურაზე, თსუ, თბილისი 1989, 57

⁹¹ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 35

⁹² Ibid., 162-163.

ნაწარმოებში შევხვედრივით, გამოიყენებოდა უმეტესწილად, რათა დაგვენახა მორალურად დაცემული, ინსტიტუტებსა და შიშს დამონებული, სახეშეცვლილი, გაუცხოებული ადამიანის სახე. XX საუკუნის მხაგვრულ ლიგერატურაში ეს მოტივი გამოიყენება, რათა თანამედროვე საზოგადოების გეწოლის შედეგად პიროვნების სრული სახეცვლილების საშიშროება წინა პლანზე იქნას წამოწეული”.⁹³ გმირების ამამრმენ არსებად გადაქცევით ფრანგიასი ადამიანის გაუცხოების ფაქტს უსვამს ხაზს, ირეალურის რეალურ სამყაროში შემოჭრით იგი ადამიანური არსებობის გრაგედის აღმოაჩენს. ე. წ. “ჯალათები”, აბსურდულ სისტემას დამონებულნი, რომელთაც სრულიად დაკარგული აქვთ საკუთარი პიროვნულობა, გოგალური გაუცხოებისთვის არიან განწირულნი.

ადამიანების უცნაურ არსებებად გადაქცევის ელემენტები ბერძენ მწერალს ფ. კაფკას შემოქმედებასთან აახლოებს.⁹⁴ კაფკას გმირებისათვის სამყარო უსახო, უსახელო, ადამიანისთვის საშიშ და მისადმი ბოროტად განწყობილი არსებებითაა დასახლებული.⁹⁵ “კაფკას ასახვის დამახასიათებელი მანერაა პერსონაჟის (ფაქტობრივად ანტიგმირის) მოულოდნელი გადაყვანა ჩვეული, ბანალური სიგუაციიდან აბსოლუტურად უცხო, უჩვეულო და გაუგებარ გარემოში. მის ყველა თხზულებაში ორი სინამდვილეა, ორი სიბრტყე – კონკრეტული, ყოველდღიური, ემპირიული და სიმბოლური, ფილოსოფიური, შინაგანი”.⁹⁶ ა. ფრანგიასის “შავი ჭირის” რეალური სამყაროც უცნაური და ადამიანისათვის საშიში არსებებითაა დასახლებული: *მთელი სამყარო ბუმბა დაფარა, რომელიც უზარმაზარ და ფრთიან ურჩხულად იქცა, დაბერილი ცეცხლოვანი თვალებით, წვეტიანი ღინვით, საცეცებით, ამოუყორავი ყბებით, ჯავშნით და რკინის დაგრეხილი ფეხებით. ... შიშისაგან ტანში გზარავს ამ*

⁹³ E. Σταυροπούλου, Προτάσεις ανάγνωσης για την πεζογραφία μιας εποχής, Αθήνα 2001, 155.

⁹⁴ ამ შემთხვევაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფ. კაფკას ნოველა “მეგამორფოზა”.

⁹⁵ Л. Г. Андреев, О современных декадентах, о литературно-художественных течениях XX века, Москва 1966, 138.

⁹⁶ ნ. კაკაბაძე, ფრანც კაფკა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, გ. V, თბილისი 1980, 441.

ცხოველის შემხედვარე. მას ცხოველური ძალა აქვს, რასაც მას ეს აუხსნელი მანქანა აძლევს”.⁹⁷ ჯალათების შემხედვარე მსჯავრდებულები იმის შიშით იგანჯებიან, თავადაც რამე ურჩხულად არ გადაიქცნენ: *ღმერთს ვევედრები ხელიკად, თავფეხიანად, მრავალფეხად, ჯავშნიანად არ გადავიქცე. [...] არ მინდა ვიყო მწერი, მძულს ყველანაირი ცხოველი, დიდიც და პატარაც, ჩიგებიც და თევზებიც*,⁹⁸ – ამბობენ სასოწარკვეთილი მსჯავრდებულები. ამ შემთხვევაში შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ფრანგიასი ცდილობს გაუცხოებული ადამიანის სახე შექმნას და გამოიწვიოს გრაგიკული და უსაშველო მარგობის შეგრძნება.

აღნიშნულ ნაწარმოებში ადამიანი, როგორც განსაკუთრებული, კონკრეტული არსება, ცენტრალურ ადგილს იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი მას ხშირად მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს – “მოსახლეობა” (κάτοικοι), “ადამიანები” (άνθρωποι), “ხალხის მასა” (πληθυσμός), მისთვის ადამიანური ეგზისტენცი ყოველთვის ინდივიდუალურია. ა. ფრანგიასი, ისევე როგორც მის სხვა რომანებში, “შავ ჭირშიც” თითოეულ პერსონაჟს არ წარმოგვიდგენს ან მის შესახებ დასრულებულ ამბავს არ მოგვითხრობს რომელიმე კონკრეტულ თავში. იგი თითოეული გმირის ამბავს სხვადასხვა თავებში მოკლე სიუჟეტებად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვითარებულ ეპიზოდებში წარმოგვიდგენს. პერსონაჟის შესახებ ერთ თავში დაწყებული ისტორია რომანის სხვა თავში გრძელდება. თუმცა მთლიანობაში თუ შევაჯამებთ პერსონაჟთა შესახებ მოყვანილ მონაცემებსა და ამბებს, მივიღებთ თითოეულ გმირზე ერთ სრულყოფილ ისტორიას, რაც მათი ყოველდღიური ცხოვრების, სულიერი და ფსიქოლოგიური მდგომარეობის, მათი სხვა ადამიანებთან და გარესამყაროსთან ურთიერთობის შესახებ მოგვითხრობს. “შავი ჭირის” გრაგიკული ისტორიის თითოეულ მონაწილეს თითქოს

⁹⁷ Α. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 91.

⁹⁸ *Ibid.*, 173.

დაკისრებული აქვს ჩვენამდე მოიგანოს საკუთარი ცხოვრების გვირთი, რაც ერთ მთლიანობაში მწერლის ცხოვრებისეულ ფილოსოფიას აყალიბებს.

რომანის კითხვისას მკითხველს ებადება შეგრძნება, რომ ყველაფერი ანონიმური და გასაიდუმლოებულია. მისთვის უცნობი რჩება სიუჟეტში მიმდინარე მოვლენების ხანგრძლივობაც და ადგილიც, არავინ იცის რამდენ ხანს გრძელდება მსჯავრდებულთა განჯული ცხოვრება, რომელთათვისაც დღე იძულებით და აბსურდულ შრომად, ღამე კი უსასრულო კომმარადაა ქცეული. ასევე უცნობი და ანონიმურია თითოეული პერსონაჟის საკუთარი სახელი, ხელისუფლების წარმომადგენლები იქნებიან ისინი თუ თავად მსჯავრდებულნი. მწერალი თავის პერსონაჟებს მათი სულიერი ან ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე მათ გარეგნულ ნიშნებთან შესაბამისი გედმეგსახელებით მოიხსენიებს.⁹⁹ რომანში ვხვდებით ისეთ სახელებს, როგორცაა:

“უგუნური-გადაწყვეტილების მომლოდინე” – პირველად მაშინ ჩნდება, როცა გედამხედველის მხარზე დამჯდარ ბუმს იჭერს. გედამხედველი მას ემუქრება, რომ ასეთი საქციელის გამო სასტიკად დაისჯება. აქედან მოყოლებული იგი დაუსრულებლად ელოდება სასჯელს. მაშინ როდესაც მისი განცდა იმის გამო, თუ რა მოელის და გაუძლებს თუ არა წამებას, კულმინაციას აღწევს, აღმოაჩენს

⁹⁹ როგორც თავად მწერალიც აღნიშნავდა ერთ-ერთ ინტერვიუში, მას არ სურდა და არც შეეძლო მოცემული ისტორია რეალისტურ რომანში აესახა, ვინაიდან, ერთი მხრივ, შეუძლებელი იყო სიგყვასიგყვით აღეწერა გრაფიკული მოვლენები, მეორე მხრივ კი მიაჩნდა, რომ პერსონაჟებისთვის საკუთარი სახელების დარქმევით ეს თემა ნაკლებ ფართომნიშვნელობის და მრავალსახოვანი იქნებოდა: “რომანში მოვლენების აღნუსხვა კი არ ხდება, არამედ იქ მაკრონისოსთან დაკავშირებული ვრცელი საკითხია შეჯამებული. ერთი მხრივ, სისტემის უამრობასა და ბარბაროსობაზე ხაზგასმით, მეორე მხრივ კი, პერსონაჟთა არა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ჯგუფებად წარმოჩენით, შევეცადე მთლიანობაში ამესახა ეს ფენომენი. მხოლოდ ასეთი საშუალებით შეეძლო წარმომეჩინა მოვლენების აბსურდული მხარეები: გეწოლა, რასაც განიცდიდა პიროვნება და ძალადობა, რომელიც იქ სუფევდა... ის ფაქტი, რომ არ არის დასახელებული ადგილი, დრო და სახელები და ყველა ზოგადი დამახასიათებელი ნიშნებითაა მოხსენიებული, მიზნად ისახავს იმას, რომ არ მოხდეს საგნების ინდივიდუალიზაცია და მოვლენების კონკრეტიზაცია”. შდრ.: ნაწყვეტები ინტერვიუდან ჟურნალებში: ა) «Το Δέντρο», χρόνος 14, τόμ. 9, τευχ. 66, Ιαν.-Μαρτ. 1992, 38-39; ბ) Γ. Η. Παπιάς, Συνομιλία με τον Αντρέα Φραγκιά, «Ελί-τρόχος», τευχ. 2, Απρίλιος-Ιούνιος 1994.

რომ “ღამის უცნაურ არსებებს” შორის არის მისი მეგობარი, რომლისგანაც შევლას ელოდა. მისგან შეიგყობს, რომ მათი მეგობრობაც და სასჯელის მოლოდინიც ხელისუფლების გეგმის ნაწილი იყო, რაც მასში ყოველგვარი წინააღმდეგობის უნარის აღმოფხვრასა და მის განადგურებას ითვალისწინებდა.

ა. ფრანგიასის გმირის დანაშაული ისევე აბსურდულად წარმოგვიდგება, როგორც ეს ფ. კაფკას პერსონაჟის შემთხვევაში გვხვდება რომანში “პროცესი”.¹⁰⁰ ა. ფრანგიასი, ავსტრიელი მწერლის მსგავსად, ამ კონკრეტული პერსონაჟის შემთხვევაში ადამიანის აბსურდული ცხოვრების გაშუქებას ისახავს მიზნად. მწერალი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მისი ეპოქის ადამიანი არაადამიანური ძალების გყვეობაშია. ეს ძალები კი ადამიანშივე წარმოიშობა, რათა გაძლიერდნენ, იქცნენ უსახურ ქმნილებებად და თითოეული ჩვენგანი გაანადგურონ.

“უცვინო დამაქცეველი” – რომელმაც კირით შეთეთრებული ბილიკი შემთხვევით გააფუჭა. ცდილობს თვითონ შექმნას საკუთარი არსებობის კონკრეტული სახე და არსებულ სიგუაციაში იგი არჩევანს აკეთებს. იგი ყველაფერს აღიარებს, ცდილობს ხელისუფლების ენა ისწავლოს, წერს ჰიმნებს, აღიარებებს და განცხადებებს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ იგი ეგზისტენციალურ თავისუფლებას აღწევს, იმ თავისუფლებას, რაც სარგრის კონცეფციის თანახმად მორჩილებაში გამოიხატება. საინტერესოა, რომ ის ერთადერთი რამ, რაც მის არსებობას აზრს აძლევს არის ჰიმნების, აღიარებების, განცხადებების წერა: *მხოლოდ ასე შეიძლება იარსებო ამ*

¹⁰⁰ რომანში “პროცესი” კაფკას გმირს ერთ დღეას მოულოდნელად ორი უცნობი ადამიანი აგყობინებს, რომ ამ წუთიდან მოყოლებული იგი დაპატიმრებულია და უნდა დაელოდოს მოწვევას სასამართლოდან. ეს მოწვევა კი რომანის დასასრულამდე არ მოდის. აქედან მოყოლებული იწყებს გმირი იმის ძიებას, თუ რა ბრალი მიუძღვის მას, ეძებს მოსამართლეებს, ფიქრობს თუ რა ბრალდება შეიძლება წაუყენონ და როგორ უნდა იმართლოს თავი. სურს მონახოს ადამიანები, რომლებიც მას დაეხმარებიან, თუმცა აღმოჩნდება, რომ ეს ადამიანები არიან მხოლოდ ნიღბები, მისი ფანტაზიის კომმარული არსებები, მისი დანაშაულის პარადოქსული მოწმენი. მღრ.: Ф. Кафка, Процесс, Москва 1991.

ჯოჯობეთში,¹⁰¹ – აცხადებს იგი, სწამს რა, რომ ასეთი საშუალებით შესძლებს თავი დააღწიოს ცხოვრების აბსურდულობას. ეს პერსონაჟი, ერთი შეხედვით, სარგრის როკანგენსაც მოგვაგონებს, რომელიც ასევე წერაში პოულობს შევებას, გამოხატავს რა სიგყვებით საკუთარ განცდებსა და მღელვარებას. თუმცაღა მისგან განსხვავებით “უგვინო დამაქცეველი” იმასაც აცნობიერებს, რომ იგი არ ქმნის რაიმე ფასეულს, რაც ადამიანებს სიხარულს და სიამოვნებას მიანიჭებს და რითაც შეიძლება ადამიანმა გაამართლოს თავისი არსებობა.

“დამფრთხალი” – ცდილობს ხელისუფლების ყურადღების ცენტრში არ მოექცეს. ჰყავს ბავშვობის მეგობარი “ქველმოქმედი-ოპტიმისტი”, რომელიც მექანიკოსია. იგი მეგობრის უბედურებაში საკუთარ თავს ადანაშაულებს და ეს დანაშაულის გრძნობა მას გამუდმებით ტანჯავს.

“ქველმოქმედი-ოპტიმისტი” – იღებს გადაწყვეტილებას გააკეთოს განცხადება საკუთარი მონანიების შესახებ. “დამფრთხალის” მისადმი გულგრილი დამოკიდებულება და იმის შიში, რომ მას მეგობართან ერთად დაინახავენ, ხდება თვითმკვლელობის მცდელობის მიზეზი. მას საავადმყოფოში მოათავსებენ, სადაც ყველა, მისი მეგობრის ჩათვლით, ხელს აწერს საბუთზე, იმის დასტურად რომ იგი ნევრასთენიითაა დაავადებული. მას “სასაცილო თვითმკვლელს” უწოდებენ. საბოლოოდ იგი მანც მოახერხებს თავის მოკვლას.

“ფერმკრთალი-ნაცემი” – ფსიქიურად გაუწონასწორებელი ხდება. გამუდმებით ეძებს “მეგაფონში მოლაპარაკე” ადამიანს, რომელიც მის წინააღმდეგ გამოდის. ერთხელაც გამწარებული მეგაფონს დაუწყებს ქვის სროლას, რის გამოც მას ხელისუფლების წარმომადგენლები ქვებით ჩაქოლავენ. ამის შემდეგ იგი დაინვალიდებულია, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად: *ყველა კუთხეს არა მხოლოდ უნდა ყავდეს, არამედ თავადაც უნდა აქციოს ადამიანები გიჟებად*¹⁰² - ამბობს მთხრობელი. საბოლოოდ “ფერმკრთალი-ნაცემი” შემთხვევით ნახავს

¹⁰¹ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 230.

მეგაფონში მოსაუბრეს და აღმოჩნდება, რომ იგი მისთვის სრულიად უცნობი ადამიანია. მის მოკვლას განიზრახავს, თუმცა იგი თავად გახდება მსხვერპლი. ერთ დილასაც მას მეგაფონის ქვეშ მკვდარს ნახავენ.

“მგაცებელი” – მას გამუდმებული დავიდარაბა აქვს თავის “მეგობართან”, რისი მიზეზიც არის ერთი ბუზი: *მათ ქაოსი აშორებდა. ეს კი ერთი ბუზი იყო*¹⁰³ – ვკითხულობთ რომანში.

“იღლიანი ადამიანი” – თავდაპირველად უმნიშვნელო და გარესამყაროსთან ადაპტირებული პერსონაჟის შთაბეჭდილებას ტოვებს. მოგვიანებით ხელისუფლება მას მრავალ განსაცდელში ჩააგდებს, შეეცდება რა მის ზღვაში დახრჩობას, გალიაში გამოკეცავს, ცომარაში გარეულ კაცასთან ერთად ჩასვამს და სხვ. თუმცა ეს ადამიანი მრავალ წინააღმდეგობას დასძლევს, დიდ გამბედაობას, სულიერ და ფიზიკურ გამძლეობას გამოიჩენს. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ ა. ფრანგიასი სარტრის კონცეფციას ემხრობა, რომლის თანახმადაც გარემოება ტოტალურად გამოუვალი არასდროს არაა. ადამიანის ბედი მის შიგნითაა და მისი ერთადერთი იმედი მისივე მოქმედებაა.¹⁰⁴

“შემოქმედი” – ხიდის მშენებელია, რომელიც არ აღიარებს რა, რომ ხიდის მშენებლობას განზრახ აფერხებს, საშინლად დაისჯება. მას გალიაში გამოამწყვდევენ. ყველასაგან იზოლირებული “შემოქმედი” აღმოაჩენს, რომ მარტოობამ გაანადგურა. “შემოქმედის” შრომის უნაყოფოება კიდევ ერთხელ ადასტურებს ბერძენი მწერლის შეხედულებას ადამიანის სამყაროში არსებობის შესახებ: ადამიანის ყოველი მოქმედება ამაოა.

“ის, ვინც თვითმკვლელობა სცადა” – ჯალათობაზე უარს აცხადებს, ამის გამო მასაც მრავალი განსაცდელი ელის. იმ დროს, როცა ბურგბემოკიდებულ

¹⁰² A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 241.

¹⁰³ Ibid., 100.

¹⁰⁴ გ. თევზაძე, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბილისი 2002, 461.

დაჭრილს იძულებით მიათრევს შეეცლება თავის მოკვლას. ბოლოს მასაც გარეულ კაცასთან ერთად გომარაში სვამენ.

“მწყურვალნი” – რომელიც, შეიძლება ითქვას, პასიური პერსონაჟია. იგი გამუდმებით იმ ეჭვის ქვეშ ცხოვრობს, რომ “შავჩაჩიანმა” დააბეზდა.

“შავჩაჩიანი” – მეტად საინტერესო პერსონაჟია. “შავჩაჩიანი” ორმხრივი გეწოლის ქვეშაა. ერთი მხრივ, იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ “მწყურვალს” დაუმტკიცოს მისი უდანაშაულობა. ეს მას დიდ სულიერ ტკივილს აყენებს. მეორე მხრივ კი, იგი ხელისუფლების მხრიდან ფსიქოლოგიურ გეწოლას განიცდის. ხელისუფლება ცდილობს მასში პიროვნების გაორება გამოიწვიოს (უწოდებს რა მას “ყვითელჩაჩიანს” და “გამყიდველს”). ხელისუფლება არაერთხელ ეცდება ათასგვარი სასჯელით მის სულიერ და ფიზიკურ განადგურებას. მოგვიანებით ხელისუფლება მას ჯალათობის კანდიდატების გამოცდაზე გამოიყენებს როგორც საცდელ ცხოველს, სადაც “შავჩაჩიანი” დიდ გამძლეობასა და გამბედაობას გამოიჩენს. მისი საბოლოო განადგურების მიზნით ხელისუფლები მას დანარჩენი მსჯავრდებულების წინაშე როგორც თავიანთ მოხელეს ისე წარადგენენ. ყველასაგან იზოლირებული “შავჩაჩიანი” საბოლოოდ გიჟდება.

ეს ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით ერთად არიან, *ოჯახურ საფლავეებში გვერდიგვერდ ძინავთ, თითოეული მათგანი მარტოსულია, როგორც მიცვალებული. [...] ხშირად ისეთ ადამიანებთან ერთად ცხოვრობ, რომელიც დღისით არასოდეს გინახავს, მას მხოლოდ სუნთქვით ცნობ*¹⁰⁵ – აღნიშნავს მთხრობელი. ისინი ერთმანეთს ერიდებიან, გაურბიან ერთმანეთთან სიახლოვეს, რადგანაც არ იციან, ვინ არის მათი მგერი და ვინ მოყვარე: *ისე დავეცით, რომ თითოეული ჩვენგანი კითხვის ნიშნად იქცა. გვერდზე მყოფს ერიდება და დაძაბულია. ბევრმა თვალებზე ცელოფანი მიიკრა, ვითომდა*

¹⁰⁵ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 16, 18.

*მგვერისგან და ხრეშისგან დასაცავად, თუმცა უფრო მეტად იმისთვის, რომ ანონიმურობის ნიღაბით შეიმოსოს.*¹⁰⁶ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მწერალი ცდილობს შექმნას გრაგიკულ და გამოუვალ მარგობაში მყოფი გაუცხოებული ადამიანის სახე.

ერთია გქონდეს შიში და ეჭვი სხვების მიმართ, საკუთარი თავისადმი შიში ეს ყველაზე დიდი საგანჯველია ადამიანისთვის. მსჯავრდებულებს ღამღამობით ერთმანეთის გვერდით ჩაძინებისაც კი ეშინიათ, ძილში რამე არ წამოსცდეთ და თავად არ გაყიდონ საკუთარი თავი: *ძილში თუ რამე წამოგცდა, ცუდად არის შენი საქმე, შეაგროვე ბუბები, ხელისუფლების რისხვისაგან თავი შორს დაიჭირე და უმჯობესია არავინ გიცნობდეს არც შენი ცუდი და არც კარგი საქმისთვის.*¹⁰⁷ – ასეთ დასკვნამდე მიდიან “შავი ჭირის” ჯოჯოხეთურ და აბსურდის სამყაროში მობინადრე გმირები. ვფიქრობთ, რომ ფრანგიასი ასახავს რა თავისი პერსონაჟების მარგობას, ხაზს უსვამს თანამედროვე სამყაროში ადამიანის მიერ ადამიანის გოგალური უარყოფის, მათ შორის კომუნიკაციის არარსებობის, გაუცხოების ფაქტს.

რაც შეეხება ხელისუფლების წარმომადგენლებს, ფრანგიასს შემდეგი უსახო და უსახელო პერსონაჟები შემოჰყავს: ხელისუფლების სათავეში დგას “მამა”, შემდეგ მოდიან “მმართველი”, “მედამხედველები”, “მარეგულირებლები”, “დამსაქმებლები”, “ორგანოები”, “მეთვალყურეები”, “თეთრპერანგიანები”, “განცხადებების ჩამწერები”, “მცველები”, “ჯალათები”, “ნიღაბი”, “სქელ კისერა” და სხვ. ვ. როგოლო ასე ახასიათებს მათ: “მაშასადამე უსახო და უსახელო ადამიანები. [...] ეს შემთხვევითი არაა. ამ ადამიანებს ისე ცოცა რამ შემორჩათ ადამიანური გარეგნული ნიშნებისგან, რომ არც სახელისა და არც სხვა ადამიანური თვისებების ქონის ღირსნი არ არიან”.¹⁰⁸

¹⁰⁶ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 236.

¹⁰⁷ *Ibid.*, 25.

¹⁰⁸ V. Rotolo, *Ο Λοιμός του Αντρέα Φραγκιά, περ. «Νέα Δομή»*, τευχ. 1, 1976, 75.

გაუცხოების სავარაუდო შედეგებს ფსიქოზი, თვითმკვლელობა, სტრესი, ფსიქოსომატური მოშლილობები წარმოადგენს,¹⁰⁹ რაც “შავი ჭირის” პერსონაჟებისთვისაა დამახასიათებელი. შიში, გაუცხოება, მარტოობა, ერთმანეთისადმი უნდობლობა ფრანგიასის გმირებს სულიერად და მორალურად ანადგურებს, რაც მათი ფსიქიური მოშლილობითა და თვითმკვლელობით სრულდება. ნაწარმოებში ხშირად ვხვდებით პერსონაჟთა თვითმკვლელობის მცდელობის მომენტებს,¹¹⁰ ბევრი მათგანი სიგიჟის ზღვრამდე მიდის:¹¹¹ *მათ თან ჰქონდათ ქაღალდი, სადაც დაწვრილებით ეწერა ქველმოქმედის ფსიქიურ დაავადებათა შესახებ, ანუ მასზედ, რომ იგი ნამდვილი გიჟია, რომელიც ხშირად საუბრობდა ცხოვრების ამოებამზე.*¹¹² ასეთი შემთხვევები გახშირდა. ეს რაღაც ეპიდემიის მსგავსია, უეცრად მოედება აქაურობას, შემდეგ უფრო ძალას იკრებს, ცოცა ხანი მინელდება და შემდეგ ისევ აბობოქრებული გალღასავით თავს გვესხმის.¹¹³ ა. კოძიასი ამასთან დაკავშირებით ჟურნალ “ვიმაში” წერდა: “რომანის დასასრულისკენ, როცა სიგიჟე ეპიდემიასავით ედება იქაურობას, ამას მეგად ბუნებრივად აღვიქვამთ და თითქოს შვებასაც ვგრძნობთ. ეს არის სირცხვილისა და მიზლის სამყაროდან თავის დაღწევა, რომლის შესაფერისი სიმბოლოც გასრესილი ბუზია”.¹¹⁴ ჩვენი აზრით კი, ყველაზე უფრო მეგად დამახასიათებელი განწყობა, რომელიც გვეუფლება რომანის კითხვისას, არის შიში ამაზრზენი სიცოცხლის წინაშე. შიში ამ ადამიანების ძირითადი მახასიათებელია. ისინი არსებობის უაზრობის წინაშე ღვანან, რაც მათში მარტოობის შეგრძნებას და სასოწარკვეთილებას იწვევს. შიშის საგანი კი არარაობაა: შიში და არარაობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული,

¹⁰⁹ შტრ.: Πάπυρος Larousse Britannica, τ.: VII, Αλλοτροίωση, Αθήνα 1981, 61.

¹¹⁰ Α. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 69, 80, 96, 130-131, 163-64, 167, 226.

¹¹¹ Ibid., 41, 130, 132, 163, 168, 241, 243, 245.

¹¹² Ibid., 131-132.

¹¹³ Ibid., 245.

¹¹⁴ Αλέξ. Κοτζιάς, *Κριτική για το Λοιμός*, εφημ. «Το Βήμα», 15.02. 1963.

ერთმანეთს განაპირობებს.¹¹⁵ სწორედ ეს შიში ხდება “შავი ჭირის” პერსონაჟების გაგიჟების მიზეზი. მათი თვითმკვლელობა კი, შესაძლოა ამ შიშის დაძლევის საშუალებაცაა. ფრანგიასი ცხოვრების გულისამრევ და ბნელ მხარეებს გვიხატავს. მისი გმირები ძრწოლას განიცდიან და სიცოცხლეს უარყოფენ. ცხოვრების ამგვარი ხედვა კი ბერძენ შემოქმედს კიდევ ერთხელ სარგის შემოქმედებასთან აახლოებს. თუმცა, მისი პერსონაჟების თვითმკვლელობა წინააღმდეგობაში მოდის კამიუს აბსურდის კონცეფციასთან, რომლის თანახმადაც თვითმკვლელობა, ისე როგორც ეგზისტენციალისტების “ნახკომი” ღმერთისკენ, არის პარადოქსი ან ირაციონალურად ცნობიერების სიკვდილის გოლფასია.¹¹⁶

საინტერესოა, რომ XX საუკუნის მეგაფიზიკური შიშის დაძლევის საშუალებად აბსურდისტები სიცილს გვთავაზობენ. ისინი უიმედობის ჩიხში მომწყვდეული ადამიანის უმძიმესი სულიერი შეჭირვების გადმოცემას გრაფიფარსულ ფორმას აძლევენ. გრაფიფარსი აბსურდისტებისათვის მათი მსოფლალქმის ძირითადი ფორმაა.¹¹⁷ “შავი ჭირის” გმირები სიცილის საშუალებითაც ცდილობენ გაიმარჯვონ შიშზე. “შავჩაჩიანი” დახტის და იცინის, ეს მისთვის სიმწრის სიცილია. იგი დამფრთხალი და შეშინებულია, მას ხომ თანამობინადრეები მოღალატეობას აბრალებენ. გორაკის წვერზე კი ადამიანი, რომელმაც უზარმაზარი რკინის კასრი დააგორა *იცინის, კმაყოფილია თავისი მიღწევით, ხარხარებს და რაღაც აბდა-უბდა სიგყვებს გაიძახის.*¹¹⁸

“სასიცილო ხელოვნებას” შორეული წარსული აქვს. მ. ბახტინის მოსაზრებით “შუასაუკუნეების ადამიანი სიცილში გრძნობდა გამარჯვებას

¹¹⁵ კ. ბაქრაძე, ეგზისტენციალიზმი, თბილისი 1962, 26.

¹¹⁶ Е. П. Кушкин, Достоевский в зарубежных литературах, Достоевский и Камю, Ленинград 1978, 89, 90.

¹¹⁷ შდრ.: მ. ანთაძე, ელუარდ ოლბი: ექსისტენციური ინტუიცია, თანამედროვე დასავლური დრამა, ესეები თანამედროვე სამღვარგარეთულ ლიტერატურაზე, თბილისი 1989, 73.

¹¹⁸ Α. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 243.

შიშვე. ეს იყო არა მარტო გამარჯვება მისტიკურ შიშვე და ბუნების ამოუცნობ ძალებზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, დაძლევა მორალური შიშისა, რომელიც ადამიანს ბორკავდა, აბეჩავებდა, გონებას უმღვრევდა. სიცილი ანგრევდა ყველა აკრძალვას – “მანას” და “ტაბუს”, ღვთისა და ადამიანთა ძალას, ავგორიგეცს, სიკვდილის შიშს, იმქვეყნიურ ტანჯვას, ჯოჯოხეთს, ყველაფერ იმას, რაც ადამიანს სიცოცხლეზე საშინელი ეჩვენებოდა”. ბეკეგი კი გვთავაზობს “სიცილთა სიცილს – risus purus”, რომელიც სიცილს დასცინის. ეს არის ყოვლისმომცველი, დიდი სიცილი, რომელიც იცინის მათზე – ყურადღება! – ვინც უბედურია”.¹¹⁹ ხელისუფლების წარმომადგენლები დასცინიან “შაჟაჩიანს”, უწოდებენ რა მას “ყვითელჩაჩიანს” და ბრალად სდებენ “მწყურვალის” დაბეზღებას, ...*ის სქელკისერაც იცინოდა, რომელმაც მოწყურებულს ნება დართო.*¹²⁰ ისინი უბედურ ადამიანზე მაშინაც იცინიან, როცა ხედავენ რომ, მომაკვდავი მსჯავრდებული ზღვის ტალღებს ებრძვის.¹²¹

მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები ვერ ახერხებენ გაიმარჯვონ მათ გარშემო არსებულ აბსურდულ სისტემაზე, რომანის ფინალი ოპტიმისტურ ინგერპრეგაციას მაინც შესაძლებელს ხდის. *ამ ოპერაციებზე მრავალი მითქმა-მითქმა იყო. ისინი საიდუმლოდ სრულდებოდა და ხალხშიც სხვადასხვა ვერსიები ვრცელდებოდა. სიმართლე კი ის იყო, რომ ეს საოცარი ადამიანები გადარჩნენ.*¹²² რომანის ამგვარი დასასრულით, ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ საკონცენტრაციო ბანაკის მსჯავრდებულთა შორის ზოგიერთნი გადარჩნენ, რომელთაც მწერალი “საოცარ ადამიანებს” უწოდებს. ბერძენი კრიტიკოსების აზრით ამ “საოცარ ადამიანებს” მხოლოდ წარმოუდგენელი ფიზიკური და სულიერი ძალა როდი გააჩნიათ. ისინი, აცნობიერებენ რა, რომ მათი ბრძოლა

¹¹⁹ შდრ.: მ. ანთაძე, ედუარდ ოლბი: ექსისტენციური ინტუიცია, თანამედროვე დასავლური დრამა, ესეები თანამედროვე სამღვარგარეთულ ლიტერატურაზე, თბილისი 1989, 72.

¹²⁰ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 12.

¹²¹ იხ. A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 38.

სამართლიანი და ერთობლივია, მათში წინააღმდეგობის დაუშრეგელი სურვილი იღვიძებს, რაც ერთადერთი საშუალებაა იმისათვის, რომ დაიცვან მათი ადამიანური არსებობა და წინ აღუდგნენ შიშისა და გაუცხოების სამყაროს. ეს “ადამიანური სოლიდარობა” კამიუს “შავ ჭირს” გვაგონებს და იმ მეამბოხე ადამიანებს, რომლებიც უკეთესი მომავლის იმედით აღსავსენი, ყველანაირი საშუალებით ცდილობენ შეეწინააღმდეგონ ბოროტებას. ფრანგიასის “საოცარი ადამიანები” დანარჩენი პერსონაჟების მსგავსად, ზურგს არ აქცევენ ცხოვრებას. აცნობიერებენ რა სიკვდილის გარდაუვალობას, მათი სიცოცხლე ფასეული ხდება.

ანდრეას ფრანგიასის მიერ ადამიანური ცხოვრების ღირებულებების სარგრისეული ხედვა, რაც რადიკალურ პესიმიზმში გამოიხატება, რომანის დასასრულს კამიუსათვის დამახასიათებელ ოპტიმისტურ განწყობას იძენს. ამკარაა, რომ ნაწარმოების ფინალში მწერალი ცდილობს ადამიანთა ცნობიერებაში იმედის ნაპერწკალი გააღვივოს, რაც, შესაძლოა, რომანის ოპტიმიზმის საფუძვლად მივიჩნიოთ, თუმცა მის მიერ დახატული, ადამიანის სულიერი დაცემისა და გახრწნის უიმედო სურათების ფონზე ძნელია მისი გმირების სრულ გამარჯვებაზე ლაპარაკი. მისი “საოცარი ადამიანების” ცნობიერებაში არსებული იმედი აბსურდისტული დრამის გმირების იმედს ჰგავს, რომელთაც თითქოსდა მისჯილი აქვთ იქონიონ ის, რომელიც ამავე დროს იმდენად მგკივნეულად შორეული და აუხდენელია, რომ სისარულით გაინთავისუფლებდნენ თავს მისგან.¹²³ ა. ფრანგიასის გმირები მხოლოდ იმიტომ განაგრძობენ არსებობას, რომ ადამიანური ბუნება არ აძლევს მათ რაიმე სხვა არჩევანის საშუალებას.

¹²² A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 252.

¹²³ ლ. კერესელიძე, ედუარდ ბონდი: სოციალური დრამის ნიღაბი, თანამედროვე დასავლური დრამა, ესეები თანამედროვე საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე, თბილისი 1989, 108.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი დაკვირვებები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ა. ფრანგიასის შემოქმედებაში აშკარად ჩანს ეგზისტენციალისტური ტენდენციების გავლენა. “შავი ჭირის” პერსონაჟები აბსურდის სამყაროს აბსურდული და გაუცხოებული გმირები არიან. მწერალი თავისი ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების ქარცეცხლში ადამიანის არსებობის, მისი სიცოცხლისა და სიკვდილის სიღრმისეული განცდების ამსახველი პრობლემებით ინტერესდება. მწერალი სისასტიკისა და აბსურდის ასახვით ცდილობს აჩვენოს კაცობრიობას თავისი შეჭირვება. ადამიანის მარგობა, უიმედობა, უძლურება და უსუსურობა, მისი ყოფნა სიკვდილისა და არარაჲს წინაშე წარმოადგენს “შავი ჭირის” ძირითად თემას. იგი აღიარებს ადამიანების პირადულ, პროფესიულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველდღიური ძალადობისა და გეწოლის ფაქტს. სასურველი საკითხის ასახვას კი მწერალი ალევორიების, სიმბოლოებისა და მეგამორფოზების გამოყენებით ახერხებს.

ნაწილი მეორე / თავი მეორე

“შავი ჭირის” პერსონაჟების მიმართება ბუნების ელემენტებისადმი

მარგობა, ავადმყოფობა, სიკვდილი, ღონისძიმხდელი შრომა, რაც ადამიანურ გრძნობებს ანადგურებს და აუფასურებს, ადამიანური არსებობის ბნელ მხარეებს წარმოადგენს. თუმცა ცხოვრებაში სხვა რამეც არსებობს. მშვენიერი ბუნება, სულში ჩამწვდომი პეიზაჟები, ის სიამოვნება, რაც წარმავალი ადამიანის არსებობას სიხარულით ავსებს – წერდა ხმელთაშუაზღვისპირეთის ულამაზეს ბუნებაზე შეყვარებული ალბერ კამიუ.¹²⁴ თუმცა მისი შემოქმედების გვიან ეტაპზე, “სიზიფოსის მითში” იგი დასძენდა: “ყოველგვარი მშვენიერების

¹²⁴ შტრ.: С. Фокин, Альбер Камю. Роман. Философия. Жизнь, Санкт-Петербург 1999, 145.

მიღმა რაღაც არაადამიანური იმალება. ამ გორაკებმა, ცის საამო სიგრილემ, ხის ვარჯებმა ერთ წუთში შეიძლება დაკარგონ ის ილუმინორული მნიშვნელობა, რომლითაც ჩვენ მათ ვმოსავთ და უფრო შორეული ვახდენ, ვიდრე დაკარგული სამოთხე”.¹²⁵

მაშასადამე ბუნება, ეგზისტენციალისტების აზრით, ზოგჯერ შესაძლოა მგრულად იყოს განწყობილი ადამიანის მიმართ და მიუწვდომელი გახდეს მისთვის. ამ შემთხვევაში ადამიანი არის გაუცხოებული ბუნებასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი ირაციონალურ, განუსაზღვრელ, თავდამსხმელ ძალას ფლობს, რომლის გაკონტროლებაც მას არ ძალუძს.¹²⁶

საინტერესოა, რა დაგვირთვას იძენს ბუნება ბერძენი მწერლის შემოქმედებაში და რა განწყობა ეუფლებათ ბუნების გარემოცვაში მყოფ “შავი ჭირის” აბსურდის სამყაროს პერსონაჟებს?

საგულისხმოა, რომ რომანში მიმდინარე მოვლენები ხრიოკ კუნძულზე ვითარდება. უსასრულო ზღვაში დაკარგული ხრიოკი კუნძული, რომელიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფრანგიასთან ადამიანის სამყაროში მიგოვებულობის, მისი ბედის ტრაგიზმის, მარტოობის მეტაფორადაა გააზრებული, მიგვანიშნებს, რომ იქ მობინადრენი არ უნდა იყვნენ განებივრებულები ბუნების მშვენიერი პეიზაჟებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ა. ფრანგიასის პერსონაჟების გარესამყარო ცხოვრების ყოველდღიურობის მონოტონურობითა და აბსურდის მძაფრი შეგრძნებითაა გაჟღერებული, რაზედაც რომანში არსებული არაერთი ფაქტორი მეტყველებს. “შავ ჭირში” მწერალი ადამიანის გარესამყაროსთან მიმართების საკითხებს ცენტრალურ ადგილს უთმობს. საინტერესოა, რომ სწორედ

¹²⁵ შტრ.: А. Камю, Миф о Сизифе, Москва 1988, 107-108.

¹²⁶ შტრ.: P. E. Linda, Existential Literature, An Introduction, Existentialist Views on the Human Condition, Wadsworth, Belmont, 2000, 50

პერსონაჟის გარესამყაროსთან ურთიერთობის პრიზმაში ახერხებს ავტორი დაგვანახოს თავისი გმირის აპათიურობა, მისი ყოფის მონოტონურობა და უპერსპექტივობა. იგი ადამიანს განიხილავს არა როგორც თავის თავში ჩაკეტილ, იზოლირებულ ინდივიდს, არამედ როგორც გარესამყაროსთან მჭიდრო კავშირში მყოფს, რამეთუ სწორედ გმირის გარშემო განვითარებული მოვლენები, მის გარშემო შექმნილი სიგუაცია განაპირობებს გმირის ხასიათს.

იმ მრავალ ელემენტთა შორის, რომელთაც ა. ფრანგიასი გამოიყენებს გმირის ხასიათის შგრიხების შესაქმნელად მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ბუნების ელემენტებს. მის ნაწარმოებში ხშირად არ ვხვდებით ბუნების აღწერის გავრცობილ სურათებს, თუმცა მაშინაც კი, როდესაც მწერალი ამას აკეთებს, თითქმის ყოველთვის იგი ამას გმირის ხასიათთან აკავშირებს. ბუნების მოვლენების საშუალებით იგი ცდილობს გამოხატოს თავისი გმირების ემოციურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მეტიც, ნაწარმოებში განვითარებული მოვლენების მაუწყებელი და მიზეზიც კი ზოგჯერ ბუნების ელემენტია.

აღნიშნულ ნაწარმოებში განსაკუთრებით საგრძნობია ბუნების ელემენტების ზემოქმედება ადამიანის ხასიათზე. ჩვენ არ განვიხილავთ ყველა იმ ელემენტს, რომელსაც კავშირი აქვს ბუნებასთან და რომელთაც იყენებს მწერალი თავის რომანში. ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ რამდენიმე, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო საინტერესო და გავრცობილ ელემენტებზე, როგორებიცაა მზე, ზღვა და ქარი. ვიდრე თითოეულ მათგანს შევხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრანგიასთან ბუნება არ არის წარმოდგენილი, როგორც ესთეტიური ტკბობის, დასვენების, შვების მომგვრელი ან რაიმე დადებითი ფუნქციის მაგარებელი. იგი “შავი ჭირის” გმირებისათვის ყოველთვის შიშის მომგვრელი და მკაცრია.

მაშასადამე სამყაროს ადამიანისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ბუნების სტიქიური ძლიერება, რომელიც მგრულად არის განწყობილი

წარმავალი ადამიანის მიმართ “შავ ჭირში” ქარის, მზისა და ზღვის სახითაა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, ბუნების ამ ელემენტებთან დაკავშირებით, მწერალი ისეთ ლექსიკურ ერთეულებს იყენებს როგორცაა: მზე, პაპანაქება სიცხე, ხვაგი, სიმხურვალე, სიკაშკაშე, ბული, გავარვარებული, დამაბრმავებელი, თაკარა, აცხუნებს, წვავს, აღუღებს, ბულს ადენს, აღნობს, თვბრუს ახვევს, ჩახუთული, ქარი, ჰაერი, ქროლა, ქრის, გუმუნებს, ამრობს, ზღვა, აქოჩრილი, ამვირთებული, გაშმაგებული, ცალღები, ღელვა, უმოძრაო, ჩამუქებული და სხვ.

ქ ა რ ი:

რომანის დასაწყისში პირველივე წინადადება ბუნების აღწერით იწყება: *ერთ დღეს, როცა ძლიერი ქარი ქროდა, ვიღაცამ იკითხა: შეიძლება წყალი დავლიო? – და ეს ბუნებრივი იყო, რადგან იგი დილიდან მიწას თხრიდა, ქვიშა კბილებში უხრამუნებდა, გუჩები კი გამომშრალი ჰქონდა. თუმცა აქ ნებისმიერი რამე რომ გააკეთო, ნება უნდა დავრთონ. ეს კანონია.*¹²⁷ ნაწარმოების დასაწყისშივე ძლიერი ქარისგან გათანგული და მოწყურებული პერსონაჟის გამოჩენა მკითხველს მომდევნო არასასიამოვნო მოვლენებისათვის განაწყობს. ასევე, ამ შემთხვევაში, მწერალი ბუნების ელემენტის შემოგანით კიდევ უფრო ამწვავებს თავისი პერსონაჟის ისედაც მძიმე ცხოვრებას.

ქარი, როგორც ცნობილია, ჩინეთში ასოცირებული იყო ხმებთან – ასეთი სიმბოლიკა, შესაძლოა, ნადირობიდან და ქარისგან მოგანილი ნანადირევის სუნიდან გამომდინარე წარმოიშვა.¹²⁸ ქარის ეს სიმბოლიკა ბერძენ მწერალთანაც საინტერესოდ არის წარმოჩენილი. ღამის შემოვლისას, როცა “ღამის უცნაური არსებები” მსჯავრდებულებზე სანადიროდ გამოდიან, ქარი მძიმე ემოციურ შეგრძნებებს იწვევს პერსონაჟებში: *ჰაერში სხვანაირი სუნი ღვას, ნესტოებსა და ყელს წვავს. როცა მოსაღამოვდება, ქარის გუმუნსა და*

¹²⁷ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 7.

ლამის მარილიან, ნესგით დახუთულ ჰაერში, საფრთხის მომასწავლებელი მეცობინება ყურებში გიწუის. საეჭვო ნაბიჯების ხმის გაგონებამდე, მათი გაფაციცებული მზადების რიგმს გრძნობ. თვალის გუგები შუშის მძივებს ემსგავსება და ასე, ფხიზლად და დაქაჩული თვალებით მომლოდინეს მკაცრი სიკვდილი სახსრებს ვიმსხვრევს, სუნთქვისაგან ფილგვები გებერება, სისხლი ვიდედება.¹²⁹ ქარის ზუზუნი ფრანგიასის გმირებს, მათზე მონადირე “ლამის უცნაური არსებების” მოახლოებას აუწყებს, მათ კი სიკვდილის შიშის გრძნობა ეუფლებათ.

ქარი, რომლის მუდმივ ტყვეობაშიც არიან მოქცეულნი ფრანგიასის გმირები, ასევე ხშირად გაიგივებულია გამძვინვარებულ და გამანდგურებულ ძალებთან. აქ გამუდმებით ქ ა რ ი ქრის. მფოთვით შემოუქროლებს ხოლმე ბორცვებს, რომლებიც შიშველ და ხრიოკ კლდეებად აქცია – ხან ქვიშის, ხრემისა და ქვების ალიაქოთს დააყენებს ხოლმე. გამუდმებით ზუზუნებს და ყველაფერს მღვის აქოხრილ ცალღებს აგანს. თუმცა, დროთა განმავლობაში, ქ ა რ ი ც რაღაც საერთო, ჩვეულ მოვლენად იქცა... ქ ა რ ი, მამასადაძმე, ბუნების ეს სტიქია, მარადიულობაში გადაიზარდა, როგორც აუცილებელი და იმავდროულად უმნიშვნელო, ისევე როგორც ცალღები, რომლებიც კლდეებს ეხეთქებიან.¹³⁰ უნდა გავაცნობიეროთ სიცოცხლის ხანმოკლეობა და ვიჩქაროთ, რომ ჩვენს მომავალ თაობებს რაიმე დავუტოვოთ. უნდა გავამართლოთ ჩვენი არსებობა შრომით – ქვა, ხიდი, ქვა – უნდა ვეძიოთ ის უდიდესი მიზანი, რაც დაგვაკისრეს, რათა დავამტკიცოთ, რომ ფუჭად არ ჩაიარა ჩვენმა არსებობამ, რომ იგი მტკვერივით არ წაიღო ქ ა რ მ ა, რომელიც აქაურობას ანადგურებს,¹³¹ – აღნიშნავს “შავი ჭირის” ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელშიაც გამანადგურებელი ქარი ამაო, ფუჭი

¹²⁸ Д. Тресиддер, Словарь Символов, Москва 2001, 40.

¹²⁹ Α. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 34.

¹³⁰ Ibid., 16.

¹³¹ Ibid., 70.

ცხოვრების შეგრძნებას იწვევს. ქარი, როგორც გამანადგურებელი ძალა, ჩვენი აზრით, ფრანგიასთან ამ შემთხვევაში სიკვდილის ექვივალენტურია, იმ გარდაუვალი სიკვდილისა, რომელიც ყველა ინდივიდუალის ცხოვრებას აბსურდულად აქცევს, ვინაიდან ის მიწასთან ასწორებს ყველაფერს, რასაც ადამიანი ქმნის ცხოვრებაში და რაც მას მნიშვნელოვნად მიაჩნია.

მ მ ე:

მზე ისევე, როგორც ქარი საინტერესო ელემენტს წარმოადგენს ა. ფრანგიასის “შავ ჭირში”. მზის სიმბოლიკასთან დაკავშირებით ა. კამიუს “უცხოში” კრიტიკოსი მ. ბაქრაძე საინტერესო ახსნას გვაძლევს: “მზე, ეს მანათობელი, სიცოცხლის მიმცემი, სიხარულის მომგვრელი, სინათლისა და სიტბოს ნიშანი პოეტენციურად საწინააღმდეგო პოლუსსაც მოიცავს. იგი ჰარმონიის დაშლის, ადამიანის გაბრუების და გამოფიგვის ნიშანია”.¹³² კამიუს “უცხო” პერსონაჟის მსგავსად, რომელსაც მზე უკარგავს სიმყარეს, აზროვნების უნარს და მისი ნგრევისა და გამოფიგვის სიმბოლოდ იქცევა, ფრანგიასის პერსონაჟებიც მზის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

მზე და მზის მცხუნვარება გამოხატავს “შავი ჭირის” პერსონაჟების:

ა) ფიზიკურ მდგომარეობას, თრგუნავს და აძაბუნებს მათ: *ენა გაქვს გადმოგდებული დაღლილობისაგან და მ მ ი ს გ ა ნ, ქვის მზიდავების მწკრივი წინ უცვლელად მიიწევს, როგორც გრძელი, მ მ ი ს გ ა ნ გაბრუებული, გაოფლილი მაგლი. ყველაფერს ცეცხლი ეკიდება და თრთის;*¹³³ *მ მ ე და ქვები თავბრუს გახვევენ, სიცხეში ყველაფერი თრთის;*¹³⁴

¹³² მ. ბაქრაძე, დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე), ლიტერატურის ისტორია, პოეტიკა, ურთიერთობანი, სიგყვის პოეტიკა და მზის სიმბოლიკა ა. კამიუს “უცხოში”, თბილისი 1988, 323.

¹³³ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 49.

¹³⁴ Ibid., 44.

ბ) ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. იგი შიშის მომგვრელია: *მ მ ი ს გ ა ნ, წყურვილისაგან, შიშისგან, ეჭვისგან ყველაფერი ერთმანეთში ირევა;*¹³⁵ *აქ ყველაფერი სახიფათოა, მ მ ე ც, ჩრდილიც, ბლვაც და მეგაფონის სიმღერებიც; მზე “შავი ჭირის” პერსონაჟების გაგიჟების მიზეზია: მთელი სამყარო ნეხვისგანაა შექმნილი. მ მ ე ბაგის თვალია! მე თოლიების წინამძღვარი და ბლვის მღარბის თანამემწე ვარ!*¹³⁶ – გაიძახის “შავი ჭირის” აბსურდის სამყაროს გონებაშეშლილი პერსონაჟი. მისთვის სამყარო არარაობადაა ქცეული, მზე კი, რომელიც ბეციდან მთელ სამყაროს თვალს ადევნებს და მოსვენებას არ აძლევს მას, პერსონაჟში ფრინველის ასოციაციას იწვევს.¹³⁷

გ) მანათობელი და სიცოცხლის მომნიჭებელი მზე ა. ფრანგიასთან მომაკვდინებელი და გამანადგურებელია: *თაკარა მ მ ე ყველაფერს ახმობს;*¹³⁸ *ყველა მოპირდაპირე გორაკს გასცქერის. შემოქმედი არ ჩანს! არავითარი ნიშანი, არც ეკლიანი მავთულხლართი. ხომ არ მოკვდა? მ მ ი ს გ ა ნ დალღვა და ჩონჩხად იქცა, ასე უმოძრაოდ და გულაღმა დაწოლილი.*¹³⁹ *ფერდობის შუიდან და ქვემოთ, უკვე ყველაფერს ვარდისფრად ხედავ. ცოცხა ხანში ბაც იისფერში გადადის. მ მ ე ცარიელი ფულუროა, ერთი მოცისფრო ნახვრეტი ცაზე. იბრღება. იისფერი გახრჩობს. არა, ეს წყლით გამოწვეული ასფიქსიაა, რომლითაც პირი გაქვს გამოვსებული. ნესგობიდან ოხშივარი გამოძდის. ერთი წვეთიც კი არ უნდა დაგელვაროს. შენს გვერდით სხვები შავი მუყაოს ჩრდილებს გვანან. თითქოს არაფერი. შემდეგ სიბნელე. ვარდისფერი ქვები, იისფერი ქვები, შავი*

¹³⁵ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 106.

¹³⁶ Ibid., 241.

¹³⁷ მზე მიჩნეულია როგორც სამყაროს თვალი... იგი შორიდან ხედავს, თვალყურს ადევნებს სამყაროს... მზის ეგლს ცხენები მიაქროლებს, თავად მზე კი წარმოდგენილი არის როგორც უღაყი ან ფრინველი, ასევე ძერა ან ხარი... შდრ.: М. Элиаде, Амбивалентность Солнца, Очерки сравнительного религиоведения, Москва 1999, 144.

¹³⁸ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 107.

¹³⁹ Ibid., 162.

*ქეები. არაფერი. თეთრი მ მ ე, ცისფერი მ მ ე და მაშინათვე სიბნელე.*¹⁴⁰ მზის ამბივალენტურობასთან დაკავშირებით მ. ელიადესთან ვკითხულობთ: “ერთის მხრივ, იგი ჭეშმარიტად კაცობრიობის წინაპარია, მეორეს მხრივ კი, მზეს ზოგჯერ სიკვდილთან აიგივებენ, ვინაიდან შობს რა იგი თავის შვილებს, იმავდროულად შთანთქმავს მათ”.¹⁴¹

დ) ასევე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მზე ბერძენ შემოქმედთან რეალურ ცხოვრებაში არსებული გაურკვეველობისა და ქაოსის სიმბოლოა: *მ მ ი ს გ ა ნ და დაღლილობისაგან დაელმებული სახეები. ყველაფერი ბუზუნებდა, ყველაფერი ჩამკვდარიყო გულგრილობასა და გავარვარებულ ქაოსში.*¹⁴²

ე) მზე და მზის მცხუნვარება საუკეთესო საშუალებაა ქცეული, რათა ხელისუფლებამ მსჯავრდებულთა დასჯის მეთოდად გამოიყენოს: *ვისაც მონანიებული ჰქონდა, ერთად ჩაყარეს ხეობაში, რათა ისინი ბნელ ხვაცს შთაენთქა.*¹⁴³ *ბრალდებული ფეხზე მდგომი ბორცვზე დააყენეს მ მ ე ს ა და ქარს რომ გამოეფიგა იგი.*¹⁴⁴ *იგი იქ, თაკარა მ მ ი ს გულზე, დიდი ხნით დაგოვეს და ისიც დაწვა, თითქოს ეძინა. მას ჭოგრიგით აღევნებდნენ თვალს. ისრუკებოდა გავარვარებულ ქეებზე...*¹⁴⁵ “მექსიკაში მზის უკვდავება მისადმი ცყვეების გამუდმებული მსხვერპლშეწირვით იყო “უმრუნველყოფილი”, რომელთა სისხლით მზის დაშრეგილი ენერჯის აღდგენა იყო შესაძლებელი”.¹⁴⁶ ა. ფრანგიასის საკონცენტრაციო ბანაკის ცყვეებიც, ჩვენი აზრით, მექსიკური გრადიციის მსგავსად მზის სამსხვერპლოზე გამოყვანილი ადამიანები არიან,

¹⁴⁰ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 191.

¹⁴¹ M. Элиаде, *Культы Солнца в классических восточных странах и в Средиземноморье*, Очерки сравнительного религиоведения, Москва 1999, 144.

¹⁴² A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 119.

¹⁴³ Ibid., 44.

¹⁴⁴ Ibid., 74.

¹⁴⁵ Ibid., 186.

¹⁴⁶ M. Элиаде, *Солярные герои; умершие и избранные*, Очерки сравнительного религиоведения, Москва 1999, 149.

რომელთა ფიზიკური და სულიერი დაძაბუნებით მზე უფრო და უფრო მეტ სიკაშკაშესა და მსურვალეებას იძენს.

მზეს და მის მსურვალეებას, როგორც ჩანს, ა. ფრანგიასის რომანში გამანადგურებელი ძალა და ამავედროულად ადამიანის გაბრუნებისა და მისი აქტიურობის დათრგუნვის უნარი გააჩნია, რაც “შავი ჭირის” პერსონაჟებს კიდევ უფრო უძლიერებს ამქვეყნიური ამაოების შეგრძნებას.

ზ ღ ვ ა:

ზღვა, რომელიც საბერძნეთის განუყოფელი ნაწილია, განსაკუთრებულ სიმბოლურ დაგვირთვას იძენს ა. ფრანგიასთან. “შავი ჭირის” პერსონაჟები ღრმა კავშირში არიან ბუნების სიდიადის ამ საოცარ სანახაობასთან.

უფორმო, უსაზღვრო, დაუშრეგელი და მოულოდნელობებით სავსე ზღვა, რომელიც მრავალ კულტურაში სიცოცხლის პირველად წყაროდაა მიჩნეული, ბერძენ შემოქმედთან სრულიად განსხვავებულ დაგვირთვას იძენს. ზღვის აღწერილობა ფრანგიასის ნაწარმოებში უმეტესწილად სიკვდილთან და სიკვდილის შიშთან არის ასოცირებული:

ა) ზღვა “აბსურდული სისტემის” მკვლელობის იარაღია: *მას მაშინათვე ალყა შემოარტყეს და გაკოჭილი მ ღ ვ ი ს კ ე ნ წაათრიეს. ეს ადამიანი, რომელიც ტანჯვას იგანდა, მალე მ ღ ვ ა შ ი აღმოჩნდა. იგი პანდურების რტყმევით გომარასავით მოისროლეს.*¹⁴⁷

ბ) ზღვა მსჯავრდებულთათვის თვითმკვლელობის საუკეთესო საშუალებაა: *როგორც ჩანს ნებაყოფლობითი სიკვდილი სასიამოვნო იდეაა, რომელიც ბევრს იზიდავს. ზოგიერთმა დიდი მონდომებით სცადა ამის გაკეთება, მაგრამ ვერ მოახერხა. ისინი დროულად ამოიყვანეს ზღვიდან... თუმცა ერთმა ეს შესძლო. პირდაპირ თავით გადაეშვა კლდეებში. ტალღები მას უმოწყალოდ ახეთქებდნენ*

¹⁴⁷ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 36, 37.

*მასვილივით წაწვეტებულ კლდეებზე. მ ღ ვ ა შ ი ადამიანია! ვილაც დაიხრჩო!*¹⁴⁸ ამაოებისაგან და ყოვლად უაზრო ცხოვრებისგან გადაღლილი და გონება შერყეული “ქველმოქმედი”, რომელიც *ხშირად ლაპარაკობდა ცხოვრების ამაოებაზე*,¹⁴⁹ გამოსავალს სიკდილში ხედავს, ხოლო ამ მიზნის განსახორციელებლად ისიც, სხვა მსჯავრდებულების მსგავსად, ზღვას მიმართავს. როგორც ჩანს, ფრანგიასის გმირებისათვის თვითმკვლელობა არის გამოსავალი, რომელიც ადამიანს აბსურდული ცხოვრებისაგან თავის დაღწევის საშუალებას აძლევს. ამავედროულად ხდება მათი ბუნებასთან - სამყაროსთან შერწყმა.

გ) ზოგჯერ ზღვის ელემენტის შემოგანით მწერალი ცდილობს მკითხველს შემდგომი არასასიამოვნო მოვლენის განწყობა შეუქმნას: *როცა აღრიცხვა დასრულდა, დადგა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დრო. სუნთქვის ხმაც კი არ ისმის, არავინ ირხევა, მკვლელები თავის ადგილზე არიან, ტალღები კლდეებს ეხეთქებიან.*¹⁵⁰ *როგორც აღმოჩნდა, მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. ცარიელ ყუთში, სადაც მკვდარ ბუზებს ყრიდნენ, ძირიც კი ვერ ამოავსეს. მათი რიცხვი, ვისაც ერთიც არ ყავდა დაჭერილი, დიდი იყო. შავმა ღრუბელმა შეკრა პირი მათ თავზე. ხალხმა გულგრილობა გამოიჩინა კანონების მიმართ. მ ღ ვ ა ც კი უფრო მეტად ჩამუქდა და უმოძრაო გახდა.*¹⁵¹ ტალღები კლდეებს ეხეთქებიან. ზღვა ბობოქრობს ან მუქი და პირქუში ხდება. ამის შემდეგ, ორივე შემთხვევაში, ზედამხედველის ხმა მსჯავრდებულებს განუცხადებს, რომ ისინი დასჯილები არიან. მწერალი ცდილობს ისედაც დაძაბული სიგუაცია ბუნების აგრესიულობით კიდევ უფრო გაამუქოს და ამავედროულად წინასწარ განგვაწყოს ნაწარმოებში განვითარებული მომდევნო მოვლენისათვის.

¹⁴⁸ A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 79-80, 96.

¹⁴⁹ Ibid., 132.

¹⁵⁰ Ibid., 29.

¹⁵¹ Ibid., 27.

დ) ზღვა ასევე პერსონაჟის სულიერ განწყობას გამოხატავს: *მათ ირგვლივ იყო ქვები, ხრიოკი მთები და ცოცხა ქვემოთ აბობოქრებული ზღვა*.¹⁵² – ბუნების აღწერის ეს მონაკვეთი სრულიად მოულოდნელად შემოდის თხრობისას, სწორედ იმ დროს, როცა მწერალი თავისი ერთ-ერთი გმირის შინაგან განცდებს გადმოგვცემს. “შაეჩაჩიანი”, რომელსაც “მოწყურებულის” დაბეზლებაში სდებენ ბრალს, აღელვებული და აღშფოთებულია. აბობოქრებული ზღვა კი მკითხველს საშუალებას აძლევს პერსონაჟის შინაგანი განწყობა უფრო მძაფრად აღიქვას.

ე) გამოჩნდება თუ არა ზღვა, მაშინათვე იცვლება თხრობის ტონი, პერსონაჟს ეწყება ემოციური ასოციაციები, ძირითადად უარყოფითი. “შემოქმედი” როცა ზღვას გასცქერის მარგოტობის გრძნობას უფრო მძაფრად განიცდის: *ზღვა რომ გასცქეროდნენ... შემოქმედმა თავის მეგობარს ჩასჩურჩულა: დამგანჯა მარგოტობამ*.¹⁵³ აბობოქრებული ცალები ასოცირებულია სიკვდილთან, სიცოცხლის ხელმყოფ ძალასთან: *ამ მოგზაურობისას სრულიად განიწმინდე და თითქოს აბობოქრებულმა ცალებმა მოგტაცა შენი მთელი განვლილი ცხოვრება*,¹⁵⁴ – ფიქრობენ სანაპიროზე მომლოდინე მსჯავრდებულები, რომლებიც ჯოჯოხეთური კუნძულისაკენ მიმავალ გზაზე გამზაგებით ებრძოდნენ უზარმაზარ ზვირთებს. *არავინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდა ეს მოგზაურობა. იქ, ბნელ ტრიუმში, ღელვაში, რომელიც ნავს ზვირთებზე ათამაშებდა, ქაოტური ღამის წყველიაღში ეფლობოდი. ფსკერამდე ეშვებოდა და ამოდიოდა, ბზრიალებდა და იკარგებოდა ქარის, წყლისა და დროის გრიგალში*.¹⁵⁵ “წყალში ყველაფერი “ისხნება”, ყველანაირი “ფორმა” ირღვევა, ყველანაირი წარსული ქრება; ყველაფერი, რაც აღრე არსებობდა, წყალში ჩაძირვის შემდეგ აღარ არსებობს - არანაირი კვალი,

¹⁵² A. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001,13.

¹⁵³ Ibid., 193.

¹⁵⁴ Ibid., 122.

¹⁵⁵ Ibid., 121-22.

არავითარი “ნიშანი”, არანაირი “მოვლენა”. ადამიანთან კავშირში ჩაძირვა სიკვდილის ექვივალენტურია... ყველანაირი ფორმის დამრღვევსა და წარსულის გამქარებელ წყალს აქვს განწმენდის, აღდგენისა და განახლების უნარი, ვინაიდან წყალში ჩაძირული “კვდება” და წყლიდან აღმდგარი ახალ ცხოვრებას იწყებს”...¹⁵⁶ – ვკითხულობთ მ. ელიადესთან. ჩვენი ამრით, ა. ფრანგიასსაც, ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტიდან გამომდინარე, სწორედ იმის თქმა უნდოდა, რომ საკონცენტრაციო ბანაკისკენ მიმავალი მსჯავრდებულები აზვირთებულ ტალღებში განიწმინდნენ, რათა გამოთხოვებოდნენ წარსულ ცხოვრებას და აბსურდის სამყაროში ახალი, არაადამიანური, ცხოვრება დაეწყოთ.

მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი დაკვირვებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბუნების ძალები “შავ ჭირში” სიმბოლურ მნიშვნელობას იღებენ, რაც მიუთითებს პერსონაჟის ღრმა კავშირზე ბუნების ელემენტებთან. მძაფრად შეიგრძნობა ბუნებასა და ადამიანს შორის არსებული დისჰარმონია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ადამიანსა და გარესამყაროს შორის ურთიერთობამ დაკარგა შინაგანი საზრისი, რაც, როგორც ცნობილია, აბსურდის ერთ-ერთი ნიშანია. ბუნების ადამიანისადმი გულგრილობა შეიძლება გააზრებული იქნას, როგორც სამყაროსა და ადამიანს შორის გაუცხოება. ფრანგიასის გმირებისა და ბუნების აბსურდული დაპირისპირება უმეტესწილად ადამიანის სიკვდილით სრულდება. ამ შემთხვევაში მწერალი გვამცნობს, რომ სრული და საბოლოო შერწყმა ადამიანისა და სამყაროსი, უძლები შვილის დედა-ბუნების წიაღში დაბრუნება მხოლოდ სიკვდილით არის შესაძლებელი. ხოლო რაც შეეხება ქარს, მზეს და ზღვას, რომლებიც გავლენას ახდენენ “შავი ჭირის” პერსონაჟების ფიზიკურ, მორალურ თუ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რომანში არსებულ სხვა ფაქტორებთან კავშირში ქმნიან აბსურდის აგმოსფეროს

¹⁵⁶ М. Элиаде, Символизм погружения, Очерки сравнительного религиоведения, Москва 1999, 148-49.

და ადამიანის შინაგანი განწყობის, მისი აბსურდული ყოფის სიმბოლოდ არიან ქცეულნი.

ნაწილი მეორე / თავი მესამე

ადამიანის გაუცხოების პრობლემა დიმიტრის ხაძისის შემოქმედებაში

დიმიტრის ხაძისი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის იმ ბერძენ პროზაიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც დაუნდობელი და მკაცრი ცხოვრების გემო საკუთარ თავზე გამოცადეს. ეს განწყობა, ცხადია, მის შემოქმედებაშიც აირეკლა, რამაც განაპირობა მის ლიგერაგურულ ნაწარმოებებში ისეთი საკითხების წინა პლანზე დაყენება, როგორცაა თანამედროვე ბურჟუაზიულ სამყაროში ადამიანთა შორის გათიშულობა, გრაგიკული მარგობის შეგრძნება, ყოველდღიური არსებობის აბსურდულობა და ალოგიკურობა, ბოროტებისა და ნგრევის ბრმა და ბნელი ძალების ბაგონობა ადამიანებზე, რომელი ძალებიც იმ უფერულ ცხოვრებასა და გარე სამყაროში არიან ჩაბუდებულნი, რომელიც ადამიანებს გარს ახვევია. აღნიშნული საკითხები სწორედ იმ პრობლემატიკას მოიცავენ, რომელმაც არაერთი ეგზისტენციალისტი მწერლის შემოქმედებაში ჰპოვა ასახვა.

ეს თავი ეძღვნება იმის წარმოჩენას, თუ როგორ ახერხებს დიმიტრის ხაძისი, სხვადასხვა ლიგერაგურული ფორმების საშუალებით, დაგვიხატოს თანამედროვე სამყაროს მანკიერი მხარეები. ასევე, ჩვენი მიზანია გამოვაავლინოთ, ეგზისტენციალისტური ლიგერაგურისათვის დამახასიათებელი რა ძირითადი დებულებები გამოიკვეთება მის შემოქმედებაში და, რაც მთავარია, რა თავისებურებებს გვიჩვენებს ამ თვალსაზრისით ბერძენი მწერალი.

ეგზისტენციალისტური ლიბერატორის იმ მრავალ საკითხთა შორის, რომელთა საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს დიმიტრის ხაძისის შემოქმედება, განსაკუთრებული ადგილი ადამიანის “გაუცხოების” პრობლემას უჭირავს. აღნიშნული საკითხი თავისებურ ასახვას პოულობს მის ლიბერატორულ ნაწარმოებებში. მწერალი, შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით არის დაინტერესებული თანამედროვე სამყაროს კლანჭებში მომწყვდეული ცალკეული ინდივიდების ბედით. თუმცა, საინტერესოა, რომ ზოგიერთი ბერძენი მკვლევარის აზრით, ხაძისი, უმეგესწილად, კონკრეტული ადამიანით კი არა, ისტორიული მოვლენების ქარცეცხლში, ზოგადად ბერძნული საზოგადოების ბედითაა დაინტერესებული: “ხაძისი, ომის შემდგომი პერიოდის ბერძნული პროზის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია, რომელიც ისტორიული მოვლენების მიმდინარეობისა და სოციალურ, პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებების პროცესში ბერძნული საზოგადოების პრობლემით იყო დაინტერესებული, მაშინ როცა უმეგესი ნაწილი მწერლებისა დაკავებული იყო ისტორიული სინამდვილისა და მოგვიანებით კი პიროვნული და ეგზისტენციალური პრობლემების აღწერით”.¹⁵⁷ – ბერძენი კრიტიკოსის ამ მოსაზრებას, რაც ხაძისის ბერძნული საზოგადოებისადმი ინტერესს ითვალისწინებს, ჩვენ ნაწილობრივ ვეთანხმებით, თუმცა მიგვაჩნია, რომ მწერალი ზოგადად საზოგადოების პრობლემებით არ შემოიფარგლება. ხაძისის შემოქმედებაში ბერძნული საზოგადოება მისი თითოეული წარმომადგენლის პრობლემით განიხილება (“მთრიმლავი სიულასი”, “სამბეთაი კაბილისი” და სხვ.) და პირიქით, თითოეული, კონკრეტული ადამიანი მთელი ბერძნული საზოგადოების სახეა. მისი პერსონაჟების მარგობა

¹⁵⁷ Δ. Τζιόβας, Η πεζογραφία του Δημήτρη Χατζή: Ουμανιστικός ρεαλισμός και η ποιητική της μεταβατικής αφήγησης, Επιστημονικό συμπόσιο, Δ. Χατζής, μια συνείδηση της ρωμιოსύνης, Πάτρα 1999, 49.

მწერლის ეპოქის ბერძნული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მარგობის შეგრძნების ნაყოფია.

ამ ეგაპზე ჩვენთვის საინტერესოა გამოვიკვლიოთ, თუ რა არის დ. ხაძისის გმირების გაუცხოების გამომწვევი ძირითადი მიზეზი? ამ თვალსაზრისით დიდ ყურადღებას იპყრობს მისი რომანი “ორმაგი წიგნი”.

დ. ხაძისის “ორმაგი წიგნი” ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სამყაროა გაშუქებული – ერთი მხრივ, ახალი, თანამედროვე საზოგადოება, სამრეწველო განვითარების გზაზე მდგომი ქვეყანა, განვითარებული ტექნიკითა და უზარმაზარი ფაბრიკა-ქარხნებით (გერმანია) და მეორე მხრივ, ძველი, დაბეჩავებული სამყარო ვოლოსის ხე-ტყის საამქროსი (საბერძნეთი). რომანში ძირითადი ყურადღება 50-60-იან წლებში გერმანიაში ემიგრირებული ბერძნების დრამატულ ცხოვრებაზეა მიპყრობილი, რომლებიც მრეწველობის განვითარების პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებენ, თუმცა მათთვის მეგად რთულია შეეგუონ უცხო, განვითარებულ და ტექნოკრატიულ სამყაროს. ისინი, შეიძლება ითქვას, “ტექნიკური გაუცხოების” სინდრომით არიან შეპყრობილნი. რომანის პირველსავე თავში მწერალი სამრეწველო წარმოების მექანიზაციის შესახებ მოგვითხრობს. მალევე ჩვენთვის ნათელი ხდება მუშის წარმოებისგან გაუცხოების ფაქტი, მისი ავტომატიზაცია, არსებული დისტანცია მასსა და მის სამუშაოს შორის, სხვა მუშებისაგან მისი იზოლირება, მისი სრული მარგობა,¹⁵⁸ – აღნიშნავს ბერძენი კრიტიკოსი ს. ხრისტუ.

უცხოებაში ყოფნის მრავალი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული დ. ხაძისი ცხოვრების თანამედროვე სტილს აღიქვამს, როგორც გარდაუვალს, თუმცა კი შინაგანად ის მას უარყოფს. ხაძისი უარყოფითადაა განწყობილი თანამედროვე, განვითარებული, ინდუსტრიული ქვეყნის საზოგადოების მიმართ, რომელიც, ევროპაში მისი მრავალი წლის ცხოვრების პერიოდში, კარგად

ჰყავდა შესწავლილი. მწერალს მიაჩნია, რომ გერმანიაში, “ინდუსტრიალიზაციის” პირობებში, ადამიანი სრულიად კარგავს თავის შინაგან სამყაროს, ბერძნულ საზოგადოებაში კი, რომელშიაც ტექნოლოგიას ჯერ არ შეუღწევია თავისი გამანადგურებელი მასშტაბებით, ადამიანი უფრო მეტად ინარჩუნებს ადამიანურობას, შინაგან სამყაროს.

მწერალი განსაკუთრებული სიმწვავეით, უზარმაზარი ქალაქის სიყალბეში ჩაფლული, უბადრუკი ადამიანების ცხოვრებას წარმოგვიჩენს. რომანის მთავარი გმირი, საბერძნეთის ერთ-ერთი პაგარა ქალაქის, ვოლოსის მკვიდრი კოსტასი, ოთხი წელია, რაც გერმანიის ინდუსტრიულ ქალაქში, შტუტგარდტში ცხოვრობს და ქარხანაში (“აუტელი”) მუშაობს. თუმცა მისთვის ეს უზარმაზარი ქალაქი, რეკლამებით, ვიგრინებითა და ათასფერი შუქებით აჭრელეებული, არასტუმართმოყვარე, ადამიანურობისაგან დაცლილია. კოსტასი ამ ქალაქში თავს ყველასთვის უცხოვდ, ყველასგან გაუცხოებულად და მიგოვებულად გრძნობს: *მე აქ ვარ, გამზირზე, ასფალტზე... მე არავინ მეღის, არსად მეგულება ადგილი, სადაც წასვლა მომინდებოდა. თითქოს აქ სახლიც მაქვს და ჩემი სამშობლოც აქ არის, მაგრამ არანაირი სახლი, არანაირი სამშობლო... უცხოებად ვიქცეით ყველანი ამ უზარმაზარ ქალაქებში... მე კი უცხოთა ქალაქის ყველაზე ჭკმშირიგი მოქალაქე ვარ.*¹⁵⁹ საინტერესოა, თუ რამ გამოიწვია მთავარი გმირის ამგვარი მდგომარეობა? ამ კითხვაზე იგი თავად გვცემს პასუხს, აცნობიერებს რა თავისი გაუცხოების მიზეზს: *... ასეა დღევანდელი სამყარო. ჩვენთვის ყველაფერი გამზადებული აქვს, განსაზღვრული, არაფერი გვაკლია – მხოლოდ საკუთარ თავს არ იცის კაცმა რა უყოს,*¹⁶⁰ – ამბობს კოსტასი. ადამიანის გაუცხოების ფენომენთან დაკავშირებით გერმანელი მეცნიერი, ფ. ჰაინემანი

¹⁵⁸ Σ. Χρήστου, Σκέψεις πάνω σ'ένα βιβλίο, Αποξένωση και παρακμή, Δημήτρη Χατζή, Αθήνα 1976, 51.

¹⁵⁹ Α. Φραγκιάς, *Λοιμός*, Αθήνα 2001, 63.

¹⁶⁰ Ibid., 67.

წერდა: “გაუცხოება, ეს ფაქტია. თანამედროვე ადამიანს გაუცხოების გრძნობა ეუფლება, რომელიც თავისი ინტენსიურობითა და მოცულობით ბოლო ასწლეულების განმავლობაში თანდათან იზრდებოდა. გაუცხოება კავშირშია ადამიანთა საზოგადოების გარკვეულ ცვალებადობასთან, ბუნებას მოწყვეტილი მილიონობით ადამიანის დიდ ქალაქებში თავმოყრასთან, კაპიტალიზმის საუკუნესთან და ზოგადად კოლექტივიზაციისაკენ ტენდენციასთან, რომელიც მანქანური წარმოების წესიდან გამომდინარეობს... ასეთი ტენდენცია ნებისმიერ საზოგადოებაში... გამოიწვევს ადამიანის საბოლოოდ დაცლას ინდივიდუალური თვისებებისაგან”.¹⁶¹ ჰაინემანის შეხედულებიდან გამომდინარე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანი არის გაუცხოებული, ვინაიდან მან დაკარგა საკუთარი თავი, ინდივიდუალურობა, მან შეწყვიტა არსებობა, როგორც ადამიანი, რადგანაც იგი გახდა მასის, ხალხის ნაწილი. ეს კი, ჩვენი აზრით, არის სწორედ ის შემთხვევა, რაც ხადისის პერსონაჟის შემთხვევაშიც მის გაუცხოებას განაპირობებს.

თუმცა კოსტასი არა მხოლოდ უზარმაზარ ქალაქში გრძნობს თავს გაუცხოებულად, არამედ ქარხანაშიც და თავის სახლშიც ყველასთან და ყველაფრის მიმართ უცხოა. ქარხანაში იგი, მთელი დღის განმავლობაში, თვალუწვდენელ კორიდორებშია დატყვევებული. მას თითქოს დაკარგული აქვს ყოველგვარი ადამიანური თვისება. დერეფნებში “მოძრაობს როგორც გრამფაი”, უფროსებთან ერთი და იმავე თემაზე საუბრობს, როგორც რობოტს, დაგვირთული საზიდავი შიდა ეზოში ლიფტით გადააქვს. დღეში ორჯერ, ერთსა და იმავე ღროს, სამუშაოზე ყოფნის დამადასტურებელ ტალონს ხვრეგს, ხელფასსაც რეგულარულად უხდიან და თანაც კარგად – და ეს არის სულ. კოსტასის პირადი ცხოვრებაც ისევე ერთფეროვანი და უსახურია, როგორც მისი პროფესიული საქმიანობა. *სახლში სამზარეულოს კარს პაგარა ღრიჭო აქვს.*

¹⁶¹ F. Heinemann. Existenzphilosophie lebendig oder tot?, Stuttgart 1954, 17.

აქედან ვიხდი ხოლმე ქირას. ფულს კონვერტში ვღებ, გავივლი ღერეფნის მკედარ მონას და იქ ვავღებ ხოლმე... ანუ, იგივეა, რაც “აუტელში” ხდება, თუმცა აქ პირიქითაა. იქ, მე მიხდიან ფულს და ვერაფერს ვხედავ. აქ, მე ვიხდი და აქაც ვერაფერს ვხედავ,¹⁶² – ამბობს კოსტასი. ბერძენი ემიგრანტი, რომლის ცხოვრებაც გერმანიაში, მხოლოდ ქარხანაში, ყველასაგან იზოლირებულად, რობოტიკით შრომითა და ფრაუ ბაუმის სახლში, ცარიელ კედლებში განმარტოებით ცხოვრებით შემოიფარგლება, ცდილობს გააცნობიეროს თავისი ადგილი და მოერგოს ამ ახალ, მაგრამ მისთვის უცხო სამყაროს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არც თუ ისე ადვილია მისთვის.¹⁶³

ბერძნული ხასიათიდან, ტრადიციებიდან გამომდინარე, გერმანიაში ემიგრირებული ბერძნების გაუცხოების მიზეზებს მეგად საინტერესოდ ხსნის ბერძენი ფსიქოლოგი იანის ღალანისი,¹⁶⁴ რაც ჩვენი აზრით სწორედ დ. ხადისის მიერ “ორმაგ წიგნში” წამოჭრილ “გაუცხოების” პრობლემას ასახავს. ი. ღალანის მიაჩნია, რომ ბერძენი ემიგრანტი-მუშის გაუცხოება გამოწვეულია: ა)

¹⁶² Δ. Χατζής, *Το Διπλό βιβλίο*, Αθήνα 1999, 61.

¹⁶³ საბერძნეთში, ბერძენ და ევროპელ მოაზროვნეთა ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელსაც ალბერ კამიუს ესწრებოდა, არაერთგზის იქნა აღნიშნული იმ უზარმაზარი ზეგავლენის შესახებ, რაც მრეწველობის განვითარებამ და ტექნოლოგიებმა მოახდინეს თანამედროვეობაზე. მათი აზრით ეს გარდაუვალი იყო, თუმცა იმასაც აღიარებდნენ, რომ სისულელე იქნებოდა ძველი მრეწველობისა და მეურნეობის ეპოქაში დაბრუნება მოესურვებინა ვინმეს. მთელი სიმდიდრე და ბედნიერება, რაც ტექნიკის და მრეწველობის უზარმაზარ განვითარებას მოაქვს ბურჟუაზიული საზოგადოებისთვის ვერ გააქარვეს იმ მღელვარებას, რაც მომუშავე მასების რიცხოვნობის ზრდასთან და მის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. ამ სისტემებში მომუშავე ადამიანებს კი მათ ახალი სახეობის მონები უწოდეს. ისინი, მათი აზრით, სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანები არიან, რომელთაც არანაირი ეკონომიკური საყრდენები, არავითარი უსაფრთხოება არ გააჩნიათ ცხოვრებაში. ბურჟუაზიული პესიმიზმი მაშინ წარმოიშობა, როცა მრეწველობის ზრდასთან ერთად ისტორიული ახალი ძალა შემოდის და საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ბურჟუაზიული წყობილების არაკონტროლებად ბატონობას, არამედ თავად მის არსებობას. ამგვარად, ბურჟუაზიულ ცნობიერებაში ადამიანის ბედი წარმოისახება ბუნდოვნად, მომავალი კი ბნელი და საფრთხით სავსე; შდრ.: Μ. Αυέρης, Αφιέρωμα στην Φιλοσοφία του Υπαρξισμού 1, Ο Καμύ στην Ελλάδα, Δίμηνο περιοδικό λογοτεχνίας και προβληματισμού, Αθήνα 1971, 64.

მისი უეცარი მოწყვეტით ნაცნობი და მეგობრული გარემოდან (სახლი, მოედანი, კაფე, უბანი) და არასტუმართმოყვარე, მისდამი მტრულ, სხვა მნე-ჩვეულებების უცხოენოვან სამყაროში შესვლით; ბ) სრულიად განსხვავებულ პირობებში ცხოვრებითა და მუშაობით; წყნარი მოედნის, ნარდის, ბანქოს, აბსოლუტურად პირადული, დაუგეგმავი ცხოვრებისა და სამუშაოს ხმაურიანი, ტექნიკურად განვითარებული, დაპროგრამებული, გაუცხოებული და უსახო საზოგადოებრივი ცხოვრებითა და სამუშაოთი შეცვლით.¹⁶⁵

ქარხანაში “ტექნიკური გაუცხოების” მსხვერპლი მხოლოდ ბერძენი ემიგრანტები არ არიან. ის ადამიანები, რომლებიც პატარ-პატარა, შუშებიანი კედლებით დაყოფილ კაბინეტებში ტელეფონების, საბეჭდი მანქანების, ტელექსების, დიქტაფონების გარემოცვაში საათობით სხედან განმარტოებულნი უსახო ადამიანებად, ნამდვილ მექანიზმებად არიან ქცეულნი: *მათ სახეს იშვიათად თუ დაინახავ, მუდამ თავდახრილნი არიან, რაღაცას ამბობენ, ტელეფონებს უსმენენ, მანქანებზე რაღაცას უჩხაკუნებენ... ჩვენ ხომ ვართ და ვართ საცოდავები და ვწვალობთ საკუთარი ხელებითა და სხეულით, ესენი კი აქ, შიგნით, მართლაც რომ დასჯილნი არიან... მათთვის თვალები დაუთხრიათ და მათ ადვილას აუგელის ორი ნათურა ჩაუდგამთ, რომელთაც ჩვენ ვაწარმოებთ, რათა სხვა ველარაფერი დაინახონ დილის რვა საათიდან ნაშუადღევის ოთხამდე.¹⁶⁶ ლამაზფეხება, ქერა ქალებიც კი, რომლებიც დერეფანში მიდი-მოდინ ხელოვნურ, მექანიკურ თოჯინებს გვანან: ვფიქრობ, რომ მათ ლამაზი ფეხების მიხედვით არჩევენ, შემდეგ ქოქავენ და ასე დაქოქილები არიან მთელი დღე.¹⁶⁷ თავად მიუღერი, განყოფილების უფროსი ერთ უსულო მანქანადაა*

¹⁶⁴ XX საუკუნის 50-60-იან წლებში გერმანიაში ემიგრირებული ბერძენების “გაუცხოების” პრობლემამ არა მხოლოდ მწერლების შემოქმედებაში ჰპოვა ასახვა, არამედ მრავალი ბერძენი ფსიქოლოგის კვლევის საგნადაც იქცა.

¹⁶⁵ Γ. Γ. Γαλανός, Εφαρμοσμένη ψυχολογία, απελευθέρω Εγώ και κατεστημένο, Αθήνα 1975, 35.

¹⁶⁶ Δ. Χατζής, Το Διπλό βιβλίο, Αθήνα 1999, 12,13.

¹⁶⁷ Ibid., 13.

ქცეული: მიუღერს არანაირი სული არ გააჩნია, მას მხოლოდ მაგნიტოფონი აქვს - აქ სხვა არც არაფერია საჭირო... იგი ყოველთვის თავის ოთახში მის და თითქოს საკუთარ სკამთან ერთად ერთ მთლიანობადაა ქცეული... ყველაფერს ადგილიდანვე აგვარებს... გამუდმებით რაღაცას ამბობს, არასდროს ყვირის და არაფრის გულისთვის ხმას არ იცვლის. მისი სიტყვები, ყოველთვის ერთი და იგივე, ოთხი სიტყვა, თითქოს მათ მანქანაზე ბეჭდავდეს, რომელიც მის პირშია მოთავსებული, პირში ჩადგმული მაგნიტოფონის კასეტა.¹⁶⁸ ბერძენ კრიტიკოს, მ. მერაკლისს მიაჩნია, რომ ქარხანაში მომუშავე უფროსებიც და მათი ქვეშევრდომებიც იმ აბსურდულობის მსხვერპლნი არიან, რასაც წარმოების სისტემა ეწოდება.¹⁶⁹ ცხადია, რომ ხადისის პერსონაჟები საზოგადოების ინდუსტრიალიზაციის გემს შეეწირნენ. ეს არის თანამედროვე ცივილიზაციასთან ამკარა განხეთქილების შეგრძნება, შიში პროგრესის ეპოქის წინაშე, რომელიც დამანგრეველად მოქმედებს რიგითი ადამიანების ცხოვრებაზე. ეს ადამიანები ტექნოკრატიული საზოგადოების პირმშონი არიან. მწერალი ცდილობს ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ თანამედროვე ცივილიზებულმა სამყარომ ამ ადამიანებს ყოველივე ადამიანური წაართვა და ტექნიკის დანამატად აქცია ისინი. თუმცა მხოლოდ ამის წარმოჩენა არ არის მთავარი ხადისისათვის. მისი მიზანია მკითხველს დაანახოს, რომ ზოგადად ტექნიკის განვითარებამ, საზოგადოების თანამედროვე განათლებამ, მეცნიერებამ დაიმორჩილა და აიძულა ადამიანი ემსახუროს განზრახვებს, საჭიროებას, აუცილებლობას. ადამიანები გამუდმებით მუქარის ქვეშ ცხოვრობენ. მათი გონება და ცხოვრება “ურჩხული” მანქანების რითმში ჩაჯდა. აბსურდსა და წინააღმეგობრობაში ჩაფლულნი აცნობიერებენ მათი არსებობის შემთხვევითობას, თავიანთ მარცობას.

¹⁶⁸ Δ. Χατζής, *Το Διπλό βιβλίο*, Αθήνα 1999, 15.

¹⁶⁹ Μ. Γ. Μερακλής, Προσεγγίσεις στην ελληνική πεζογραφία, η επανεισαγωγή του Δ. Χατζή: «Το Διπλό βιβλίο», Αθήνα 1986, 121.

“ორმაგი წიგნის” გმირები არა მხოლოდ “ტექნიკური გაუცხოების” მსხვერპლნი არიან. გაუცხოებული და მარგობისათვის განწირული ადამიანია რომანის კიდევ ერთი გმირი, სკუროიანისი. იგი, საკუთარ მიწა-წყალს მოწყვეტილი, ოცი წელია ცდილობს დაიმკვიდროს თავი გერმანიაში, მაგრამ *მგუგარდტი, უზარმაზარი მენობები, განათებული ქუჩები, კაფე-ბარები, სანახაობები – ყველაფერი უცხო, სრულიად უცნობი, მისგან შორს, მისთვის უმნიშვნელო, არარსებულია – კედელია აღმართული მის ირგვლივ.*¹⁷⁰ აქ აშკარად ჩანს, რომ დ. ხაძისის გმირი საკუთარ არსებაში გამოკეცილი ადამიანია, რომლისთვისაც ეს ქაოტური სამყარო შორეული და მიუწვდომელია. მთელი ოცი წელი, რაც უცხოებაში გააგარა, სკუროიანისი ოცნებობდა თავის მშობლიურ დობრინოვოში დაბრუნებას, მას იმედი ჰქონდა, რომ მშობლიური ქვეყანა, ახლობელი ხალხი მისი მარგობის, მისი ხანგრძლივი მოგზაურობის დასასრული იქნებოდა. თუმცა დობრინოვოში დაბრუნებული სკუროიანისი აღმოაჩენს, რომ მისი ახლობელი ადამიანებიც კი მისთვის უცხონი არიან. იგი აცნობიერებს, რომ დობრინოვო მისი სამუდამო მარგობის ადგილია, *არარსებული ადგილი. ოცი წელი იგანჯა, იოცნება, ამ არარსებულ ადგილას რომ დაბრუნებულიყო...*¹⁷¹ ადამიანური ცხოვრების ისგორია, როგორი ცხოვრებაც არ უნდა იყოს ის, არის ისგორია წარუმატებლობისა – წერდა ჟან-პოლ სარტრი თავის ფილოსოფიურ ტრაქტატში “ყოფიერება და არარა”.¹⁷² “ორმაგი წიგნის” პერსონაჟების ცხოვრებაც ერთობ წარუმატებელია. “ეს არის ისგორიები”, – ამბობს ა. კარანდონისი, “თავიანთი მიწა-წყლიდან მოწყვეტილი ჩვენი თანამემამულეებისა, რომლებიც გერმანიის საწარმოებში სამუშაოდ გაემურონენ იმ ოცნებით, რომ რთული ცხოვრება დაეძლიათ და შემდეგ უკან დაბრუნებულიყვნენ თავიანთ მონაგრებულ სოფელში, მაგრამ ისინი ვერც უცხო

¹⁷⁰ Δ. Χατζής, *To Διπλό βιβλίο*, Αθήνα 1999, 117.

¹⁷¹ *Ibid.*, 128.

¹⁷² J.-P. Sartre, *L'Être et le Néant*, Paris 1943, 588.

ქვეყანას ეჩვევიან და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებულნი ახალ სიმარგოვეს აღმოაჩინენ. ისინი სრულიად წარუმატებელი ადამიანები არიან”.¹⁷³ აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკუროიანისი ორმაგად გაუცხოებული ადამიანია. იგი, ვერც მისთვის უცხო გარემოში (გერმანია), და ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ შინ დაბრუნებული, ვერც მისთვის კარგად ნაცნობ, მშობლიურ მხარეში (საბერძნეთი) ვერ პოულობს თავშესაფარს, იმ ადამიანებს, რომელთაც გულს გადაუშლიდა და მის მარგობაზე, თავის თავზე მოუყვებოდა, იგი საკუთარ ქვეყანაშიც კი თავს “მარგოდ” და “უცხოდ” გრძნობს. გერმანიაში ცხოვრების ოცი წლის შემდეგ სკუროიანისი აღმოაჩენს, რომ მისთვის დობრინოვოც უცხო სამყაროდ ქცეულა. მან ვერ შეძლო მოენახა თავისი ადგილი და დანიშნულება ამ ცხოვრებაში და თავი გაუცხოებულად აღიქვა. იგი გაუცხოებულია სამყაროსთან, თავის თავთან.

თუმცა მაინც არსებობს გამოსავალი. ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის მიხედვით კომუნიკაციის დამყარება შესაძლებელია, მაგრამ ეს შესაძლებლობა ადამიანს მას შემდეგ ეძლევა, რაც იგი მარგობის აუცილებელ საფეხურს გაივლის. სკუროიანისის მარგობა აბსოლუტურია. მას მარგობის აუცილებელი საფეხური გავლილი აქვს და მზად არის “ეგზისტენციური კომუნიკაციის” დასამყარებლად. მიუხედავად იმისა, რომ მას არ გამოსდის ადამიანებთან ურთიერთობა, მარგობისაგან და უკონტაქტობისგან დაღლილი, გამოსავალს ცხოველთან ურთიერთობაში პოულობს. სკუროიანისის მიერ კომუნიკაციის დამყარება ამბოხის გოლფასია. იგი საკუთარ თავში აღმოაჩენს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რომელიც მას აახლოებს სხვებთან. იგი ყველასაგან განმარგოებული მიდის და გულს პინდოსელ დათვს გადაუშლის: ... *მას თავზე მოეფერა. ცხოველი მიენდო მის ხელებს. ეს იყო მისი მწუხარების, მარგობის, იმედგაცრუების ამოფრქვევა – მოეხვია ცხოველის საყვარელ*

¹⁷³ A. Καραντώνης, 24 σύγχρονοι πεζογράφοι, Αθήνα 1978, 227.

თავს... ჩვენ ორნი დავრჩით აქ – სხვა არავინ – სხვა აღარაფერი შემორჩა აქაურობას.¹⁷⁴ დ. ხადისი გულისტკივილს გამოთქვამს იმ თანამედროვე სამოგადოების გამო, სადაც ადამიანებს უჭირთ ერთმანეთის გაგება და ერთი მეორისაგან გაუცხოებული და განმარტოებული ცხოვრობს. იგი თვლის, რომ სამოგადოება, სადაც ადამიანები იმ დონემდე მივლენ, რომ დათვი ადამიანებზე მეტად ეყვარებათ ნამდვილად დალუპვის პირასაა.

სწორედ ეს დაკნინებული სამოგადოება და არანორმალური ადამიანური ურთიერთობები გახდა მიზეზი იმისა, რომ ფაქიზი ბუნების ადამიანი, რომანის კიდევ ერთი პერსონაჟი, ანასტასია შეშლილად მონათლა: *თერძის ნახევრადშეშლილ გოგოს მეძახდნენ ... ვგრძნობდი, რომ ჩემს გარშემო ქალებს უკვე ეშინოდათ სურპელი გოგონასი, თავს მარილებდნენ, არ უნდოდათ ჩემთან ლაპარაკი,*¹⁷⁵ – ამბობს ანასტასია, კოსტასის და. ანასტასიასთვის რეალური სამყარო მეტად მკაცრი და ტკივილით სავსეა, იგი თავს მარტოდ, ყველასაგან, საკუთარი თავისგანაც კი, გაუცხოებულად გრძნობს: *ყველაზე უფრო უცხო კი ჩემთვის ჩემი საკუთარი თავია,*¹⁷⁶ – აღნიშნავს იგი. ფრანგი ფილოსოფოსი გაბრიელ მარსელი წერდა: “...თვითგაუცხოება ჩემთვის ის ფაქტია, რომ ადამიანს თავისი თავი, საკუთარი არსება სულ უფრო მეტად გაუცხოებულად ეჩვენება”.¹⁷⁷ სარგრისათვის კი თვითგაუცხოება, ისევე როგორც სხვა არაერთი ეგზისტენციალისტი მწერლისათვის, ბუნებრივი მდგომარეობაა იმ სამყაროში, რომელიც ადამიანისათვის ყოველად უაზროდ და უმიზნოდაა ქცეული. სწორედ ასეთი ადამიანია ანასტასია. იგი თითქოს შემთხვევით სამყაროში ცხოვრობს. მარტოსული და თვითგაუცხოებულია, რომელიც ცდილობს, თავი დააღწიოს რეალობას და თავის ფანტაზიებში ჰპოვოს სულიერი სიმშვიდე, საკუთარი თავი.

¹⁷⁴ Δ. Χατζής, *Το Διπλό βιβλίο*, Αθήνα 1999, 131, 132.

¹⁷⁵ Ibid., 159, 164.

¹⁷⁶ Ibid., 167.

¹⁷⁷ ზ. კაკაბაძე, “ეგზისტენციური კრიზისის” პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის გრანსცენდენტალური ფენომენოლოგია, თბილისი 1985, 8.

იგი სინამდვილესა და ილუზიაში გზააბნეული ადამიანია. ცისფერი, ოქროსფერი, მომწვანო-მოოქროსფრო, მზის შუქზე მოლივლივე ჩიგები არიან ის არსებები, რომლებიც ცხოვრობენ მის ფანგაბიებში, რათა ყველასაგან გაუცხოებულ ანასტასიას ცოცხალი ხნით მაინც დაავიწყონ მარგობა, ამოებით სავსე რეალური სამყარო. გასაკვირი არც არის, რომ ანასტასიას ადამიანებთან ურთიერთობის სურვილის გრძნობა სულ უფრო და უფრო უქრება, მისი გაუცხოება კი მას სხვა, საზოგადოებისათვის მიუწვდენელ სამყაროს, ზმანებათა სამყაროს შეაქცობინებს. ეს სხვა რეალობის სამყარო კი მისთვის არის ერთადერთი ჭეშმარიტი სიმართლე, ფარული ცხოვრების არსი. ის, ვინც შეიმეცნებს მას გიჟად შეირაცხება და განწირულია დასაღუპავად.

ანასტასიას ქორწინება მისთვის უცხო ადამიანზე გამოიწვევს მისი ილუზიების დამსხვრევას. იგი სულიერად დაცლილია და ერთადერთი, რაც მას შემორჩა, ეს არის ყალბი რწმენა. მან იცის, რომ ჩიგები აღარ მოვლენ მასთან და იძულებულია შეეგუოს მისი ქმრის, მისთვის სამუდამოდ უცხო, სამყაროს: *ჩვენ ორნი? ერთმანეთისთვის ყოველთვის უცხონი ვიყავით, მაშინაც კი როცა ხელი-ხელ ჩაკიდებულები ვმუშაობდით. ესლაც ესეა. ამაზე მეტი უცხოობა ორ ადამიანს შორის შეუძლებელია. ეს ორივემ კარგად ვიცით. მას არ ვძულვარ. უბრალოდ არ ვარსებობ.*¹⁷⁸ ჩვენი აზრით მწერალი შეეცადა ანასტასიას სახით შეექმნა ადამიანი, რომელსაც ეშინია გააკეთოს არჩევანი, რომელიც არ არის შინაგანად თავისუფალი და მისდევს ყალბი ღირებულებებით სავსე ცხოვრებას.

ამრიგად, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ღიმიგრის ხაძისის “ორმაგი წიგნის” პერსონაჟები, როგორც თანამედროვე, ინდუსტრიული სამყაროს ანუ “ტექნიკური გაუცხოების”, ასევე დაკნინებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მსხვერპლნი არიან. საზოგადოებასა და ადამიანს შორის გათიშულობა, ზოგჯერ კი თავად ადამიანებს შორის უკონტაქტობა ქმნის

¹⁷⁸ Δ. Χατζής, *Το Διπλό βιβλίο*, Αθήνα 1999, 168.

“ორმაგი წიგნის” თითოეული გმირის გრაგედიას. თუმცა დ. ხაძისი მხოლოდ კონკრეტული ადამიანის პრობლემით არ შემოიფარგლება. კოსტასის სახით, მწერალი ზოგადად ბერძენი ემიგრანტების “გაუცხოების” პრობლემას აყენებს. სკუროიანისი კი სამშობლოში დაბრუნებული თითოეული ემიგრანტის “ორმაგად გაუცხოებული” სახეა: *აქ ისე დაწერე, რომ მის უკან საზოგადოება გამოჩნდეს, რომელიც დაცემის პირასაა,*¹⁷⁹ – ამბობს სკუროიანისზე თავად მწერალი “ორმაგი წიგნის” დასასრულს. რაც შეეხება “თვითგაუცხოებულ” ანასტასიას, იგი იმ დაკნინებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ანარეკლია, რაც ხაძისის თანამედროვე ბერძნულ საზოგადოებაში იჩენდა თავს.

დიმიტრის ხაძისის გმირები “უცხო” მხოლოდ უცხო ქვეყანაში როდი არიან. თუკი “ორმაგ წიგნში” მწერალი გერმანიაში ემიგრირებული ბერძნების უცხო სამყაროსთან შეჯახების პრობლემებით ინტერესდება, მოთხრობაში “სამბეთაი კაბილისი” მისი გმირები “უცხოდ” და საზოგადოებისაგან გარიყულად თავიანთ ქვეყანაშივე წარმოგვიდგებიან.

დიმიტრის ხაძისის მცირერიცხოვან ნაწარმოებთა შორის მოთხრობა “სამბეთაი კაბილისი” კრებულიდან “ჩვენი პაგარა ქალაქის დასასრული”, ომისშემდგომი პერიოდის ბერძნული ლიგერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, რომელმაც წარმატება და აღიარება მოუგანა ავტორს. აღნიშნულ ნაწარმოებში მწერალი ადამიანის “გაუცხოების” ზოგადსაკაცობრიო პრობლემას მასშტაბურ ხასიათს აძლევს. ამ შემთხვევაში გაუცხოება არ წარმოადგენს მისი თითოეული პერსონაჟის, ცალკეული ინდივიდის პრობლემას. აქ საუბარია ადამიანთა მთელ ჯგუფზე, რომელიც გაუცხოების სინდრომით დაავადებული იზოლაციისათვის და მარგობისათვის არის განწირული.

მოთხრობაში, რომელიც რეალურ ისტორიულ მოვლენაზეა აგებული, საბერძნეთში, კერძოდ კი ქალაქ იოანინაში მცხოვრები ებრაული სათვისტომოს

¹⁷⁹ Δ. Χατζής, *Το Διπλό βιβλίο*, Αθήνα 1999, 176.

ცხოვრებაა აღწერილი. მწერალი იმ ჩაკეტილი საზოგადოების საერთო ბედით ინგერესდება, რომელიც ცხოვრების ეკონომიური პირობების ცვალებადობის გამო დალუპვის პირასაა მისული. თუკი “ორმაგ წიგნში” ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ძველ, ტრადიციულ სამყაროს შორის გზააბნეული, გაუცხოებული ადამიანები წარმოგვიდგებიან, ამ შემთხვევაში ორი, განსხვავებული რელიგიური და ეროვნული ტრადიციების მქონე სამყარო ეჯახება ერთმანეთს.

ნაწარმოების მთავარი გმირი სამბეთაი კაბილისი და მისი სათვისტომო მათი წინაპრების მსგავსად, რომლებიც ასეული წლების განმავლობაში ამ მიწა-წყლის შვილები იყვნენ, ბერძენ ხალხთან თანაცხოვრობენ. თუმცა თითოეული ამ ადამიანთაგანი, მიუხედავად ბერძნებთან მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობისა, მის ირგვლივ გაბლანდული უცხოობის ქსელშია გაბმული. ებრაელები ბერძნებისათვის არიან “უცხონი”, ისევე როგორც ბერძნები ებრაელებისთვის,¹⁸⁰ ვინაიდან ისინი სხვადასხვა რელიგიურ და რასობრივ ჯგუფს წარმოადგენენ: *ჩვენგან არავითარი საფრთხე არ ელოდათ. და მაინც, მდიდრები თუ მათხოვრები, განათლებულები და მუშები თავიანთი ებრაული კვარტლებიდან ფეხს არ იცვლიდნენ. აქ არის ჩვენი ბუდე, ეუბნებოდა მათ სამბეთაი კაბილისი. ბუდესთან დაკავშირებული ამრი ყველას სწორად და ბრძნულად მიაჩნდა – რა გვინდა იმ უცხო ხალხში? არც არავინ გოვებდა თავის*

¹⁸⁰ საკუთარ მიკროსამყაროში ჩაკეტილი საზოგადოებისთვის ყოველი უცხო ადამიანი შეუცნობელის შიშთან, სიძულვილთან და ზიზღთან ასოცირდებოდა, ვინაიდან იგი მათი სამყაროს დაშლისა და აპოსინთეზის ელემენტს წარმოადგენდა. ასე, მაგალითად, ძველი ეპოქის ტრადიციული საზოგადოებები მათ ირგვლივ არსებულ გარემოს მიკროსამყაროდ აღიქვამდნენ, ხოლო ამ ჩაკეტილი სამყაროს მიღმა მათთვის შეუცნობელი და უფორმო სფერო სუფევდა. ანტიკური კულტურის ხალხებისათვის ადამიანი იყო გაუცხოებული, თუკი იგი არ იყო მათი ჯგუფის წევრი, მათი გვარის წარმომადგენელი. სხვადასხვა კულტურებში ასეთი ადამიანები შესაბამისი ეპითეტებით მოიხსენიებოდნენ. ასე, მაგალითად, ძველი ბერძნები უცხოს “ბარბაროსს”, ებრაელები “წარმართს”, ჩინელები კი “უცხოელ დემონს” უწოდებდნენ; შდრ.: M. Eliade, Οικόνες και σύμβολα (1991), Αθήνα 1994, 50; Ζαν Κάζεβ-Νταβინτ Βικτόროφ, Βασικά θέματα της κοινωνιολογίας και κοινωνιολογικό λεξικό, Αθήνα 1988, 350-51.

ბუდეს. ერთ ებრაელსაც კი ვერ ნახავდი მთელს ქალაქში სხვის სახლში რომ შესულიყო.¹⁸¹ საგულისხმოა, რომ ხადისის პერსონაჟები ამ “უცხოობას”, როგორც თანდაყოლილ პიროვნულ ან რასობრივ ბედად აღიქვამენ და მიაჩნიათ, რომ ვალდებულნი არიან ბოლომდე აგარონ ეს გვირთი. მიუხედავად იმისა, რომ მათი მამა-პაპანი ასეული წლების განმავლობაში სახლობდნენ იოანინაში, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ამ ქალაქში მაცხოვრებელი ებრაელები განთავისუფლებულიყვნენ “უცხოეთის” დამახასიათებელი ნიშანთვისებებისაგან.¹⁸² ებრაელი საბერძნეთში უძველესი დროიდან მოყოლებული ადგილობრივი უცხოელია,¹⁸³ - აღნიშნავს ბერძენი კრიტიკოსი და მეცნიერი ფრანგისკი ამბაძოპულუ.

ებრაელების მონოთეიზმი, ჯერ კიდევ ძველ ბერძნებთან, სარწმუნოებრივი სხვაობის კრიტერიუმი იყო, ხოლო მათი აღმოსავლური წარმომავლობა ნაციონალურისა. თანამედროვე ბერძენი მწერლები ებრაელებს გარკვეულწილად დადებითად ახასიათებენ. მათ იმ ვრად მიიჩნევენ, რომელიც აღმოსავლურ სიბრძნეს ასხამს ხორცს. ელინისტურ ეპოქაში კი, შესაძლოა ეგვიპტის გავლენის ქვეშ, რომელიც ანტიებრაული გრადიციების სახელმწიფო იყო, ებრაელებს მეტად უარყოფითად ახასიათებდნენ. ბერძნულ გრადიციებაში

¹⁸¹ Δ. Χατζής, Το τέλος της μικτής μας πόλης, *Σαμπεθαί Καμπίλης*, Αθήνα 1999, 46-47.

¹⁸² ცალკეულ ადამიანთა ჯგუფის ჩარჩოში მოქცევა ქმნის აკრძალულ ზონას მათ ირგვლივ, რაც ამ ხალხის იმოღაცის განაპირობებს. ებრაელები საბერძნეთში საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის ენასა და კულტურას ითვისებდნენ, თუმცა თავიანთ რელიგიასა და ყოფით თავისებურებებს ინარჩუნებდნენ. ისინი სახლდებოდნენ ქალაქებში, სადაც თავიანთ კვარტლებში (გეტო) კარჩაკეტილ თემებად ცხოვრობდნენ. ებრაელებს აიძულებდნენ ჩაეცვათ განსაკუთრებული განსაცემელი, ან განსხვავებული ნიშნები ჰქონოდათ სამოსზე, ეცხოვრათ მათთვის გამოყოფილ უბნებში. ისინი ძირითადად ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდნენ, შეძლებულები კი მევახშეობას. იუდაიზმის დოგმები ითვალისწინებდნენ ებრაელების თემის განცალკევებას, რასაც გაბაგონებული კლასებისა და ქრისტიანული ეკლესიის პოლიტიკაც ხელს უწყობდა. ადგილობრივ ვაჭრებთან და ხელოსნებთან კონკურენცია საბერძნეთში ანგისემიგიზმს აღვივებდა. მდრ.: Φ. Αμπατζιοπούλου, Ο Άλλος εν Διωγμώ, η εικόνα του Εβραίου στη λογοτεχνία, ζήτηματα ιστορίας και μυθολογίας, Αθήνα 1998, 233.

“ებრაელი” უპირველეს ყოვლისა ანტი-იუდაიზმის წარმონაქმნია, რაც რელიგიურ სხვაობასა და მათ მიერ ქრისტეს მოკვდინების ბრალდებას უკავშირდება. ბერძნულ ხალხურ სიმღერებში გამოიკვეთება ებრაელის სტერეოტიპული თვისებები, რაც შუასაუკუნეების ევროპაშიც იყო გავრცელებული. ებრაელები ამ სიმღერების მიხედვით არიან ბინძურები, კეთროვანნი, ჯადოქრები, ებრაელი ქალები კი კუდიანები და ბავშვის მკვლელები.¹⁸⁴ მსგავსი ბრალდებები ებრაელების მიმართ დ. საძისის მოთხრობაშიც გაისმის: *ზოგადად ისინი არარაობად, უვარგის და ბინძურ რასად მიაჩნდათ. მათ გათახსირებულ ებრაელებს და წუწურაქებს ეძახდნენ... მათზე ასევე უამრავ ამბებს ყვებოდნენ ხოლმე, რომელიც მხოლოდ ყურმოკვრით იცოდნენ, მაგრამ ყველას სიმართლედ მიაჩნდა. თითქოს ყველაფერი ჩვენს ქალაქში მცხოვრებ ებრაელებს ჩაედინოთ... დედებიც შვილებს აფრთხილებდნენ, სახლში გვიან არ დაბრუნებულიყვნენ, რადგან მობინდებისთანავე ებრაელები ავ აჩრდილებთან ერთად ქუჩაში გამოდიან და ბავშვებს იჭერენო. შემდეგ მათ ეკლებს ურჭობენ, მათი სისხლისგან კი მაცას აკეთებენ.*¹⁸⁵

ანტისემიტიზმის პრობლემებით არაერთი შემოქმედი დაინტერესებულა მსოფლიო ლიტერატურაში, თუმცა საძისის შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მიღმა ადამიანის გაუცხოების პრობლემაც აშკარად იკვეთება. ბერძენი მწერალი, აღნიშნულ ნაწარმოებში, შეიძლება ითქვას, რომ გლობალური პრობლემის წინაშე გვაყენებს. იგი ცდილობს ისტორიის სიღრმეებში მოიძიოს ადამიანური არსებობის გრაფიზმის სათავეები.

¹⁸³ Φ. Αμπατζοπούλου, Ο Άλλος εν Διωγμώ, η εικόνα του Εβραίου στη λογοτεχνία, ζητήματα ιστορίας και μυθοπλασίας, Αθήνα 1998, 209.

¹⁸⁴ Ibid., 197.

¹⁸⁵ Δ. Χατζής, Το τέλος της μικρής μας πόλης, Σαμπεθαί Καμπίλης, Αθήνα 1999, 45-46.

ნაწილი მეორე / თავი მეოთხე

ადამიანი შეუცნობელი სამყაროს წინაშე დ. ხაძისის მოთხრობების “წყლისმოქცევის დრო” და “წმინდა გიორგი”

XX საუკუნის ხელოვნები და მოაზროვნეები ერთსულოვნად აღიარებენ ბურჟუაზიული საზოგადოების კრიზისს. მათი მზერა თანამედროვე სამყაროში მარგობისგან, უკონტაქტობისგან და არარაობის შეგრძნებით დაქანცულ ადამიანზეა მიპყრობილი. ისინი უნდობლობას უცხადებენ ბურჟუაზიულ სამყაროს, მისი უაზრო იდეალების აბსურდულობას. ამგვარი დამოკიდებულება თანამედროვე საზოგადოებისადმი დამახასიათებელია დიმიტრის ხაძისისთვისაც. თანამედროვე სამყაროში ადამიანის არსებობა, ადამიანის მარგობა და მიტოვებულობა, მისი სიღრმისეული განცდების ასახვა – ის თემატიკაა, რომელიც მისი შემოქმედების ბირთვს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა დ. ხაძისის მოთხრობები “წყლის მოქცევის დრო” და “წმინდა გიორგი”.

დ. ხაძისი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ადამიანის მიმართ, რომელიც დიდი გარდაცხების ეპოქაში ებრძვის როგორც საზოგადოებრივ გარემოს, ასევე საკუთარ თავს. ხაძისის გმირები (მკერავეები, მგვირთავეები, მუშები, მეძავეები) ჩვეულებრივ, დაბალ საზოგადოებრივ ფენას მიეკუთვნებიან. ისინი ყოველთვის თავმდაბალნი არიან და უსამართლობის მსხვერპლნი ხდებიან. მწერალი მათ მიმართ დიდ სიმპათიას გამოხატავს. იგი ამ ხალხთან იდეოლოგიურ და სულიერ სიახლოვეს გრძნობდა, და როგორც თავად ამბობდა, ამ ადამიანებში მას მათი ბუნებრივობა და უბიწო სული აღელვებდა. მწერლისთვის ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი სულიერი განწყობა მეტად მნიშვნელოვანია და ეს მის შემოქმედებაშიც ხაზგასმულია.

აღსანიშნავია, რომ პროგაგონისგის შინაგანი სამყაროს წარმოჩენა უკვე XIX საუკუნიდან მოყოლებული ბერძნული რომანისათვის სიახლეს არ წარმოადგენს. გმირის ფსიქოლოგიურ და სულიერ სამყაროში შეღწევის მცდელობა დამახასიათებელია მოდერნიზმისათვის, რომელსაც საბერძნეთშიც 1930-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთი მიმდევარი ჰყავდა. აღნიშნული ტენდენციები დ. ხადისის შემოქმედებაშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. “მიუხედავად მისი იდეოლოგიური და პოლიტიკური პოზიციისა, რაც მის მემარცხენეობაში გამოიხატება, იგი მოთხრობებში ადამიანს არ წარმოგვიდგენს ცალმხრივად, როგორც უმოძრაო მარიონეტს, როგორც რაიმე იდეის უსახურ სიმბოლოს ან უბრალოდ მიზეზს ქადაგებისთვის. მის პერსონაჟებს, სოფლისა თუ ქალაქის მაცხოვრებლებს მდიდარი სულიერი სამყარო გააჩნიათ, ისინი მთელი თავისი გრძნობით, მღელვარებით, ეჭვებითა თუ წინააღმდეგობებით შემოდიან ჩვენში”.¹⁸⁶ – ასე ახასიათებს დიმიტრის ხადისის შემოქმედებასა და მის პერსონაჟებს ცნობილი ბერძენი კრიტიკოსი ა. სახინისი. გამონაკლისს არც მისი მოთხრობის “წყლის მოქცევის დრო” პერსონაჟები წარმოადგენენ.

აღნიშნულ ნაწარმოებში მწერალი თითოეული გმირის ხასიათისა თუ სულიერი განწყობის წარმოჩენისას წინა პლანზე ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს წამოწევს. იგი განსაკუთრებული სიმწვავეთ თანამედროვე სამყაროში ადამიანის არსებობის საკითხს აყენებს. იმ პრობლემათა შორის, რომელთაც მწერალი წამოჭრის, ჩვენ ორ ძირითადს გამოვყოფდით:

- ა. საზოგადოებიდან გარიყული ადამიანის ბედი.
- ბ. თანამედროვე ადამიანი შეუცნობელი სამყაროს წინაშე.

მოთხრობაში მწერალი ერთ-ერთ ბერძნულ ოჯახს წარმოგვიდგენს და მას თავისი ეპოქის საზოგადოებასთან მიმართებაში განიხილავს. “წყლის მოქცევის

¹⁸⁶ A. Σαχίνης, Είκοσι χρόνια νεοελληνικής πεζογραφίας: 1945-1965, Αθήνα 1984, 115.

დრო” მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის რეალურ ცხოვრებასა და თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების განწყობას გადმოსცემს. ნაწარმოების პერსონაჟები არიან: მეძაფე დედა, მისი უმცროსი ინვალიდი ვაჟი, რომელსაც თავისი საკუთარი სამყარო აქვს შექმნილი და მასშია გამოკეცილი; მეორე შვილი, კოსტანდისი, მოთხრობის მთავარი გმირი, არის ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც მისთვის უცხო სამყაროში თვითდამკვიდრების მძიმე გზას დასდგომია. იგი სკოლას თავს ანებებს და ნავსადგურში იწყებს მუშაობას.

ნაწარმოებში ნათლად არის ასახული ადამიანისადმი თანამედროვე საზოგადოების აგრესიული დამოკიდებულება, რაც ძირითადად მეძაფე დედასთან მიმართებაში გამოიხატება. მარტოხელა ქალი, სოციალური და ეკონომიური პირობების გამო, იძულებულია მეძაფე გახდეს, რათა არჩინოს თავისი ორი არასრულწლოვანი შვილი. მისი ხვედრი კი ლანძღვა და გმობაა მის გარშემო მყოფი ყველა ადამიანის მხრიდან. მეზობლები მას აღარ ესალმებიან მისი “პროფესიის” გამო. იგი საზოგადოებიდან გარიყული და ყველასგან გაუცხოებული მარტოსული ადამიანია, რომელსაც საკუთარი შვილიც კი ზურგს აქცევს. მისი განდევილობა და მარტოობა, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ინდივიდის სოციალური სტატუსი, სწორედ რომ საზოგადოებრივი სისასტიკის შედეგია.

მწერალი განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავს ინვალიდი ბავშვის მიმართ, რომელიც მეძაფე დედის ერთ-ერთი ყოფილი საყვარლის შვილია. პაგარა სტრატისს ორი სამყარო აქვს. ეს არის, ერთი მხრივ, რეალური სამყარო, ანუ მისი ოჯახი, სახლი, მეორე კი მისი ფანტაზიების სამყარო. ბავშვის ისედაც დამახინჯებულ ცხოვრებას ოჯახური გარემოება კიდევ უფრო ამძიმებს. მისი ცხოვრება გამუდმებით სახლის (სადაც დედის “მუშგრები” დადიან) არასასიამოვნო გარემოცვაში ყოფნით შემოიფარგლება. მისთვის ეს რეალური სამყარო მეგად რთული და შეუცნობელია. ერთადერთი გამოსავალი საკუთარი

გამოგონილი სამყაროს შექმნაა, რომელიც ნათელი, მხიარული და სრულყოფილია, სრულიად განსხვავებული იმისაგან, რასაც მას ცხოვრება სთავაზობს. სტრაგისი მხოლოდ წარმოსახვით სამყაროში ახერხებს საკუთარი თავის პოვნას და სულიერი სიმშვიდის მოპოვებას. მწერალი მუქ ფერებში გვიხატავს ბავშვის რეალურ სამყაროს და მისი განცდების გადმოცემისას თითქოს წინასწარ გვაუწყებს იმ უღიმღამო, უიმედო და უსიხარულო ყოფის შესახებ, რასაც ბავშვს სამომავლოდ ცხოვრება უმზადებს.

მოთხრობაში, შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული სიმწვავეთაა წარმოჩენილი ბავშვის მისადმი მგრულად განწყობილ, შეუცნობელ სამყაროსთან შეჯახების პრობლემა. დ. ხაძისი საზოგადოებას წარმოგიდგენს როგორც იერარქიულ სტრუქტურას, რომლის საფუძველშიც ძევს ბავშვი, ვინაიდან იგი საზოგადოების ყველაზე უმწეო წევრია. მისი აზრით ბავშვი თანამედროვე საზოგადოებაში ყველაზე მეტ აგრესიას განიცდის, თუმცა ოფიციალურად მიღებულია აზრი, რომ საზოგადოება ყოველივე საუკეთესოს ბავშვებისთვის ქმნის. ათი წლის კოსტანდისს, ისევე როგორც მის უმცროს ძმას, უსამართლოდ მოწყობილ სამყაროში უხდება ცხოვრება. იგი მისი გარემოცვის აგრესიის მსხვერპლია. მეძავის შვილს საზოგადოება მგრულად განწყობილი ხდება. ადამიანები, რომელთა უხეში და მგრული დამოკიდებულება ბავშვის სულიერ სამყაროს მძიმე დაღს ასვამს, კონსტანდისისათვის საშიშ არსებებად იქცევიან. ეს კი მისი საზოგადოებიდან გაუცხოების მიზეზი ხდება: *მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ არავის აღარასოდეს დალაპარაკებოდა... დედასთანაც კი არასოდეს არაფრის შესახებ არ ესაუბრა.*¹⁸⁷ მოსწავლისათვის განსაკუთრებით რთული სკოლის გარემოცვაში ყოფნაა: *მას ეშინოდა კლასის მასწავლებლის,*

¹⁸⁷ Δ. Χατζής, *Ανυπεράσπιστοι, Ωρα της φυρονομιάς*, Αθήνα 1966, 60.

*სკოლის დარაჯის, ებოში მყოფი ბავშვების – ამ სკოლაში ყველაფრის ემინოდა.*¹⁸⁸

ზოგადად გავრცელებულია აზრი, რომ სკოლა ბავშვის აღზრდასა და მის განათლებას ემსახურება, რომ აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მოსწავლემ მის მიმართ კეთილგანწყობილ გარემოში იგრძნოს თავი. თუმცა საინტერესოა, მოვიყვანოთ ბერძენი ფსიქოლოგის, ი. ლალანისის შეხედულება ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებით, რომელიც რადიკალურად განსხვავებულია. მისი თვალსაზრისით სკოლის გარემოცვაში, სადაც ილახება მოსწავლის ღირსება, იგნორირებულია მისი პიროვნება, უგულებელყოფილია მისი სურვილი და გაბატონებულია უფროსების თვითნებობა, უსამართლობა... მოსწავლე იძულებას, ძალადობას, გეწოლას გრძნობს.¹⁸⁹ მიგვაჩნია, რომ ბერძენი ფსიქოლოგის ამგვარი შეფასება ჩვენი ლიბერალური პერსონაჟის ფსიქოლოგიურ აღქმას ზუსტად ესადაგება. სკოლის გარემოცვაში ადამიანებისაგან დამცირებული და შეშინებული კონსტანდისი იძულებულია სკოლაში აღარ იაროს და ქუჩაში გავიდეს. მასწავლებელი არც კი ინტერესდება მისი ბედით.

სკოლისა და ოჯახის გარემოცვას გაქცეული კონსტანდისი ნავსადგურს შეაფარებს თავს, სადაც კვლავ აგრესიულ და დაუნდობელ სამყაროს აღმოაჩენს. პაგარა კონსტანდისი შეშინებული და გაუცხოებულია და ადამიანებთან კონტაქტს გაურბის.

მეგად საინტერესოა ის ორი სახე, რომელსაც მწერალი გვიხატავს ნაწარმოებში და რომლებთანაც ხდება გაუცხოებული კონსტანდისის მიერ კონტაქტის დამყარება. ეს არის, პირველ რიგში, ნავსადგურის მგვირთავი. იგი ერთი უმარმამარი ტანის, ველური და უხეში ადამიანია, რომელიც თავისი

¹⁸⁸ Δ. Χατζής, Ανυπεράσπιστοι, *Ωρα της φυρονεριάς*, Αθήνα 1966, 61.

¹⁸⁹ შტრ.: Γ. Γ. Γαλανός, Απελεύθερο Εγώ και Κατεστημένο, Εφαρμοσμένη Ψυχολογία, Αθήνα 1975, 116.

გარეგნული დამახასიათებელი ნიშნებით ცხოველს უფრო ჰგავს. მწერალი თითქოს განგებ ამახვილებს ყურადღებას ამ პერსონაჟის ცხოველურ თვისებებსა და ხასიათზე, რათა საზოგადოებისაგან გათელილი, სახეცვლილი და გაუცხოებული ადამიანი წარმოგვიჩინოს. მეორე, განსაკუთრებით საინტერესო სახეა. ის არის არა ადამიანი, არამედ ნავსადგურის ერთ-ერთ მისადგომთან წლების განმავლობაში მიტოვებული გემი, კერძოდ კი მასზე გამოკვეთილი გორგონა. ნავსადგურის მგვირთავისაგან განსხვავებით, რომლის გარეგნობაზე მწერალი გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის, ის არაფერს გვეუბნება ამ მითოლოგიური არსების შესახებ. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ მას უზარმაზარი, მრგვალი თვალები აქვს, რომელიც გამუდმებით კოსტანდისზეა მიპყრობილი. ადამიანებისაგან გამოქცეული და უკონტაქტობისგან დაღლილი კოსტანდისი გორგონას სახეში, ადამიანებისაგან განსხვავებით, თავის ერთადერთ მფარველს¹⁹⁰ ამოიცინოს და მასთან შეეცდება კონტაქტის დამყარებას: *კოსტანდისი მარგო დარჩა. შეჩერდა და შემდეგ ნელ-ნელა დაუყვა გზას, წავიდა იქ, სადაც ყოველთვის მიდიოდა - გორგონასთან ახლოს, [...] გორგონა მის წინ თავს ბემოთ-ქვემოთ იქნევდა. ისიც, მაშინ როცა ნავსადგურში სხვები ყაყანებდნენ და ნაჩქარევად მიდი-მოდიოდნენ, იჯდა უმოძრაოდ, მარგოსული და სხვებისაგან გარიყული და მას შესცქეროდა.*¹⁹¹ საგულისხმოა, რომ ორივე შემთხვევაში მწერალს სურს ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ კოსტანდისი არაადამიანური ნიშნების მქონე არსებებთან ახერხებს კონტაქტის დამყარებას. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მწერალს სურს ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ ადამიანს სხვებთან ურთიერთობის გარეშე არსებობა არ შეუძლია, თუმცა ასევე

¹⁹⁰ საგულისხმოა, რომ ბერძნულ მითოლოგიაში Γοργόνειον – გორგონიონი, რომელიც მეღუბა გორგონას მოკვეთილ თავს ეწოდებოდა, გამოიყენებოდა როგორც ამულეტი და მას ავი თვალისაგან დამცავის ფუნქცია ჰქონდა. გორგონას თავი გამოსახული იყო ხოლმე განისამოსზე, სამკაულებზე, იარაღზე, ჭურჭელზე, ტაძრებზე, შენობებზე, საფლავებზე, მონეტებზე და გემებზე; შტრ.: Π. Δραβδάκης, Μεγάλη Ελληνική Εγκυκλοπαίδεια, Αθήνα, τ. VIII, 627.

¹⁹¹ Δ. Χατζής, Ανυπεράσπιστοι, Ωρα της φυρονεριάς, Αθήνα 1966, 67, 76.

ძალიან ძნელია თანამედროვე სამყაროში მოძებნო ისეთი ადამიანი, რომელთანაც შესაძლებელი იქნება ურთიერთობის დამყარება.

საინტერესოა, რომ მოთხრობის დასასრულს ნავსადგურში შეიღის საძებნელად მისული მეძავი დედის სახეში კოსტანდისი გორგონას სახეს ამოიცინობს: *კოსტანდისი მას შესცქეროდა... თითქოს პირველად ხედავდა დედის სახეს. და აი იცნო. იგივე სახე იყო – ძირვამომპალ გემზე გამოსახული გორგონას სახე.*¹⁹² როგორც ცნობილია, ბერძნულ მითოლოგიაში გორგონა მსუბუქი ყოფაქცევის ქალ-ურჩხულთანაც იგივედებოდა.¹⁹³ მეძავი დედის ქალ-ურჩხულთან გაიგივებით მწერალს, ალბათ, სურდა კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა მეძავი ქალისადმი საზოგადოების აგრესიული დამოკიდებულებისათვის. საზოგადოება, შეიძლება ითქვას, რომ მეძავს სწორედ როგორც ურჩხულს ისე აღიქვამს, ამიტომ მას ეპყრობა როგორც უცხოს და მის მიმართ მგრულად არის განწყობილი.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც დ. ხაძისი თავის მოთხრობაში “წყლის მოქცევის დრო” აყენებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ადამიანის მიერ თანამედროვე სამყაროს შეუცნობელობის პრობლემა. ამ საკითხით განსაკუთრებით არიან დაინტერესებულები ფრანგი ეგზისტენციალისტი მწერლები. ისინი სამყაროს აღიქვამენ როგორც უფსკრულს, რომლის წინაშეც ჩაფიქრებული და შეშინებული ადამიანი დგას. უფსკრული კი მათთვის სამყარო კი არაა მთლიანობაში, არამედ ბურჟუაზიის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი სისტემა.¹⁹⁴ თუმცა ეგზისტენციალისტებისათვის საკმარისი არ არის იმის მტკიცება, რომ საზოგადოებაა აუგანელი. ისინი თვლიან, რომ თავად ადამიანური ცხოვრებაა გაუგებარი და საერთოდ, სამყარო აბსურდულია.

¹⁹² Δ. Χατζής, *Ανυπεράσπιστοι, Ωρα της φυρονεριάς*, Αθήνα 1966, 81.

¹⁹³ Π. Δρανδάκης, *Μεγάλη Ελληνική Εγκυκλοπαίδεια*, Αθήνα, τ. VIII, 628-629.

¹⁹⁴ შტრ.: Л. Г. Андреев. О современных декадентах, о литературно-художественных течениях XX века, Москва 1966, 138.

ბერძენი შემოქმედის თანამედროვე სამყაროსადმი დამოკიდებულება არ განსხვავდება ფრანგი ეგზისტენციალისტი მწერლების შეხედულებებისაგან. მისი პერსონაჟების უფერული და არაფრისმთქმელი ცხოვრება მწერლის ცნობიერებაში სამყაროს აბსურდულობის აღქმას უწყობდა ხელს. ეს ადამიანები მართლაც რომ ჩაფიქრებულნი და შეშინებულნი ღვანან უფსკრულის წინაშე. კოსტანდისისათვის სამყარო იღუმალია. მისი ორივე სამყარო (1. ოჯახი, სკოლა; 2. ნავსადგური;) მისთვის შეუცნობელია. განსაკუთრებულად უცხოდ იგი თავს ნავსადგურში გრძნობს. ეს სამყარო: *მისთვის უ ა ზ რ თ იყო. იგი იქ უ ც ხ თ იყო, მისთვის ყველაფერი ა მ ა თ იყო, ა რ ა ფ რ ი ს მ თ ქ მ ე ლ ი*,¹⁹⁵ – გვეუბნება მთხრობელი. ჩვენი აზრით, მწერალი ისეთი სიგყვების გამოყენებით, როგორცაა *უაზრო, უცხო, ამაო, არაფრისმთქმელი*, რაც ბერძენი კრიტიკოსის ქ. მილიონისის შეფასებით ეგზისტენციალისტი მწერლებისათვის დამახასიათებელი ტერმინებია,¹⁹⁶ თვალნათლივ გამოხატავს თავის შეხედულებას თანამედროვე სამყაროში ადამიანის არსებობის შესახებ.

შეუცნობელი სამყაროს წინაშე მდგომი პაგარა ადამიანი გორგონას კითხვებს უსვამს, თუმცა პასუხს ვერ იღებს: *როცა ციოდა, ეშინოდა და სურდა გაეგო რაგომ ხდებოდა ეს ყველაფერი ან რა მოხდება ბოლოს და პასუხს ვერ პოულობდა, თვალებს მისკენ მიაპყრობდა – მისგან ელოდა ახსნას. გორგონას თვალები უმეგყველოდ იყო მისკენ მიპყრობილი*.¹⁹⁷ ადამიანის მიერ დასმული კითხვების უპასუხოდ დატოვება, როგორც ცნობილია, არის სწორედ აბსურდის შეგრძნების გამოწვევის მიზეზი.¹⁹⁸ აბსურდისგული ნაწარმოების ძალა და ღირებულება კი სწორედ ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე შეგნებული პასუხის

¹⁹⁵ Δ. Χατζής, Ανυπεράσπιστοι, *Ωρα της φυρονεριάς*, Αθήνα 1966, 63.

¹⁹⁶ შდრ.: X. Μηλιώνης, Δημήτρης Χατζής: *Ωρα της φυρονεριάς*, μια ανάγνωση, Επιστημονικό Συμπόσιο, Δ. Χατζής, μια συνείδηση της ρωμοσύνης, Πάτρα 1999, 138.

¹⁹⁷ Δ. Χατζής, Ανυπεράσπιστοι, *Ωρα της φυρονεριάς*, Αθήνα 1966, 65.

¹⁹⁸ შდრ.: A. Camus, L' absurde naît de cette confrontation entre l'appel humain et le silence déraisonnable du monde, Paris 1942, 44.

გაცემის შეუძლებლობაში მდგომარეობს.¹⁹⁹ აბსურდისტული ნაწარმოები მიზნად არ ისახავს ამგვიცოს გეაზრი. სამყარო ირაციონალურია, მიუწვდომელი, აბსურდისტული ნაწარმოები კი მხოლოდ სამყაროს უაზრობის იმიგაციას ახდენს.

საინტერესოა თავად მოთხრობის დასასრულიც, როდესაც ნავსადგურის მგვირთავი აგრესიულად გამოხატავს თავის განწყობას, გეგონება მთელ სამყაროს უპირისპირდებაო: ... *და მაშინ, სრულიად მოულოდნელად, იფიქრებდი გონება დაებინდაო, დაიხარა, ხელი დაავლო დიდ ლოდს, მალა ასწია და გამეგებით მოისროლა, თითქოს მღვას უნდა დაარგყასო, რომელიც იმ დროს შუქისა და ჩრდილის მონაცვლეობისას, მის წინაშე ნათელს ჰყენდა და შემდეგ ისევ ნისლით ბურავდა თავისი ფსკერის შეუცნობელ საიდუმლოებებს...*²⁰⁰

მიგვაჩნია, რომ მგვირთავის ეს მოქმედება არის ამბოხი, უსამართლობითა და უაზრო მდგომარეობით აღშფოთებული ადამიანის შეუცნობელი სამყაროს წინააღმდეგ გალაშქრების გამოხატულება. ეს არის დასტური იმისა, რომ კრიზისი მძვინვარებს, ბურჟუაზიული საზოგადოების აგანა შეუძლებელია. თუმცა ეგზისტენციალისტებისათვის ნებისმიერი ამბოხი კონკრეტულ, ისტორიულ სიტუაციაშიც კი მეტაფიზიკურ ხასიათს იძენს. ადამიანური ურჩობის ნებისმიერ გამოვლინებაში აღიქმება ქმნილების პროტესტი შემოქმედის წინააღმდეგ. ამბოხი მჭიდრო კავშირშია სამართლიანობის გაგებასთან და იგი მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, იმ კონკრეტული უსამართლობისაკენ, რაც ადამიანის ჭმუნვის მიზეზია. ამასთან დაკავშირებით ალბერ კამიუ წერდა: “რევოლუციური სული გამოხატავს ადამიანის პროტესტს საკუთარი ბედის წინააღმდეგ. ეს პრობლემატიკა, სხვადასხვაგვარი ფორმებით, ხელოვნებისა თუ რელიგიის

¹⁹⁹ შდრ.: ლ. კერესელიძე, ედუარდ ბონდი: სოციალური დრამის ნიღაბი, თანამედროვე დასავლური დრამა, ესეები თანამედროვე საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე, თბილისი 1989, 111.

²⁰⁰ Δ. Χατζής, *Ανυπεράσπιστοι, Ωρα της φυρονομιάς*, Αθήνα 1966, 81.

მარადიული კვლევის საგნადაა ქცეული. რევოლუცია – პრომეთეს ამბოხიდან მოყოლებული – ყოველთვის მიმართულია ღმერთის წინააღმდეგ, ეს არის ადამიანის აჯანყება საკუთარი ბედის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში გირანები და ბურჟუაზიული მარიონეტები, მხოლოდ და მხოლოდ საბაბია”.²⁰¹ რაც შეეხება ბერძენ მწერალს აშკარაა, რომ იგი აღშფოთებას გამოხატავს ბურჟუაზიული საზოგადოების მიმართ, თუმცა ისიც უაქტია, რომ მისი გმირის ამბოხში, რაც ერთი შეხედვით სოციალურ კონტურებს იძენს, ადამიანის მეგაფიზიკური ამბოხიცაა გააზრებული. დ. ხადისისთვის *ზღვა* მთელი სამყაროა, *ფსკერის შეუცნობელი საიდუმლოებანი* კი მისთვის იმის აღიარებაა, რომ სამყარო შეუცნობელია, ადამიანს არ ძალუძს ჩაწვდეს მის საიდუმლოებებს. მწერალი მოთხრობის ფინალში ამგვარი მეგაფორული ხერხის გამოყენებით კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის შეხედულებას სამყაროს შეუცნობადობაზე და ბუნდოვანობაზე. ფინალის გაბუნდოვნების ეს ხერხი კი, რომელსაც ბერძენი მწერალი იყენებს, ჩვენი აზრით, აბსურდისგული დრამისაგან ნასესხები ხერხია და რეალურ ცხოვრებაში არსებული გაურკვეველობისა და ქაოსის სიმბოლოს წარმოადგენს.

მაშასადამე, ადამიანის ცნობიერება, მისი თვითშეგნება და მის მიერ სამყაროს შეცნობის მცდელობა მოთხრობაში ცენტრალურ ადგილს იკავებს. ბერძენი მწერალი აშკარად მიგვანიშნებს, რომ აბსურდს ადამიანურ ცნობიერებაში ღრმად აქვს გადგმული ფესვები, თუმცა იმაშიც დარწმუნებულია, რომ აბსურდული ცნობიერებისათვის სამყაროს ყოველგვარი ახსნა უშედეგო და ამაოა, რადგანაც სამყარო თავისი არაადამიანური თვითმყოფადობიდან გამომდინარე გამუდმებით ხელიდან გვისხლტება და ზურგს გვაქცევს.²⁰²

დ. ხადისის კიდევ ერთი, ეგზისტენციალური ხასიათის მოთხრობა “წმინდა გიორგი” დაკარგული ბედნიერების, ადამიანური არსებობის გრაფიზმის

²⁰¹ შტრ.: A. Camus, Carnets I. P., Paris 1962, 105-106.

სიმბოლოა, სადაც მწერალი ადამიანის ცხოვრების, მისი არსებობის საკითხებს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რათა უფრო ღრმად დააფიქროს თავისი მკითხელი.

ფიზიკურად არასრულფასოვანი, გონჯი და კუბიანი მკერავი სგამაგისი თავის ასევე მახინჯ ცოლთან ერთად თავიანთ ღარიბულ სახლში მშვიდი და უფერული ცხოვრებით ცხოვრობენ: *საკუთარი ცხოვრება თავისებურად ჰქოდა მოწყობილი და მისი შეცვლა არც უფიქრია, არც ის უნდოდა ვინმე უცხო მისთვის ცხოვრება აერია. თავის მეუღლესთან, კატერინასთან ერთად მშვენიერ დროს ატარებდნენ – სხვა არავინ ჭირდებოდათ.*²⁰³ ორი დაბეჭავებული და უბედური ადამიანი მათ მიერ ხელოვნურად შექმნილი ბედნიერებისა და კმაყოფილების სამყაროში ცხოვრობს. ეს სამყარო კი, არსებულ სიტუაციაში, მათ მიერ არჩეული სამყაროა. აქ შეიძლება ამ პერსონაჟების ეგზისტენციალურ თავისუფლებაზე ვიმსჯელოთ. თუმცა სარგრის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, საუბარია მარგობაში მყოფი ადამიანის ეგზისტენციალურ თავისუფლებაზე.

საკმარისია, ერთი სრულიად შემთხვევითი მოვლენა, რომ ეს ყალბი ბედნიერება და კმაყოფილება ნამსხვრევებად იქცეს და ისინი ყოვლად მოუშვადებელნი და დაუსველნი აღმოჩნდნენ ამამრბენი რეალობის წინაშე. ახალგაზრდა, ლამაზი და ჯან-ღონით სავსე წყვილის გამოჩენა, რომელიც მათ გვერდით ბინაში დასახლდება და მათთან მეგობრულ ურთიერთობას დაიჭერს, ერთ დღესაც, ისე რომ ამას თავად ვერც კი აცნობიერებენ, ფანტაზიაში მცხოვრებ გონჯ ცოლ-ქმარს გრაგიკული რეალობის სურათს გადაუშლის. აქ კი უკვე ხდება მათი თავისუფლების შემლუღვა. ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია სარგრის კონცეფციას დავეყრდნოთ, რომლის თანახმადაც ადამიანი “სხვებისაგან” იგანჯება, “სხვები” ბლუდავენ მის თავისუფლებას, მაგრამ თავისუფლების შემზღუღველი “სხვები” აუცილებელია ადამიანისათვის, რათა

²⁰² შტრ.: С. Фокин, Альбер Камю. Роман. Философия. Жизнь, Санкт-Петербург 1999, 137.

²⁰³ Δ. Χατζής, Σπουδές, Αη Γιώργης, Αθήνα 1976, 12.

მან საკუთარი თავი შეიცნოს.²⁰⁴ მკერავის ცოლი ქორთა და მშვენიერი იფიგენიას გვერდით თავის წარმოუდგენელ სიმახინჯეს, საკუთარ თავში სექსუალურობის არარსებობას აღმოაჩენს: *შეჩერდა და სარკის წინ მდგომ იფიგენიას მეხედა... თხელი ჩითის კაბის ქვეშ მისი სხეული მოჩანდა. უბიწო, ქალური, საოცარი სიშიშველე. მისი სხეული მშვენიერების სურნელს აფრქვევდა... მან იფიგენიას სარკეში საკუთარი ბედი შეიცნო.*²⁰⁵ – გვეუბნება ავგორი. კატერინაში ძლიერი, მგანჯველი გრძნობა, შურის გრძნობა იღვიძებს. ამ ფაქტის გამო კი სგამაგისი თავის ძვირფას მყუდროებას დაკარგავს, რაც მისი ერთადერთი ბედნიერება იყო. მათი სიმახინჯის გვერდით მშვენიერების გაჩენა, მათ ირგვლივ არსებული სიბნელის კაშკაშა სხივებით გაჩახახახება იყო, რაც მათთვის საოცარ აღმოჩენასთან ერთად საშინელი სასჯელიც იყო, ვინაიდან კაშკაშა შუქში მათ ერთმანეთი მორალურად განადგურებული და ერთმანეთის საშინელი სიმახინჯე იხილეს: *და მაშინ მანაც დაინახა. იქ კატერინა კი არა, ერთი მახინჯი ურჩხული, უბედურების ნაყოფი იყო. ცხოვრებისაგან დაჩაგრული, განადგურებული, ბოლო მოღებული.*²⁰⁶ ამ ორ ადამიანში იღვიძებს სირცხვილის გრძნობა მათი არსებობის გამო. ამის შემდეგ ისინი თავიანთ არსებობას, თავიანთ სხეულს აღიქვამენ როგორც რაღაც აბსურდულს და გამოუსადეგარს. მწერალი ახალგაზრდობისა და სხეულის სიმშვენიერის პარალელურად ზედმიწევნით აღწერს გონჯი ცოლ-ქმარის ფიზიკურ ნაკლს, რაშიც აშკარად გამოიკვეთება ეგზისტენციალიზმისათვის დამახასიათებელი დამოკიდებულება დაცემისათვის და გახრწნისათვის განწირული ადამიანის სხეულისადმი.

მკაცრი ჭეშმარიტება კატერინას გაუცხოების მიზეზი ხდება. სიმახინჯე, უაზრობა და მუქარით სავსე რეალობა მას აშინებს. იგი აცნობიერებს, რომ

²⁰⁴ შტრ.: Л. Г. Андреев, О современных декадентах, о литературно-художественных течениях XX века, Москва 1966, 129-130.

²⁰⁵ Δ. Χατζής, Σπουδές, *Αη Γιώργης*, Αθήνα 1976, 24, 28.

²⁰⁶ Ibid., 33.

აღამიანებსა და მას შორის უზარმაზარი კედელია აღმართული, იგი მათთვის მხოლოდ რაღაც უჩვეულო სანახაობად არის ქცეული: *ქუჩაში გავიდნენ. იგი ამდენი წლის განმავლობაში სტამბაგისთან ერთად ყოფნას იყო მიჩვეული და თავს უსაფრთხოდ გრძნობდა, ეხლა კი იფიგენიას გვერდით იგრძნო, რომ თითქოს სხვა, მისადმი მგრულად განწყობილი სამყარო იშლებოდა მის ირგვლივ... მაღაზიაში ყველა მას მისჩერებოდა... ქუჩაშიც უამრავი ხალხის გარემოცვაში სული ეხუთებოდა. უნდოდა მინ მალე დაბრუნებულიყვნენ, დამალულიყო, თავი კვლავ უსაფრთხოდ ეგრძნო.*²⁰⁷ – აქედან გამომდინარე მწერალს აშკარად იმის თქმა უნდოდა, რომ ადამიანის არსებობა მკაცრი და დაუნდობელია. განსაკუთრებით მძიმე კი ავადმყოფი ადამიანის ხვედრია. ავადმყოფობას “წმინდა გიორგის” გმირები, ისევე როგორც ინვალიდი სტრაგისი მოთხრობაში “წყლის მოქცევის დრო”, გარდაუვალი გაუცხოებისაკენ მიყავს. “მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ ისინი სამუდამოდ ცხოვრების სამოთხის მიღმა იყვნენ დარჩენილნი, რადგანაც ამ სამოთხეში მხოლოდ ახალგაზრდობისთვის, სილამაზისთვის და ჯანმრთელობისთვის არის განკუთვნილი ადგილი. ყველა ადამიანს, რომ ამ სამოთხეში მოხვედრა მოესურვებინა, უმეტესი მათგანი ნამდვილად გარეთ დარჩებოდა. თუკი ამას მკერავისა და მისი ცოლის მსგავსად გააცნობიერებენ? ამას ნამდვილად გრაგედია მოყვება”,²⁰⁸ – აღნიშნავს ა. კარანდონისი.

“წმინდა გიორგის” გასაცოდავებულ პერსონაჟებს რაღაც იმედი მაინც შერჩენიათ. სტამბაგისი დღეებს ითვლის სანამ ახალგაზრდა წყვილი მათი სახლიდან წავა, იმის იმედით, რომ მათი წასვლის შემდეგ ცხოვრება ჩვეულ რიგმს დაუბრუნდება და მის ცხოვრებაში კვლავ მყუდროება დაისადგურებს, თუმცა: *მაშინ სტამბაგის სიდერაკისი მიხვდა. იფიგენია წავიდა – საშველი კი არ იყო, და არც არასოდეს იქნებოდა... მათ არაფერში – არაფერში მიუძღოდათ*

²⁰⁷ Δ. Χατζής, Σπουδές, *Αη Γιώργης*, Αθήνα 1976, 26.

ბრალი – თუმცა კი ჭექა-ქუხილი დააცხრათ თავს.²⁰⁹ ამ უსასრულო გრაფიზმის შეგრძნებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანი უდანაშაულოა, ბოროტება არ არის მასში, არამედ ის თავად მიწიერ ცხოვრებაში, უმოწყალო ბედში, ბოროტ დასასრულში, შემთხვევითობაშია.

დ. ხაძისი აღნიშნულ ნაწარმოებში გაუხარელი და ბედისწერისგან გათელილი ადამიანური ცხოვრების სურათებს გვიხატავს, რაც ჩვენში ბადებს კითხვას: ამ ორ ადამიანს, და არა მხოლოდ ორს, არამედ მათ მსგავს ადამიანებს, რომლებიც მრავლად არიან სამყაროში, ვინ დაიცავს, რომელი კანონი, რომელი მორალი, რომელი საზოგადოებრივი სისტემა?

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი დაკვირვებები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ განხილულ ნაწარმოებებში მკაფიოდ იგრძნობა ეგზისტენციალისტური ტენდენციების დომინირება. ამკარაა, რომ დ. ხაძისის დაქინებული მზერა სამყაროს უგუნურებაზეა მიპყრობილი. ძნელი არ არის იმის მიხედვრაც, რომ ბერძენი შემოქმედის კონცეფციაში გამოხატულება ჰპოვა გარკვეულმა სოციალურმა რეალობამ, კონკრეტულად კი თანამედროვე ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ. იგი საზოგადოებრივ ურთიერთობებს გრაფიკულ ჭეშმარიტებაზე აშიშვლებს. ამკარაა, რომ მისი გმირები თანამედროვე საზოგადოების მსხვერპლნი არიან. ორივე მოთხრობის ფინალი კი დასტურია იმისა, რომ ბერძენი მწერლისათვის ადამიანის ბედი შეუცნობელ სამყაროში ერთობ ბუნდოვანია.

ნაწილი მეორე / თავი მეხუთე

ს. პლასკოვიცისის “კამხალი” – სიგყვა-სიმბოლო

ანდრეას ფრანგიასისა და დიმიტრის ხაძისის ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზისას ბერძნული ეგზისტენციალისტური

²⁰⁸ A. Καραντώνης, 24 σύγχρονοι πεζογράφοι, Αθήνα 1978, 222.

ლიგერაგურისათვის დამახასიათებელი არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გამოვეყავით, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა მათი შემოქმედებითი აზროვნების, ფილოსოფიური ხედვის საკმაოდ საინტერესო მხარეები. მათი თანამედროვე მწერლის, სპიროს პლასკოვიგისის შემოქმედების ამ კუთხით შესწავლა ასევე საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

დასავლურ ლიგერაგურაში გავრცელებული ეგზისტენციალისტური მიმდინარეობა, რომელიც ქაოტური სამყაროს სურათს ხაზავდა, სადაც დემორგანიზაცია, პანიკა და აბსურდი იყო გაბატონებული, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსივე განწყობით საბერძნეთში, პირველად, სწორედ სპიროს პლასკოვიგისის რომანში “კაშხალი” გამოიკვეთა. აღნიშნული ნაწარმოები, სადაც საოცარი ოსტატობითაა ასახული თანამედროვე ეპოქის ტრაგიზმი, ომისშემდგომი ბერძნული საზოგადოების ზოგად განწყობას გადმოსცემს.

ს. პლასკოვიგისი მიზნად ისახავს ისტორიული მოვლენების რეალური მხარეების გაშუქებას და ცდილობს წარმოაჩინოს მათი გავლენა ადამიანის ბედზე – იმ მარტოხელა, მიუსაფარი არსებების ცხოვრებაზე, რომლებიც ბედისწერის ნებით მოხვდნენ სამყაროში და მოთმინებით ელიან მათთვის გაუგებარი, შეუცნობელი მოვლენების განვითარებას. მწერალი ცდილობს სწორად გადმოსცეს ისტორიის მთავარი აზრი, რომელშიაც ადამიანი საკუთარ თავზე, ინდივიდუალურ გრძნობებზე მაღლა საზოგადოებრივ განცდებს აყენებს.

ს. პლასკოვიგისისათვის ამ შემთხვევაში არ არის არსებითი ინდივიდების ასახვა, მისთვის მნიშვნელოვანია დაადასტუროს, დაამოწმოს ცხოვრების საერთო განწყობა, რომლის მთავარი შინაარსიც ბოროტებასთან ბრძოლაა. რეალისტური პირობითობისაგან თავის დაღწევას მწერალი სიმბოლოების საშუალებით ახერხებს. “კაშხალში” ვიგრძენი იმის აუცილებლობა, რომ აღმეწერა ჩვენი ქვეყნის ტკივილი, ადგილობრივი კომმარი, ომისშემდგომი

²⁰⁹ Δ. Χατζής, Σπουδές, *Αη Γιώργης*, Αθήνα 1976, 33.

პერიოდის ადამიანთა მღელვარება. მაშასადამე, ამ ნაწარმოებში კონკრეტული რაღაც განუსაზღვრელში უნდა იმალებოდეს, მყარი დილემა მოვლენების ცვალებადობაში და უზუსტობაში”,²³⁰ – აღნიშნავს თავად ავტორი საკუთარი ნაწარმოების შესახებ.

“კაშხალის” პერსონაჟები დრამატული მოვლენებით დაღდასმული ეპოქის წარმომადგენლები არიან. ისინი იგანჯებიან და ხსნას ეძებენ. მწერალი ცდილობს რომანში წამოჭრილი პრობლემები სიმბოლურად მისი ეპოქის მღელვარებას და არასაიმედოობას დაუკავშიროს. “ამ ნაწარმოებში მწერალს სურს, რომ ერთი “გრანსცენდენტური” კაშხალის მიღმა დააყენოს ეგზისტენციური პრობლემა, რომელსაც ჩვენი ეპოქის არსებით, ადამიანურ პრობლემად მიიჩნევს. მწერალი გვეუბნება, რომ სამყაროს გარეგანი წონასწორობა, რომელიც ლოგიკაზეა დაფუძნებული, დაკავშირებულია უაზრო სიმშვიდესთან, რომლის შედეგად მხოლოდ და მხოლოდ პანიკაა. (მიუხედავად იმისა საგუბარი გასკდება თუ არა, ყველა შემთხვევაში, მის მიღმა არსებული სამყარო ერთი ბნელი უფსკრულია). მკითხველი თანამედროვე ცხოვრების ფენომენს უფიქრდება, რომელიც კაშხალის მსგავსად მერყევი, მღელვარებით სავსე და შემაშფოთებელია, გამუდმებით გრგვინავს, მაგრამ არ მარცხდება”.²³¹ – ასე ახასიათებს პლასკოვიცისის რომანს ბერძენი კრიტიკოსი დ. ცაკონასი.

რომანში საუბარია იმ საშიშროებაზე, რომელიც შეიძლება კაშხალის დაზიანებამ გამოიწვიოს. ეს უზარმაზარი ნაგებობა, რომლის ძირასაც პაგარა სამრეწველო ქალაქია გაშენებული, სამეურნეო გერიგორიების სარწყავადაა შექმნილი. ის წლების განმავლობაში ადამიანების სამსახურშია და არავის არასდროს შეჰპარვია ეჭვი მის მდგრადობასა და გამძლეობაში. ქალაქის მოსახლენი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ეს ცაში ამიდული, უზარმაზარი კედელი უზრუნველყოფს მათ კეთილდღეობას. უდარდელი ცხოვრება მანამდე

²³⁰ Σπ. Πλασκοβίτης, *Η πεζογραφία του ύθους και άλλα δοκίμια*, τ. I, Αθήνα 1986, 160.

გრძელდება, ვიდრე კაშხალზე მომუშავე ადამიანები არ აღმოაჩენენ, რომ რაღაც საეჭვო ნიშნები გაჩნდა (შესაძლოა კაშხალში ბზარი არსებობდეს, რაც მის გასკდომას გამოიწვევს და მთელ ქალაქს დაგბორავს). ისინი, მართალია, ამას დიდ მნიშვნელობას არ მიანიჭებენ, თუმცა იმის დამალვაც არ შეეძლოთ, რომ რაღაც ხდებოდა. რაც შეეხება ქალაქის მაცხოვრებლებს, ისინი სრულიად ინდიფერენტულნი რჩებიან ამ მოვლენის მიმართ. ეს ადამიანები უდარდელად განაგრძობენ ცხოვრებას ან განზრახ იქცევიან ისე, თითქოს ვერ ამჩნევდნენ მათ შორიახლო ჩასაფრებულ უხილავ საფრთხეს, რომელსაც შესწევს ძალა მათი უბადრუკი ცხოვრება ერთი თვალის დახამხამებაში ჯოჯოხეთად აქციოს. ისინი გაშმაგებულები ებლაუჭებიან დამამშვიდებელ ცყუილს, თავს იკავებენ, რადგანაც სიმართლე ძალზე შემამოთებელი და შიშის მომგვრელია. ის შიში კი, რომელსაც ქალაქი გრიზას²³² მაცხოვრებლები შეუპყრია, ჩვენი ამრით, პლასკოვიცისისათვის არ არის შეგრძნება, რომელიც გარკვეული წარმოდგენების ან მოვლენების გამო წარმოიქმნება, ის არის უსასრულო კომმარი არაფრის წინაშე, ადამიანის ეგზისტენციური მდგომარეობა, მისი ძირითადი განწყობა.

ქალაქ გრიზას მოსაწყენი პეიზაჟები მწერლის ცნობიერებაში პირქუშ და შავბნელ დეკორაციებად იქცევიან, რომლებიც ქალაქის მკვიდრთა უინტერესო ცხოვრებას უფრო მეტ პესიმიზმს მაგებს. გრიზა არაფრით არ გვაგონებს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მშვენიერ ქალაქებს: *ქალაქი გრიზა კაშხალის მიმდებარე ტერიტორიაზე ბოლო დასახლებული ადგილი იყო. ის ნამდვილ საგუშავოს გაედა, ალაგ-ალაგ მოციმციმე ნათურებითა და დარაჯთათვის განკუთვნილი ღამის გასათევი შენობებით... მამასადაბე, ყველფერი ისე იყო, რომ გვეგონებოდა გრიზა საკონცენტრაციო ბანაკი არისო... ხეები თითქმის არ*

²³¹ Δ. Τσακωνάς, *Επίτομη ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Αθήνα 1999, 547-548.

²³² Γκρίζα - ბერძნულად ნაცრისფერს ნიშნავს. სახელწოდებაც ჩვენი ამრით, ამ ქალაქის და მის მცხოვრებთა “ნაცრისფერი”, უფერული ცხოვრების გამომხატველია.

არსებობდა. ელექტროენერჯის მავთულხლართები სახლის სახურავებზე იყო გადაჭიმული... მხოლოდ გრიზას ცენტრალურ მოედანზე, ორი პაგარა ღუქნით, თუ შეხვდებოდი ჩიტივამლას ეკლიან ბუჩქებს, რომლებიც ყვავილობის პერიოდში დახლართულ სპილენძის მავთულებს ჰგავდა...²³³ მაშასადამე გრიზას მწერალი წარმოდგვიდგენს, როგორც ჩაკეცილ ქალაქს, რომლის ერთ მხარეს საგუშაგოებია განლაგებული, მეორე მხარეს კი კაშხალი კელადაა აღმართული. აღსანიშნავია, რომ თემატიკა, რომელიც დახურულ სივრცესთანაა კავშირში, დიდი პოპულარობით სარგებლობს ფრანგი ეგზისტენციალისტი მწერლების შემოქმედებაში. საკმარისია გავიხსენოთ ჟ. პ. სარტრის “კედელი”, “ცხრაკლიგული”, ასევე საპყრობილის დახურული სივრცე, სადაც კამიუს მერსოა გამოკეცილი, ან თუნდაც იგივე კამიუს “სააღყო მდგომარეობა”, “იონა ანუ მხატვარი მუშაობისას” მოთხრობათა კრებულიდან “გადასახლება და სამეფო” და რაც მთავარია “შავი ჭირი”. სხვადასხვა მკვლევართა აზრით “დახურულ სივრცეს” ეგზისტენციალისტი მწერლების შემოქმედებაში მეგაფიზიკური გააზრება აქვს, რაც საკუთარ არსებაში გამოკეცილ ადამიანს გულისხმობს. ასევე მიაჩნიათ, რომ ამ თემატიკის აქტუალობა განპირობებული იყო ომისშემდგომი პერიოდის მწერალთა საკონცენტრაციო ბანაკებში პირადი გამოცდილებით.²³⁴ ბერძენი მწერლის შემთხვევაში, რომელმაც მრავალი წელი გაატარა პატიმრობაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალაქ გრიზას დახურული სივრცე საკონცენტრაციო ბანაკთანაა ასოცირებული. ს. პლასკოვიცისი ასევე, ჩვენი აზრით, ამ უსახური სურათების დახატვით, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს ადამიანთა ცხოვრების რუტინას, მეორე მხრივ კი უფრო მეტად ამბაფრებს მოახლოებული საშიშროების შეგრძნებას. გრიზას მცხოვრებნი დიდიან-პაგარიანა თითქოს ციხესიმაგრეში იყვნენ გამოკეცილნი, სადაც ისინი საშინელი საფრთხის წინაშე დგანან. იქ ყველა მსხვერპლია. ამ შემთხვევაში მწერალი არ

²³³ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 71, 73.

აყენებს პიროვნების გარემოსთან შეჯახების პრობლემას, არც მართალთა და მცყუანთა შორის ბრძოლა იმართება. მთავარი გმირები აქ არ არიან ცალკეული პიროვნებები, არამედ ის ხალხის მასაა, რომლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესწავლა და წარმოჩენა წარმოადგენს მწერლის მთავრ მიზანს. აქ საუბარია უკლებლივ ყველა ადამიანის უსახო საფრთხესთან, უხილავ ძალებთან პირისპირ შეჯახების შესახებ. მწერალს ერთი ადამიანის გრაგედიის ჩარჩოებიდან გამოეყავართ და იმ კაცასგროფის შესახებ გვაფრთხილებს, რაც ყველა ადამიანთან, მთელს კაცობრიობასთანაა კავშირში. ხოლო თუკი კონკრეტულ ადამიანებზე მიდგება საქმე მათი გრძნობები, ფსიქოლოგიური განწყობა და რეაქციები ყოველთვის სხვებთანაა კავშირში.²³⁵ სწორედ ასეთი ადამიანია რომანის მთავარი პერსონაჟი ჰიდროლოგი ვალერისი.

ჰიდროლოგი სამინისტროს მიერ წარგზავნილი მეცნიერია, რომელმაც კაშხალი უნდა გამოიკვლიოს და გაარკვიოს, თუ რა ხდება სინამდვილეში. პლასკოვიცისმა ამ პერსონაჟის სახით დაგვანახა, რომ სამყაროში არსებობს ისეთი რამ, რაც ადამიანის სულში ძლიერ პროტესტს იწვევს. ეს პროტესტი ნაკლებ მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუ კი საქმე მხოლოდ ინდივიდუალური უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან გვექნებოდა. ამ შემთხვევაში კი ჰიდროლოგის პროტესტი იმით არის გასაოცარი, რომ ის უარს ამბობს იყოს გულგრილი თვითმხილველი სხვისი უბედურებისა. მწერალი გვამცნობს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ ინტერესებზე მაღლა დგანან, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ისინი ადამიანები არიან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერძენი კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ “კაშხალზე” აშკარად იგრძნობა ა. კამიუსა და ფ. კაფკას შემოქმედების

²³⁴ P. Ginestier, Η ζωή και η σκέψη του Καμυ, μετάφρ.: Αλεξ. Βέλιος, Αθήνα 1965, 80.

²³⁵ Αιμ. Χουρμούζιος, Πριν απο δεκάξι χρόνια, Σπ. Πλασκοβίτης, Το Φράγμα, Αθήνα 1982, 8.

გავლენა.²³⁶ ეს მართლაც თვალშისაცემია. ჩვენი აზრით, ბერძენი მწერალი მათ შემოქმედებას იყენებს, როგორც თავისებურ მოდელს, საკუთარი ფილოსოფიურ-ლიტერატურული ამოცანების ამოხსნის მიზნით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით კამიუს “შავ ჭირს” გამოვეყოფდით. კამიუსთვის ბოროტება, ჩვეულებრივ, იმ მოუცილებელ “აბსურდშია”, რაც მუდამ თან ახლავს ადამიანის ბედს. თუმცა “შავ ჭირში” ბოროტება იმ უბედურებაში გაიაზრება, რომელიც ანამდეულად ატყდება თავს ადამიანებს და მათ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ განწყობას გადმოსცემს ს. პლასკოვიგისის “კაშხალიც”.

საგულისხმოა, რომ პლასკოვიგისის “კაშხალში”, ისევე როგორც კამიუსთან “შავი ჭირის” შემთხვევაში, სიგყვა-სიმბოლოს საშუალებით ხდება მწერლის აზრების მხაგრული და ფილოსოფიური იმპულსების სინთეზირება. ამგვარად, ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესოა გამოვიკვლიოთ, თუ რა ფუნქციურ-სიმბოლური დაგვირთვა აქვს ბერძენ მწერალთან სიგყვას “კაშხალი”.

ს. პლასკოვიგისის შემოქმედების მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, რომანში გამოხატულია შიში თანამედროვე ტექნოლოგიების წინაშე, რაც სიმბოლურად სწორედ კაშხალშია გააზრებული და რაზედაც არაერთხელ მიანიშნებს მწერალი: *რაგომ უნდა შევექმნათ ნაგებობანი, რომლებიც დაგვანახებენ თუ რაოდენ უსუსურნი ვართ საკუთარი ხელით წარმოებული სამუშაოების წინაშე? თავად ჩვენ რაგომ უნდა ჩავავდოთ საკუთარი თავი საფრთხეში? ეჰ მოხუცო, ცხოვრება ერთი უსასრულო მდელი რომ ყოფილიყო, მენტობების, გზების, მიმართულებების გარეშე, უბრალოდ თავისუფალი სივრცე, სადაც არ იქნება სასაზღვრო ნიშნები.*²³⁷ ტექსტში არსებული ამგვარი მინიშნებების მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ რომანი, თავისი ფილოსოფიური

²³⁶ Κ. Στεργιόπουλος, Παρουσίαση-αυθιολόγησι, Σπύρος Πλασκοβίτης, Η μεταπολεμική πεζογραφία, τ. VI, Αθήνα 1992, 279.

²³⁷ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 211.

ფონით, უფრო მეტად მეტაფიზიკური პრობლემების წინაშე გვაყენებს. როგორც თავად მწერალიც აღნიშნავდა, ტექნოლოგიები არ არის არსებითი პრობლემა მის ნაწარმოებში: “კაშხალი არ არის რომანი, რომელიც ტექნოლოგიებთანაა კავშირში. უფრო მეტად ის არის ამბავი შინაგანი პანიკისა, რომელიც ადამიანში დღითიდღე ღვივდება. პანიკა კი იმ კულტურის სისტემიდან მომდინარეობს, რომელიც უკვე დიდი ხანია ჩვენთვის საპყრობილედაა ქცეული და ჯერ კიდევ ვერ გაგვირკვევია, როგორ შეიძლება მისი შეცვლა, რა ხდება მის სიღრმეებში, როგორ შეიძლება ის უფრო ადამიანური გახდეს”.²³⁸ ცხადია, რომ მწერალი ამ უზარმაზარი ურჩხული მექანიზმის მიღმა თავისი დროების შიშისმომგვრელ გარემოებას ასახავს: *კაშხალი არ არის მხოლოდ ისტორიული ღირებულებების ტექნიკური წარმონაქმნი. ის უფრო მეტია: მდგომარეობა... მდგომარეობა, რასაც, ვერ წარმომიდგენია, რა შეიძლება მოჰყვეს,*²³⁹ – ვკითხულობთ რომანში. როგორ უნდა იარსებოს ადამიანმა ისეთ გარემოში, რომელიც მისთვის საპყრობილედაა ქცეული? ეს ხომ აბსურდული მდგომარეობაა, გათიშულობა ადამიანსა და სამყაროს შორის. ასეთ სიტუაციაში კი, როგორც ვხედავთ, ადამიანის ბედი მწერალს ბუნდოვნად ესახება.

“კაშხალი” ის უხილავი ძალაა, რომელიც ადამიანებზე ბაგონობს და საფრთხეს უქმნის მათ ცხოვრებას. ეს არის ისტორია შინაგანი პანიკისა, საყოველთაო მუქარა, რომელიც ყოველი მხრიდან გარს ეხვევა ადამიანებს და სრულ გაურკვეველობაში აგდებს, ძილს უფრთხობს მათ და პანიკას უნერგავს. გრიზას მოსახლეობის ამ უხილავ ძალასთან შეჯახება, ჩვენი აზრით, მწერალთან გააზრებულია, როგორც კაცობრიობის შეჯახება საკუთარ ბედთან.

“კაშხალი” ნაწარმოებში წარმოდგენილია ასევე როგორც ცაში აზიდული გიგანტური კედელი: *ეს უზარმაზარი კედელი ისეთ მთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ჰორომონგის ღრუბლებიდან იღებდა სათავეს, მისი ძირი კი ოკეანის*

²³⁸ Σπ. Πλασκοβίτης, *Η πεζογραφία του ύθους και άλλα δοκίμια*, τ. I, Αθήνα 1986, 160.

*პირას ეცემოდა, როგორც დიადი სული სიკვდილის წყვედიადმი.*²⁴⁰ ადამიანები კი, რომლებიც ამ კედლის ტყვეობაში არიან მოქცეულნი, აცნობიერებენ თავიანთ განწირულობას. ამ შემთხვევაში მეტაფიზიკური გააზრება “კაშხალისა” ეს არის ადამიანის მარადიული მდგომარეობა სამყაროში. მწერალს სურს დაგვანახოს, რომ აბსურდი, სიცოცხლისა და სიკვდილის თვითნებური ელემენტი, აღმართავს ბნელსა და გადაულახავ კედელს. ადამიანი კი უსუსურია ამ კედლის წინაშე. იგი, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ აღმოჩნდა ამ სამყაროში, იძულებულია იცხოვროს.

რომანის კითხვისას მკითხველი “კაშხალის” საიდუმლოებით მოცულ ფენომენტთან რჩება პირისპირ. არავინ იცის როგორ შეიქმნა ის. მისი აგების ისტორია ლეგენდასავით გადაეცემა თაობიდან თაობას. ადამიანებმა მხოლოდ ის იციან, რომ თავდაპირველად ეს ნაგებობა, მათთვის უცნობი სტატიკური გაანგარიშების საფუძველზე, პაგარა ხიდზე აღიმართა. მისი სტრუქტურისა და გამძლეობის საიდუმლოება კი მათთვის სამუდამოდ ამოუცნობი რჩება. სამინისტროდან წარგზავნილი ჰიდროლოგი ვალერიის სწორედ ამ საიდუმლოების გამოაშკარავებას დაისახავს მიზნად, თუმცა მალევე აღმოაჩენს, რომ მეცნიერებაც ყოვლად უძლურია ამოხსნას ამ საოცარი ქმნილების საიდუმლო. მან, მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ვერ შეძლო “კაშხალის” სიღრმეებში შეღწევა, იგი მხოლოდ გარეგნულ მონაცემებზე დაყრდნობით ცდილობს გამოიგანოს დასკვნები, თუმცა მას ვარაუდები უფრო მეტი აქვს, ვიდრე საბოლოო პასუხები. და აი, იგი მიდის დასკვნამდე, რომ ლოგიკური ცოდნა და სხვადასხვა მეცნიერული მეთოდები არასაკმარისი და უძლურია იმისათვის, რომ პასუხი გასცეს ამ ერთობ ამოუცნობ ფენომენტს. მწერალის მიერ საკითხის ამგვარად დაყენებას, ჩვენი აზრით, კვლავ სამყაროს ეგზისტენციალური აღქმისაკენ მივყავართ. ამკარაა, რომ “კაშხალში” ამ

²³⁹ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 66.

შემთხვევაში გააზრებულია უგუნური სამყარო, ჰიდროლოგის გამოკვლევა კი არის ადამიანის მხრიდან მცდელობა სამყაროსთან კონტაქტის დამყარებისა, ეს არის ადამიანის სურვილი შეიმეცნოს სამყაროს საიდუმლოებანი, თუმცა პასუხის მიღება შეუძლებელია. ჰიდროლოგი სამინისტროსთვის აკეთებს “მოხსენებას დასკვნების გარეშე”,²⁴¹ მაშასადამე მისი ძიება პასუხების გარეშე რჩება. იგი ვერასოდეს გაიგებს, თუ რა იმალემა სინამდვილეში კაშხალის სიღრმეში. როგორც ჩანს, ბერძენი მწერალი დარწმუნებულია, რომ სამყაროსთან ყოველგვარი კონტაქტის დამყარების მცდელობა უშედეგოა.

სამყაროს აბსურდულობა, მისი ადამიანისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულება, ანუ მასთან რაიმე კავშირის დასამყარებლად ადამიანის ყოველი მცდელობის სრულიად უპასუხოდ დაგოვება, იწვევს ადამიანის მხრიდან შესაბამის რეაქციას: გულგრილობას და მის უარყოფას. და აი, გრიზას მოსახლეობა მიაგოვებს კაშხალს, ის კი აუღელვებლად განაგრძობს არსებობას: *ღიახ, ის მიაგოვებს. თავისი ხალხის, მომსახურე ადამიანების გარეშე კაშხალი მარგო განაგრძობდა მუშაობას, წყლით, მისი შინაგანი წინააღმდეგობებით და მისი წონასწორობის უცნობი კანონებით. როდემდე? განაგრძობდა იქ ყოფნას, ეჭვისა და ნდობის საზღვრებთან.*²⁴²

ადამიანები არა მხოლოდ სამყაროს აქცევენ ზურგს. ისინი ერთმანეთსაც წირავენ მარგობისათვის. ადამიანის ბედისწერა, რაც მის მიგოვებულობაში გამოიხატება, რომანის თითქმის ყველა ფურცელზე თვალნათლივ აღიქმება. ეს განსაკუთრებით საგრძნობია მამის შვილებისადმი დამოკიდებულებაში, რომლებიც მას გამუდმებით თავს აბეზრებენ, ორ ძმას შორის ურთიერთობაში, რომლებიც ძალიან გახარებულნი არიან, რომ ერთმანეთს დაშორდნენ და სხვ. მარგობისათვისაა განწირული ჰიდროლოგიც: *დოქტორი დღესაც მარგობის*

²⁴⁰ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 18.

²⁴¹ Ibid., 229.

²⁴² Ibid., 205.

*უსასრულო მღვაში ცურავდა,*²⁴³ – ვკითხულობთ რომანში. მარგოტა, წერდა ე. პ. სარგრი, არ არის პირველადი, საწყისი მდგომარეობა ადამიანისა, იგი მხოლოდ ადამიანთა ერთიანობის გარკვეულ პირობებში იჩენს თავს. ჰიდროლოგის მარგოტაც იმ სამოგადოების აგრესიის ბრალია, რომელიც მას “უცხო” აღიქვამს. მისი გამოჩენა გრიზას მოსახლეობაში თავიდანვე შიშსა და მღელვარებას გამოიწვევს. ეს უცხო ადამიანი მათ უდარდელ ცხოვრებას ააფორიაქებს. სამოგადოება მას ხვდება როგორც მგერს და ხდება მისი გაუცხოება. ჰიდროლოგი არის “უცხო” ამ სამოგადოებაში, რადგანაც იგი არ ცხოვრობს მათი ცხოვრების წესით. ის არ აგარებს სიყალბის ნიღაბს, ამბობს იმას, რაც სინამდვილეში ხდება, ამის გამო კი სამოგადოება თავს საფრთხეში გრძნობს. *მე უცხო ვარ... როგორც ჩანს დიდად არ მოსწონთ უცხო სტუმრები გრიზაში, ჩემი ბედი არ არის მეგობრების შეძენა,*²⁴⁴ – აღნიშნავს იმედგაცრუებული ვალერიისი. ამ შემთხვევაში მწერალი საჭირობორტო საკითხის წინაშე გვაყენებს. იგი გვამცნობს, რომ ადამიანური ურთიერთობები ურთიერთუარყოფა და შეურიგებელი მგრობაა. ადამიანისადმი სიყვარული ყველაზე ადამიანური პერსონაჟის, ჰიდროლოგის მიერაც კი ეჭვის ქვეშ არის დაყენებული: *ახალგაზრდობაში ეგონა, რომ არ არსებობს სხვა ჭეშმარიტება, ვარდა ადამიანისა და თითქოს ისინი უყვარდა. მაგრამ რომელი ადამიანები... მხოლოდ იდეაა ადამიანი... და მაშ ... მაშ თუკი ასეა, ნეტავ რა რჩება ამ ყველასათვის ცნობილი ადამიანისადმი საიყვარულისგან, ვარდა აკვირებული ამრისა ან ცარიელი რომანტიზმისა?*²⁴⁵ აქ მწერალი აშკარად გვაფრთხილებს, რომ თუ არ შეწყვეტენ ადამიანები აგრესიას ერთმანეთის მიმართ, კაცობრიობას არ ექნება მომავალი. იგი იმავეს გულისხმობს, როდესაც გვეუბნება *ბოლოს და ბოლოს, რა გვონიათ, რა არის კაშხალი? კაშხალი*

²⁴³ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 233.

²⁴⁴ Ibid., 103, 108-112.

²⁴⁵ Ibid., 159 .

*ხალხია.*²⁴⁶ და თუკი კაშხალი განადგურების პირასაა მაშასადამე მწერალი გვეუბნება, რომ თავად ხალხს / კაცობრიობას ემუქრება დალუპვის საფრთხე.

ნაწარმოებში გაისმის გულწრფელი ძახილი და მოხმობა სიფხიზლისკენ, რათა მიტოვებულ გრიზაში დაბრუნებული მოსახლეობა, რომელიც ცდილობს ცხოვრების ჩვეულ რიგში ჩადგეს, ფხიზლად იყოს, რადგანაც საფრთხის კვლავ წარმოშობის მუქარა ჯერ არ გამქრალა. აქ კვლავ კამიუს “შავი ჭირი” გვაგონდება, სადაც ექიმი რიე უსმენს რა ჭირისაგან განთავისუფლებულ ადამიანთა მხიარულ შეძახილებს, ფიქრობს, რომ ყველანაირ სიხარულში საფრთხეა ჩასაფრებული, ვინაიდან შავი ჭირის ბაცილა არასდროს კვდება. შესაძლოა ის ათწლეულების განმავლობაში სადმე იყოს ჩაბუდებული. თუმცა ერთხელაც, “ადამიანებისათვის ჭკუის სასწავლებლად, ჭირი გააღვიძებს ვირთხებს და სასიკვდილოდ გააგზავნის ბელნიერი ქალაქის ქუჩებში”.²⁴⁷ პლასკოვიცისის ჰიდროლოგი ვალერიისიც დარწმუნებულია, რომ საფრთხე კვლავ მძვინვარებს. და აი იგი მოუწოდებს ადამიანებს: *ამ წუთამდე კონკრეტული ვერაფერი აღმოვაჩინე. თუმცა ნუ ვიქნებით მშვიდათ... სადაც არ არის კონკრეტული, სავარაუდოდ, არის მოგადი.*²⁴⁸

მაშასადამე ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ პლასკოვიცისის “კაშხალი” სამყაროს საბედისწერო დასასრულის წინასწარმეტყველია, სადაც არ ჩანს არანაირი გამოსავალი, გარდა მღელვარების მეტაფიზიკური გარდაქმნისა პიროვნების შინაგან ბუნგად. ადამიანისა და სამყაროს ურთიერთმიმართების საკითხი კი ბერძენი მწერლისათვის კამიუსათვის დამახასიათებელი მეტაფიზიკური გააზრებაა, რაც აბსურდამდე დადის. იგი, ჰიდროლოგის სახით, ისევე როგორც ალბერ კამიუ “სიზიფოსის მითში”, ქმნის აბსურდულ გრიადას –

²⁴⁶ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 228.

²⁴⁷ იხ. А. Камю, *Избранное, Чума*, Москва 1990, 340.

²⁴⁸ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 235.

ნათელი გონებით დაჯილდოვებული ადამიანი, უაზრო, ირაციონალური სამყარო და მათი დამაკავშირებელი აბსურდი.

ნაწილი მეორე / თავი მეექვსე

“თავისუფლება” და სიკვდილის მეტაფიზიკური გააზრება ს. პლასკოვიცის “კაშხალი”

ს. პლასკოვიცის შემოქმედებაში ინდივიდის თავისუფლების საკითხი ცენტრალურ ადგილს იკავებს. იგი ადამიანური თავისუფლებისა და უფლებების დიდი ქომაგია. აქედან გამომდინარე, თავისუფლების საკითხი მისთვის განსაკუთრებული და აბსოლუტურია, რომელსაც ვიწრო საზოგადოებრივი ჩარჩოებიდან გავყავართ და მის შემოქმედებაში სხვა მასშტაბებს იძენს. ერთი შეხედვით, საკითხი თითქოს საზოგადოებრივ მთლიანობას, ადამიანთა ჯგუფს ეხება, თუმცა ვაცნობიერებთ, რომ საუბარია კონკრეტულ ინდივიდზე, ეგზისტენციალურ საკითხზე, მისი უპასუხო პრობლემატიკით და წინააღმდეგობრიობებით, ყველა იმ საკითხით, რაც ეგზისტენციალურ პრობლემატიკასთან არის დაკავშირებული – აღნიშნავს ბერძენი კრიტიკოსი ვასოს ვარიკასი.²⁴⁹ პლასკოვიცის გმირების უმეტესობას სურს თავი დააღწიოს სულისშემხუთველ ატმოსფეროს. ინდივიდსა და საზოგადოებას შორის შუილი, ფაქტობრივად, გამოხატავს ინდივიდის განწყობას, მის სურვილს იყოს “თავისუფალი”.

ინდივიდის თავისუფლების საკითხი ბერძენ მწერალთან ცალკეული პერსონაჟების შემთხვევაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული. შეიძლება ითქვას, რომ იგი თავის რომანში, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებულ, სარგრისა და კამიუს თეორიების საინტერესო სინთეზს ახდენს.

²⁴⁹ B. Βαρίκας, Συγγραφείς και Κείμενα, Α' 1961-1965, Αθήνα 1975, 86.

როგორი კარგი ურთიერთობაც არ უნდა იყოს ადამიანთა შორის, გაუცხოება და დაპირისპირება მაინც რჩება. ეს ურთიერთობა როგორც კი სტაბილური ხდება, ის, შეიძლება ითქვას, ყოფიერებად იქცევა, რომელიც გამორიცხავს თავისუფლებას და პიროვნებად ყოფნის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე სარგოს მიაჩნია, რომ ადამიანი “სხვების” ცყვეობაშია. “სხვა” სარგოსათვის არის ის “ვინც მე სამყარო მომპარა”.²⁵⁰ მაშასადამე, სარგოთან “სხვებისაგან” თავის დაღწევა თავისუფლების გოლფასია. ჩვენი აზრით, პლასკოვიცისის პერსონაჟების, პიეროსა და ლამბრინოსის შემთხვევაში წამოჭრილი ინდივიდის თავისუფლების საკითხი, ბერძენ მწერალს სარგოს კონცეფციასთან აახლოებს. ის ფიზიკური მსგავსება, რომელიც ამ ორი ძმის ერთმანეთისაგან გარჩევას შეუძლებელს ხდის, თითოეული მათგანის ცხოვრებას ჩრდილს აყენებს. *საბოლოოდ მათი მსგავსება დაუწერელი კანონი გახდა ორივესთვის.*²⁵¹ ეს ადამიანები თავისუფლებას მხოლოდ მაშინ აღწევენ, როცა ერთმანეთისაგან შორს, მარგონი არიან: *ერთმანეთს შორდებოდნენ. ხედავდნენ, რომ მათ შორის დისტანცია უფრო იზრდებოდა... პიერომ თავი უკან მოაგრიალა... ახლა ერთმანეთისგან გაგვარჩევენ! გაიფიქრა. აღარ ვიქნები ის... სხვა! როგორ ვიცხოვრე, მართლაც, ამდენი წელი, ამ დაწყევლილი მსგავსებით.*²⁵² ამ შემთხვევაში ბერძენ მწერალს სურს ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ ადამიანისათვის არსებობენ სხვები, რომლებიც მისი წუხილის, მისი განჯვის მიზეზი არიან და მის თავისუფლებას ზღუდავენ.

თუკი ძმები თავისუფლების მიღწევას ლამობენ, მხატვარი რემოსათვის თავისუფლება განჯვადაა ქცეული. იგი სიცოცხლესაც კი მისცემდა იმისათვის, რომ საკუთარი თავი აიძულოს დაემორჩილოს რაიმე კანონს, რათა: *თავი დააღწიოს ქაოტურ თავისუფლებას... თავისუფლება, რომელსაც ეთაყვანებოდა*

²⁵⁰ გ. თევზაძე, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბილისი 2002, 457, 459.

²⁵¹ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 117.

²⁵² Ibid., 215.

ახალგაზრდობაში – ეს თრობა და დამცინავი უღარდელობა ათას რამეს რომ ჩაადენინებდა, უზნეობას დაემსგავსა...²⁵³ ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, პლასკოვიცისი იზიარებს სარგრის შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანის სამყარო მისივე არჩევანის შედეგია. “ადამიანი თავის საფუძველში ეგზისტენციალური თავისუფლებაა, იგი “დაწყველილია თავისუფლებით”. როცა ადამიანი არ ირჩევს რაიმეს, მაშინაც კი არარჩევას ირჩევს. ამიტომ იგი თვითონვეა პასუხისმგებელი თავის ცხოვრებაზე”.²⁵⁴ რაც შეეხება კამიუს, იგი პიროვნების თავისუფლების ეგზისტენციალური გაგების წინააღმდეგია. მისი აზრით თავისუფლება, რომელსაც ადამიანი საკუთარი სურვილებისა და მიზნების სამსახურში აყენებს, მონობის გოლფასია. პლასკოვიცისის პერსონაჟი, მხატვარი რემო სწორედ, რომ თავისუფლების მონაა. ყველანაირი თავისუფლების ბოლოს სასჯელი გველის; აი რაგომ არის თავისუფლება მძიმე ტვირთი.²⁵⁵

ადამიანი უნდა იყოს მეამბოხე, რათა მოიპოვოს თავისუფლება ისეთ გარემოში, რომელიც მისთვის საპყრობილეაა ქცეული. ამბოხი კი აბსურდის იმ ღირებულებებს ააშკარავებს, რაც შეურიგებელ ცნობიერებასა და თავისუფლებაში გამოიხატება. პლასკოვიცისისათვის კედლად აღმართული “კაშხალი” ირაციონალიზმის კედელია, რომლის ტყვეობაშიც არიან მისი პერსონაჟები. “კედელში” ამ შემთხვევაში თანამედროვე სამყაროში ადამიანის გნოსეოლოგიური გაუცხოება გაიაზრება. მეცნიერებას, რომლისგანაც მოელიან ყოველივეს ახსნას, მიეყავართ მხოლოდ ჰიპოთეზებამდე. ამგვარი მსოფლალქმის დროს, ბერძენი მწერლისთვის ყველაზე მეტად სარწმუნო ადამიანის ცნობიერებაა, რომელიც აღიქმება როგორც თავისუფლება.

²⁵³ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 167.

²⁵⁴ შდრ.: რ. გორდემიანი, ჟან პოლ სარგრი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, გ. IX, თბილისი 1985, 109.

²⁵⁵ შდრ.: Е. П. Кушкин, Достоевский в зарубежных литературах, Достоевский и Камю, Ленинград 1978, 113.

ჰიდროლოგის შემთხვევაში, პლასკოვიგის ადამიანის გონიერებას ამარჯვებინებს, რათა მან გააცნობიეროს სამყაროს უსაზღვრო უგუნურება, მოხდეს რაციონალიზმი ირაციონალურისა. გმირი, რომელსაც კარიერა და საზოგადოებრივი ცხოვრება აღარ აინტერესებს და შეიძლება ითქვას, შინაგან სრულყოფას და ეგზისტენციალურ თავისუფლებას აღწევს ადამიანებს ამბოხისაკენ მოუწოდებს: *თავად ვაგებეთ... ვინაიდან შეუძლებელია მისი ძალის განსაზღვრა! სანამ დრო ვაქვით, სანამ შევიძლიათ გამოიჩინოთ ინიციატივა... ვასკდეს კაშხალი! რადგანაც სიკვდილი... სიკვდილი... არის მხოლოდ ერთადერთი იმ ჩახლართული ხაფანგის მექანიზმთაგან, რომელიც შეიძლება კაშხალში იმალებოდეს.*²⁵⁶ ბიძგი და მიზეზი მისი ამბოხისა არის პიროვნების უთანხმოება თავის მოკვდავ ბედთან, რომელიც, მისი აზრით, სამყაროში გაბაგონებული უწესრიგობისა და უსამართლობის მტკიცებულებაა. იგი მოუწოდებს ხალხს იბრძოლონ სიცოცხლისათვის.

ან უნდა გაილაშქრო გამოუცნობი სამყაროსა და მისი შემქმნელის წინააღმდეგ, რომელიც გულგრილად ადევნებს თვალს უდანაშაულო ადამიანთა განჯვასა და სივდილს ან დაიჯერო სასწაული და ღმერთს დაემორჩილო. თუკი ჰიდროლოგი ამბოხს ამჯობინებს, “კაშხალის” კიდევ ერთი პერსონაჟის, მოხუცი ხარიგოსის იმედით სავსე მზერა ღმერთისკენაა მიჰყრობილი.

პროგრესულობისაკენ სწრაფვის ლიბერალურ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისმა, რომელიც თანხვედრაში იყო ქრისტიანობის კრიზისთან, ევროპელთა ცნობიერებაში სიკვდილის პრობლემისადმი ინტერესი გაზარდა. ევროპელი მოაზროვნეები იმისათვის, რომ გარკვეულიყვნენ ამ მგანჯველ გრძნობაში, ცდილობდნენ სიკვდილი იმ ფორმებში გაეაზრებინათ, რასაც მათ მსოფლიო ომებს შორის ეპოქის ზოგადი ფილოსოფიურ-იდეოლოგიური აგმოსფერო შთააგონებდათ. სიკვდილის პრობლემას ეგზისტენციალისტები

²⁵⁶ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 236.

სხვადასხვა კუთხით უდგებოდნენ. მაგალითად, კამიუ დარწმუნებული იყო, რომ სიკვდილი ადამიანისათვის ყველაზე ნათელი გამოვლინებაა ცხოვრების უაზრობისა. სიკვდილის არსებობა ავალდებულებს ადამიანს ან უარყოს სიცოცხლე, ან შესძინოს მას ისეთი აზრი, რომელსაც სიკვდილი ვერ დაჯაბნის. კამიუ მეორე გზას ირჩევს. იგი სიკვდილის პრობლემას სიცოცხლის აზრის ძიებით ჭრის.²⁵⁷ საინტერესოა, რომ სწორედ ამის მიღწევას ლამობს პლასკოვიცისის პერსონაჟიც: *თუკი შევექმნით რაიმე ჭეშმარიტს, იქნებ დაეძლიოთ ეს ყველაზე საშინელი შიში,*²⁵⁸ – აღნიშნავს ჰიდროლოგი. შეავსო ცხოვრება აზრით, რომლითაც “დაიძლევა” სიკვდილი – ამ შემთხვევაში წარმოადგენს ბერძენი მწერლის მიზანს.

არანაკლებ საინტერესოა ის რელიგიური პასაჟები, რაც ბერძენი მწერლის იმ ეგზისტენციალისტ მწერლებთან სიახლოვეს მოწმობს, რომელთაც მიწიერი ცხოვრების აბსურდულობა გებუნებრივი ღვთიური რეალობის არსებობაში არწმუნებს. ამის დასტურია რომანში ისეთი ელემენტების დომინირება, როგორცაა გრანსცენდენტულობისაკენ სწრაფვა, “იმედი” იმქვეყნიურობის არსებობისა და მორჩილება, რაც ქრისტიანული მსოფლშემეცნებისათვისაა დამახასიათებელი.

როგორც აღვნიშნეთ, პლასკოვიცისის შემოქმედებაზე, კამიუს გარდა, დიდი გავლენა კაფკას შემოქმედებამაც იქონია. ბერძენ მწერალთან კაფკას მსგავსად წარმოდგენილია ორი სამყარო. ერთი მხრივ, ეს არის ყოველდღიური სამყარო, საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო მექანიზმებში ჩაბმული, არაფრით გამორჩეული ადამიანების უფერული ცხოვრება, მეორე მხრივ კი სამყარო, რომელიც ღვთიური მადლის იმედითაა გაჯერებული. პლასკოვიცისი გვარწმუნებს, რომ სოციალური ადამიანი, ეს არ არის ერთი მთლიანობა. ამ

²⁵⁷ Е. П. Кушкин, Достоевский в зарубежных литературах, Достоевский и Камю, Ленинград 1978, 83-84.

²⁵⁸ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 211-212.

ადამიანის ერთი ნაწილი ისტორიის კუთვნილებაა, მეორე ნაწილი კი მეგაფიზიკურ კანონს, მიუწვდომელ გრანსცენდენციას, ღმერთს ექვემდებარება.

ა. კამიუს აზრით ეგზისტენციალისტები, და მათ შორის ფ. კაფკა. აკეთებენ “ნახგომს” ღმერთისკენ. ეს კი ნიშნავს, რომ ისინი აბსურდის წინააღმდეგ გამოდიან. ისინი ადამიანებს საიქიო ცხოვრებას პირდებიან, აბსურდული ნაწარმები კი პასუხს არ იძლევა – აი აქ არის განსხვავება. დაპირება საიქიო ცხოვრებაზე არის სწორედ მიუღებელი აბსურდისთვის. აბსურდის ადამიანი ღმერთის გარეშე ცხოვრობს. პირველადი ცოდვის გაგება მისთვის სრულიად უცხოა. კამიუ გამოდის “უდანაშაულობის” პრინციპიდან.²⁵⁹ ამ შემთხვევაში პლასკოვიცისის შეხედულება კამიუსაგან განსხვავებულია. მისთვის ადამიანის “უდანაშაულობა”, მაშინ როდესაც საუბარია დაუოკებელ სურვილებზე და თავაწყვეტილობაზე, გაუმართლებელია. პლასკოვიცისი ცდილობს წინა პლანზე ადამიანური ცოდვის პრობლემა დააყენოს, რაც მისი პერსონაჟის მნებობრივ საგანჯველადაა ქცეული. მისთვის გაგება “ყველაფერი ნებადართულია” თავისუფლების შეძახილს კი არ წარმოადგენს, არამედ სამწუხარო აღიარებას: *თუკი სადმე გადაღმა პასუხი არ უნდა ვაგოთ, მაშასადამე ამ ქვეყანაზე ვერც ცოდვა იარსებებს.*²⁶⁰ თუმცა იმის დაჯერება, რომ თუკი არ არსებობს ჭეშმარიტება, არც არაფერი არაა აკრძალული, “კამხალის” პერსონაჟს არ სურს.

მოხუც ხარიგოსში ადამიანურმა ბოროტებამ იმძღვრა. მან ნაშვილები, თბოლი ქალწულის გაუპატიურება სცადა, თუმცა იგი ვერ ასცდებდა ღვთის წყრომას. კაქგუსის ერთი პაგარა ეკალი მისთვის სასიკვდილო იარაღად იქცევა. ამ მოვლენის შემდეგ მოხუცი სულიერ სიმშვიდეს კარგავს, მას არ ძალუძს თავი დააღწიოს თავის ცოდვას. რა უნდა მოუხერხოს ადამიანმა იმ ბოროტებას, რომელიც მის ბუნებაშია ჩაბუდებული? და აი, ამ შემთხვევაში, მწერალი

²⁵⁹ Е. П. Кушкин, Достоевский в зарубежных литературах, Достоевский и Камю, Ленинград 1978, 92.

²⁶⁰ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 212.

გამოსავალს “მეგაფიზიკურ იმედში”, ღმერთში პოულობს. ხარიგოსი მარგობაში იძირება და გრძნობს სრულ გულგრილობას ცხოვრების წინაშე: *ესლა სიცოცხლე, კიდევაც რომ მაჩუქო, არ მინდა! მხოლოდ ჩემს ცოდვას ნუ წამართმევ. ამის იმედი მაქვს... თუკი ცოდვის არსებობა გწამს, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ღმერთის იმედი ვაქვს?*²⁶¹ ხარიგოსი უარყოფს სიცოცხლეს, რადგან სწამს იმქვეყნიური ცხოვრების, ღმერთის. როგორც ჩანს მას მხოლოდ ღმერთის იმედილა შერჩენია, რომელთანაც შეძლებს მოინანიოს თავისი ცოდვა.

მიუხედავად სამყაროსა და ადამიანის კავშირის ამგვარი მეგაფიზიკური გააზრებისა, არ შეგვიძლია პლასკოვიტისის ეგზისტენციალისტურ კონცეფციას რელიგიური ვუწოდოთ. თუკი მისი ერთი პერსონაჟი იმქვეყნიურის არსებობაზე მსჯელობს, მეორე სიამოვნებით იცხოვრებდა ასეთი იდეის გარეშე: *რა არის ცოდვა? ჩვენ ცოდვა კი არ გვაშინებს, არამედ ღვთიური სამსჯავრო, რომელიც სიკვდილზე უფრო მაღლა დგას. შეგიძლია წარმოიდგინო რა ბედნიერება იქნებოდა სიკვდილი ღვთიური სამსჯავროს გარეშე?*²⁶² – ამბობს ჰიდროლოგი ვალერიისი. არსებული საფრთხე მას აიძულებს მუდამ ფხიზლად იყოს. ჰიდროლოგი ყოველგვარი მეგაფიზიკური იმედისგან დაცლილია. ეს სიფხიზლე და მეგაფიზიკური იმედის უქონლობა მასში საკუთარი თავის სრულ თვითშემეცნებას იწვევს, მას ვაჟკაცურ ღირსებას შეძენს, სხვა სიგყვებით რომ ვთქვათ, იგი ინარჩუნებს თავის ღირსებას, რაც თავისუფლების გოლფასია. იგი იბრძვის სიცოცხლისათვის, რაც ნიშნავს ამგვიცო მისი გრაგიკული თვითღირებულება, ყოველგვარი იმედების გარეშე იმქვეყნიურ ნეგარებაზე. მაშასადამე ჰიდროლოგი აბსურდის ადამიანია, რომელიც იმარჯვებს აბსურდზე თავისი ცნობიერებით და ამბოხით თავისუფლებას აღწევს. ხარიგოსი კი “მეგაფიზიკური იმედით” სავსე გამოსავალს ღმერთში, გრანსცენდენტულობაში ეძებს.

²⁶¹ Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 213.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბერძენი მწერალი თავის რომანში სხვადასხვა ეგზისტენციალისტური დებულებების საინტერესო სინთეზს ახდენს. თუ ერთ შემთხვევაში პლასკოვიცის მიაჩნია, რომ სამყარო აბსურდულია, მეორე შემთხვევაში, მისი აზრით გამოსავალი ადამიანის პირად გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. იგი ასევე, მოხუცი ხარიგოსის შემთხვევაში ფიქრობს, რომ მდგომარეობიდან გამოსავალი არსებობს, თუმცა ეს ღმერთისადმი რწმენის გარეშე შეუძლებელია.

დასკვნითი შენიშვნები

ჩვენი კვლევის მიზანს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბერძნულ მწერლობაში ეგზისტენციალისტური ტენდენციების გამოვლენა და მათი ფუნქციონირების კანონზომიერებების განსაზღვრა წარმოადგენდა. ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი, ვფიქრობთ, საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ა. ფრანგიასის, დ. ხაძისისა და ს. პლასკოვიცის შემოქმედებაში ეგზისტენციალისტური ტენდენციები საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. მათ რომანებსა თუ მოთხრობებში სხვადასხვა ეგზისტენციალისტური დებულებებისა და თეორიების მონაცვლეობა შეინიშნება, რაც ერთ მთლიანობაში მათ ძირითად განწყობას, თანამედროვე ადამიანისადმი და სამყაროსადმი მათ დამოკიდებულებას გამოხატავენ. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ისინი თავიანთ ლიტერატურულ ნაწარმოებებში აბსურდის, ამბოხის, ადამიანის გაუცხოების თეორიების თავისებურ ინტერპრეტაციას ახდენენ. ადამიანური არსებობის აბსურდულობა, რაც ეგზისტენციალისტი

²⁶² Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982, 115.

მწერლების ცნობიერებაში მეგაფიზიკურ აღქმასთანაა დაკავშირებული, ბერძენ მწერლებთან, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ და პოლიტიკურ კონტურებს იძენს. მეორე მსოფლიო და სამოქალაქო ომებმა მათ კონცეფციაში ისტორიის აბსურდულობას შეასხეს ხორცი და მათ ცნობიერებაში აისახენ, როგორც განსახიერება ყოფიერების უაზრობისა. რეალისტური პირობითობისაგან თავის დაღწევას კი ისინი სიმბოლოებისა და ალეგორიების საშუალებით ახერხებენ (ა. ფრანგიასი, ს. პლასკოვიცისი).

მართალია, წარმოუდგენელია მეორე მსოფლიო ომისა და მის შემდგომ საბერძნეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების ფონზე ბერძნული ინტელიგენცია და პირველ რიგში ბერძენი შემოქმედნი თავისდაუნებურად არ დაინტერესებულყვნენ ადამიანის არსებობის საკითხებით, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ფრანგი ეგზისტენციალისტების (ძირითადად ა. კამიუ და ჟ. პ. სარტრი) ბერძენი მწერლების შემოქმედებაზე მკვეთრი გავლენა აშკარად საგრძნობია, ისევე როგორც, ზოგიერთ შემთხვევაში, თვალშისაცემია მათი იდეოლოგიის ფ. კაფკას მსოფლმხედველობასთან სიახლოვე.

სამივე მწერლის შემოქმედებაში ადამიანს, როგორც განსაკუთრებულ, კონკრეტულ არსებას ცენტრალური ადგილი უჭირავს, რომელიც ყოველთვის სხვა ადამიანებთან და გარესამყაროსთან მიმართებაში განიხილება. თუმცა, საინტერესოა აღვნიშნოთ ისიც, რომ მათ ნაწარმოებებში თითოეული ინდივიდი ყოველთვის მთელი ბერძნული საზოგადოების სახეს წარმოადგენს, რომლის მიღმაც ზოგადად კაცობრიობის ტკივილი აღიქმება. ეს განსაკუთრებით ხაზგასმულია დ. ხაძისის შემოქმედებაში. კონკრეტული ადამიანის განცდების განზოგადების მცდელობა შეიძლება ბერძენი პროზაიკოსის თავისებურებადაც მივიჩნიოთ. ფაქტია, რომ ისტორიის შემოჭრა ამსხვრევს მათი პერსონაჟების ინდივიდუალურ სამყაროს.

თანამედროვე ბერძნულ მწერლობაში ეგზისტენციალისტური დებულებები შემდეგნაირადაა რეალიზებული: სამივე მწერალი, ბერძნული რეალობიდან გამომდინარე, საინტერესოდ წარმოგვიდგენს აბსურდისა და ამბოხის კონცეფციებს, ინდივიდის თავისუფლებისა თუ ადამიანის გაუცხოების პრობლემატიკას. ისინი განსაკუთრებით ინტერესდებიან ადამიანის სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემატური საკითხებით. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სხადასხვა ეგზისტენციალისტური დებულებები სამივე მწერლის შემოქმედებაში თავისებურად არის წარმოდგენილი. ასე მაგალითად:

1) ა. ფრანგიასთან აბსურდის კონცეფცია, ერთი მხრივ, მისი პერსონაჟების აბსურდულ შრომაში გამოიხატება. მათი შრომის უნაყოფობაზე ხაზგასმით მწერალი მიგვანიშნებს, რომ ადამიანის ყოველგვარი მოქმედება უაზრობაა, რადგან აბსურდულია, ადამიანის არსებობა კი წრეზე უსასრულო გრიალია. “შავ ჭირში“ აბსურდი ასევე საკონცენტრაციო ბანაკის ყოვლად უაზრო, ტოტალურ რეჟიმში გაიაზრება, რომლის საშუალებითაც მწერალი ხაზს უსვამს ადამიანების ცხოვრებაში ყოველდღიური ძალადობისა და ბეწოლის ფაქტს. იმისათვის, რომ მკითხველმა უფრო მძაფრად შეიგრძნოს ადამიანური ცხოვრების აბსურდულობა ა. ფრანგიასი მეტად ორიგინალურ ხერხს მიმართავს. იგი ბუნების ელემენტების გამოყენებით, როგორცაა მზე, ზღვა და ქარი ადამიანსა და გარესამყაროს შორის არსებულ დისჰარმონიაზე ამახვილებს ყურადღებას.

დ. ხაძისთან აბსურდი ადამიანის მიერ თანამედროვე სამყაროს შეუცნობელობის პრობლემაში აისახება. მისი პერსონაჟებისათვის სამყარო ირაციონალურია, მიუწვდომელი. ამ ადამიანების უფერული და არაფრისმთქმელი ცხოვრება მწერლის ცნობიერებაში სამყაროს აბსურდულობის აღქმას უწყობდა ხელს. თუმცა ისიც ნათელია, რომ ხაძისთან გამოხატულება ჰპოვა გარკვეულმა სოციალურმა რეალობამ, კონკრეტულად კი

თანამედროვე ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ. აშკარაა, რომ მისი გმირები თანამედროვე საზოგადოების მსხვერპლნი არიან.

ს. პლასკოვიცისის “კაშხალი” გამოხატავს ადამიანის მარადიულ მდგომარეობას სამყაროში. მწერალი ცდილობს დაგვანახოს, რომ აბსურდი, სიცოცხლისა და სიკვდილის თვითნებური ელემენტი, აღმართავს ბნელსა და გადაულახავ კედელს, რომლის წინაშეც ადამიანები უსუსური არიან. ადამიანის მხრიდან სამყაროსთან კონტაქტის დამყარების მცდელობა, მისი სურვილი შეიმეცნოს სამყაროს საიდუმლოებანი, უპასუხოდ რჩება. ბერძენი მწერალი დარწმუნებულია, რომ სამყაროსთან ყოველგვარი კონტაქტის დამყარება უშედეგოა.

2) ა. ფრანგიასთან ამბოხის კონცეფცია გააზრებულია, როგორც კაცობრიობის გალაშქრება გოგალური რეჟიმების წინააღმდეგ.

დ. ხადისისათვის კი ამბოხი, უსამართლობითა და უაზრო მდგომარეობით აღმუთებული ადამიანის შეუცნობელი სამყაროს წინააღმდეგ გალაშქრების გამოხატულება. ამბოხი მისთვის მჭიდრო კავშირშია სამართლიანობის გაგებასთან და იგი მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, იმ კონკრეტული უსამართლობისაკენ, რაც ადამიანის ჭმუნვის მიზეზია.

ს. პლასკოვიცისის პერსონაჟის პროტესტი კი იმით არის გასაოცარი, რომ ის უარს ამბობს იყოს სხვისი უბედურების გულგრილი თვითმხილველი. მწერალი გვამცნობს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ ინდივიდუალურ ღირებულებებზე მაღლა დგანან მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ისინი ადამიანები არიან.

3) ა. ფრანგიასთან ადამიანის გაუცხოების ორი ასპექტი გამოიკვეთება. მწერალი შეიძლება ითქვას, გაუცხოებული ადამიანის ორ განსხვავებულ სახეს ქმნის. იგი ცდილობს საკონცენტრაციო ბანაკის მსჯავრდებულთა შორის არარსებულ კომუნიკაციაზე, მათ გარიყულობაზე, მარტოობის გრძნობაზე,

ადამიანის მიერ ადამიანის უარყოფაზე ხაზგასმით შექმნას გაუცხოებული ადამიანის სახე. ამავე დროს მწერალი იმისათვის, რომ ინსტიქტებსა და შიშს დამონებული სახეცვლილი ადამიანის სახე წარმოგვიდგინოს და წინა პლანზე წამოსწიოს პიროვნების სრული სახეცვლილების საშიშროება ფანტასტიკურ ელემენტებს იყენებს, ანუ საქმე გვქვს ადამიანების მეგამორფოზასთან.

დ. ხადისისთან ადამიანის გაუცხოების მიზეზი, ერთი მხრივ თანამედროვე ინდუსტრიული სამყარო, მეორე მხრივ კი, არაჯანსაღი საზოგადოებრივი ურთიერთობებია. ასევე საინტერესოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მისი პერსონაჟების გაუცხოება რელიგიისა და ეროვნული ტრადიციების საფუძველზე ხდება. ამკარაა, რომ საზოგადოებასა და ადამიანს შორის გათიშულობა, ზოგჯერ კი თავად ადამიანებს შორის უკონტაქტობა ქმნის მისი თითოეული გმირის ტრაგედიას.

ს. პლასკოვიცისის პერსონაჟის გაუცხოება საზოგადოების აგრესიის ბრალია. მწერალი გვამცნობს, რომ ადამიანური ურთიერთობები ურთიერთუარყოფა და შეურიგებელი მტრობაა. მისი აზრით, თუ ადამიანები არ შეწყვეტენ აგრესიას ერთმანეთის მიმართ, კაცობრიობას არ ექნება მომავალი.

ყველაზე მთავარი კი, ჩვენი აზრით, ბერძენი მწერლებისათვის ისტორიული მოვლენებით განპირობებული ადამიანური არსებობის ტრაგიზმის წარმოჩენაა. ისინი ცდილობენ ყოველგვარი ღირებულებებისაგან დაცლილი სამყაროს სურათი დაგვიხაგონ, სადაც ერთადერთი, რასაც ნამდვილად აქვს აზრი, არის ადამიანი. ისინი თავიანთ ნაწარმოებებში სწორედ ადამიანური ღირებულებებისა და ღირსებების დასაცავად გამოდიან და პროტესტს გამოთქვამენ ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა

ავტორები:

1. კამიუ ა., *ქორწინება, მათგული*, თბილისი 2003.
2. Камю А., Избранное, *Чума*, Москва 1990.
3. Камю А., Мастера современной прозы, *письма к немецкому другу*, Москва 1988.
4. Камю А., Избранное, *Миф о Сизифе*, Москва 1988.
5. Кафка Ф., *Замок*, Москва 1991.
6. Кафка Ф., *Процесс*, Москва 1991.
7. Сартр Ж. П., *Мухи*, Москва 1967.
8. Πλασκοβίτης Σπ., *Το Φράγμα*, Αθήνα 1982.
9. Πλασκοβίτης Σπ., *Η πεζογραφία του ήθους και άλλα δοκίμια*, τ. I, Αθήνα 1986.
10. Πλασκοβίτης Σπ., *Η Πόλη*, Αθήνα 1981.
11. Πλασκοβίτης Σπ., *Συρματόπλεγμα*, Αθήνα 1981.
12. Χατζής Δ., *Φωτιά*, Αθήνα 1962.
13. Χατζής Δ., *Το Τέλος της μικρής μας πόλης*, Αθήνα 1999.
14. Χατζής Δ., *Το Διπλό βιβλίο*, Αθήνα 1999.
15. Χατζής Δ., *Ανυπεράσπιστοι*, Αθήνα 1966.
16. Χατζής Δ., *Σπουδές*, Αθήνα 1976.
17. Χατζής Δ., *Θητεία*, Αθήνα 1979.
18. Φραγγιάς Α., *Λοιμός*, Αθήνα 1972.
19. Φραγγιάς Α., *Το Πλύθος*, τ. I, II, Αθήνα 1985-1986.
20. Φραγγιάς Α., *Καγκελόπορτα*, Αθήνα 1965.
21. Φραγγιάς Α., *Ανθρωποι και σπίτια*, Αθήνα 1955.
22. Sartre J.-P., *L' Être et le Néant*, Paris 1943.

ლექსიკონები და ენციკლოპედიური ცნობარები:

23. გაფრინდაშვილი ნ., მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი 1972.
24. ქართული ენის განმარგებითი ლექსიკონი, 8 ტომად, თბილისი 1950-1964.
25. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, გ. II, III, IV, V, VI, IX, თბილისი 1977-1985.
26. Краткая Литературная Энциклопедия, т. III, Москва 1966.
27. Трессидер Дж., Словарь Символов, Москва 2001.
28. Хориков И. П., Малев М. Г., Новогреческо-Русский Словарь, Москва 1993.
29. Элиаде М., Очерки сравнительного религиоведения, Москва 1999.
30. Έλιαντ Μ., Οικόνες και σύμβολα, Αθήνα 1994.
31. Δημητράκου Δ., Μέγα Λεξικόν όλης της Ελληνικής Γλώσσας, 9 τόμοι, Αθήνα 1964.
32. Δρανδάκης Π., Μεγάλη Ελληνική Εγκυκλοπαίδεια, Αθήνα.

33. Κάζνεβ Ζ.-Βικτόρωφ Ντ., Βασικά θέματα της κοινωνιολογίας και κοινωνιολογικό λεξικό, Αθήνα 1988.
34. Κριαράς Εμ., Νέο ελληνικό λεξικό της σύγχρονης δημοτικής γλώσσας, Αθήνα 1995.
35. Μεγάλη Γενική Παγκόσμια Εγκυκλοπαίδεια Φάρος, Αθήνα 1979.
36. Μεγάλη Εγκυκλοπαίδεια Γιοβάνη, Αθήνα 1978.
37. Μπαμπινιώτης Γ., Λεξικό της νέας ελληνικής γλώσσας, με σχόλια για την σωστή χρήση λέξεων, Αθήνα 1998.
38. Πάπυρος Larousse Britannica, τ.: VII, Αθήνα 1981.
39. Σύγχρονο λεξικόν της ελληνικής γλώσσας, Καθαρευούσης-Δημοτικής, Αθήνα 1961.
40. Lesky Albin, Ιστορία της αρχαίας ελληνικής λογοτεχνίας, Θεσσαλονίκη 1990.
41. Wörterbuch der Literaturwissenschaft, Leipzig 1986.

სამეცნიერო ლიტერატურა:

42. ანთაძე მ., ელუარდ ოლბი: ექსისტენციური ინტუიცია, თანამედროვე დასავლური დრამა, ესეები თანამედროვე საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე, თბილისი 1989.
43. ბაქრაძე კ., ეგზისტენციალიზმი, თბილისი 1962.
44. ბაქრაძე მ., დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე), ლიტერატურის ისტორია, პოეტიკა, ურთიერთობანი, სიგყვის პოეტიკა და მზის სიმბოლიკა ა. კამიუს “უცხოში”, თბილისი 1988.
45. ბერდიაევი ნ., ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში, თბილისი 2001.
46. ბუაჩიძე თ., თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან, თბილისი 1986.
47. გორდემიანი რ., ეგზისტენციალიზმი, ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, განათლება, თბილისი 1993.
48. დომინიკ რაბაგე, ფრანგული რომანი 1900 წლიდან, მორალი და რომანის ფორმები, თბილისი 1998.
49. ი. დოლობერიძე, ჟან ჟიროდუს ინტელექტუალური თეატრი, თანამედროვე დასავლური დრამა, ესეები თანამედროვე საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე, თბილისი 1989.
50. თევზაძე გურამ, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბილისი 2002.
51. კაკაბაძე მ., “ეგზისტენციური კრიზისის” პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის გრანსცენდენტალური ფენომენოლოგია, თბილისი 1985.
52. კერესელიძე ლ., ელუარდ ბონდი: სოციალური დრამის ნილაბი, თანამედროვე დასავლური დრამა, ესეები თანამედროვე საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე, თბილისი, 1989.
53. დოლობერიძე ი., ჟან ჟიროდუს ინტელექტუალური თეატრი, თანამედროვე დასავლური დრამა, თბილისი 1989.

54. Αμπατζοπούλου Φ., Ο Άλλος εν διωγμώ, Εικόνα του Εβραίου στη λογοτεχνία, ζητήματα ιστορίας και μυθοπλασίας, Αθήνα 1998.
55. Αποστολίδου Β., Λογοτεχνία και ιστορία στη μεταπολεμική αριστερά, η παρέμβαση του Δ. Χατζή 1947-1981, Αθήνα 2003.
56. Αργυρίου Αλεξ., Η πεζογραφία περί Μακρονήσου και μερικά παρεπόμενα, στο ιστορικό τοπίο και ιστορική μνήμη: το παράδειγμα της Μακρονήσου, Αθήνα 2000.
57. Αργυρίου Αλεξ., Οριακά και μεταβατικά έργα Ελλήνων πεζογράφων, Αθήνα 1996.
58. Αυγέρης Μ., Αφιέρωμα στην Φιλοσοφία του Υπαρξισμού 1, Ο Καμύ στην Ελλάδα, Δίμηνο περιοδικό λογοτεχνίας και προβληματισμού, Αθήνα 1971.
59. Βαρίκας Β., Η ωριμότητα ενός πεζογράφου, εφημ. «Βήμα», 1965.
60. Βαρίκας, Β., Συγγραφείς και κείμενα, Α', 1961-1965, Αθήνα 1975.
61. Βρεττός Σπ., Ο δρόμος προς την Ελευθερία και η ανθρώπινη μοίρα στο λογοτεχνικό έργο του Δημήτρη Χατζή, επιστημονικό συμπόσιο πανεπιστημίου Ιωαννίνων, Δ. Χατζής, μια συνείδηση της ρωμοσύνης, Πάτρα 1999.
62. Γαλανός Γ. Γ., Εφαρμοσμένη ψυχολογία, Μαρξισμός και Ψυχολογία, Αθήνα 1979.
63. Γαλανός Γ. Γ., Εφαρμοσμένη ψυχολογία, Απελεύθερο Εγώ και κατεστημένο, Αθήνα 1975.
64. Γουδέλης Τ., Γύρω από την πεζογραφία, περ. «Το Δέντρο», χρόνος 14, τόμ. 9, τευχ. 66, Ιαν.-Μαρτ. 1992.
65. Γουλιανδρής Ν., Βιβλιογραφικό μελέτημα (1930-1989) Δ. Χατζή, Αθήνα 1991.
66. Δούκαρης Δ., Συνομιλία με τον Σπύρο Πλασκοβίτη, περ. «Τομές», τευχ. 37, 1978.
67. Δρακονταειδής Φ. Δ., Η λογοτεχνία του Δ. Χατζή ως ηθική στάση, περ. Διαβάζω, δεκαπενθήμερη επιθεώρηση του βιβλίου, αφιέρωμα στο Δ. Χατζή, αριθ. 180, 9.12.87
68. Ζήρας Αλέξ., Η αρχή ενός μυθιστορήματος που δεν ολοκληρώθηκε ποτέ, περ. Διαβάζω, δεκαπενθήμερη επιθεώρηση του βιβλίου, αφιέρωμα στο Δ. Χατζή, αριθ. 180, 9.12.87.
69. Θεοτοκάς Γ., Ένα βιβλίο του καιρού μας, Το μεγάλο φράγμα με το άγνωστο ελάττωμα, εφημ. «Το Βήμα», 1961.
70. Καραντώνης Α., 24 σύγχρονοι πεζογράφοι, Αθήνα 1978.
71. Καρβέλης Τ., Αντρέας Φραγκιάς, Η Μεταπολεμική Πεζογραφία, τ. VII, Αθήνα 1992.
72. Κλάρας Μπ., Κριτική για το *Άνθρωποι και σπίτια*, εφημ. «Βραδυνή», 1.02.1956.
73. Κοτζιάς Αλέξ., Κριτική για το *Λοιμός*, εφημ. «Το Βήμα» 15.2.63 μ.π. 31.
74. Κουρτόβικ Δ., Έλληνες Μεταπολεμικοί Συγγραφείς, ένας κριτικός οδηγός, Αθήνα 2000.
75. Μακρή Μ., Τα στάχια τέρατα, αφιέρωμα στην φιλοσοφία του υπαρξισμού 1, δίμηνο περιοδικό λογοτεχνίας και προβληματισμού, Αθήνα 1971.
76. Μερακλής Μ. Γ., Προσεγγίσεις στην ελληνική πεζογραφία, η επανεμφάνιση του Δ. Χατζή: *Το Διπλό βιβλίο*, Αθήνα 1995.
77. Μηλιώνης Χ., Δημήτρη Χατζή: *Ωρα της φυρονεριάς*, μια ανάγνωση, επιστημονικό Συμπόσιο, Δ. Χατζής, μια συνείδηση της ρωμοσύνης, Πάτρα 1999.

- 78.Μιχαηλίδης-Κριναίος Μπ., Μεταβολή της Δομής του μεταπολεμικού μυθιστορήματος και η νεοελληνική κοινωνία, διδακτορική διατριβή, Αθήνα 1982.
- 79.Μουλλάς Παν., Για τη μεταπολεμική μας πεζογραφία, κριτικές καταθέσεις, Αθήνα 1989.
- 80.Νικολαΐδης Ι. Ν, Ο Δημήτρης Χατζής ως ιστοριοδίφης, περ. Διαβάζω, δεκαπενθήμερη επιθεώρηση του βιβλίου, αφιέρωμα στο Δ. Χατζή, αριθ. 180, 9.12.87
- 81.Παπανικολάου Δ., Η αλήθεια όμως είναι ότι οι εκπληκτικοί εκείνοι άνθρωποι έζησαν, Το νησί ως ουτοπία, δυστοπία, μύθος και γραφή στο *Λοιμό* του Αντρέα Φραγκιά, Η Ελλάδα των νησιών από τη Φραγκοκρατία ως σήμερα, πρακτικά του Β' ευρωπαϊκού Συνεδρίου νεοελληνικών σπουδών, τόμος Β', Ρέθυμνο, 10-12 Μαΐου 2002.
- 82.Παππάς Γ. Η., Συνομιλία με τον Αντρέα Φραγκιά, Ελί-τρόχος, τευχ. 2, Απρίλιος-Ιούνιος 1994.
- 83.Περ. Το Δέντρο, χρόνος 14, τόμ. 9, τευχ. 66, Ιαν.-Μαρτ. 1992.
84. Πολίτης Λ., Ιστορία της Νεοελληνική λογοτεχνίας, Αθήνα 1995.
- 85.Ραυτόπουλος Δ., Άρης Αλεξάντρου, ο εξόριστος, Αθήνα 1996.
- 86.Ραυτόπουλος Δ., Κρίσιμη λογοτεχνία, Αθήνα 1986.
- 87.Ραυτόπουλος Δ., Οι ιδέες και τα έργα, Αθήνα 1965.
- 88.Σακαλάκης Μ., Κοινωνικές ιεραρχίες και συστήματα αξιών, ιδεολογικές δομές στο νεοελληνικό μυθιστόρημα 1900-1980, Αθήνα 1984.
- 89.Σαχίνης Α., Είκοσι χρόνια νεοελληνικής πεζογραφίας: 1945-1965, Αθήνα 1984.
- 90.Σαχίνης Α., Μεσοπολεμικοί και μεταπολεμικοί πεζογράφοι, Θεσσαλονίκη 1979.
- 91.Σταυροπούλου Ε., Προτάσεις ανάγνωσης για την πεζογραφία μιας εποχής, Αθήνα 2001.
- 92.Στεργιόπουλος Κ., Παρουσίαση-ανθολόγηση, Σπύρος Πλασκοβίτης, Η μεταπολεμική πεζογραφία, τ. VI, Αθήνα 1992.
- 93.Τζιόβας Δ., Η πεζογραφία του Δ. Χατζή: Ουμανιστικός ρεαλισμός και η ποιητική της μεταβατικής αφήγησης, επιστημονικό συμπόσιο πανεπιστημίου Ιωαννίνων, Δ. Χατζής, μια συνείδηση της ρωμοσύνης, Πάτρα 1999.
- 94.Τζιόβας Δ., Η πεζογραφία του Δ. Χατζή, ιδεολογία και αισθητική λειτουργία, Γιωάννηνα 1980.
- 95.Τσακωνάς Δ., Επίτομη ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας, πρώτη μεταπολεμική γενιά, Αθήνα 1999.
- 96.Χουρμούζιος Αιμ., Πριν από δεκάξι χρόνια, Σπ. Πλασκοβίτης, *Το Φράγμα*, Αθήνα 1982.
- 97.Σ. Χρήστου, Σκέψεις πάνω σ'ένα βιβλίο, Αποξένωση και παρακμή, Δημήτρη Χατζή, Αθήνα 1976.
- 98.Beaton R., Εισαγωγή στη νεότερη ελληνική λογοτεχνία, ποίηση και λογοτεχνία 1821-1992, Αθήνα 1996.
- 99.Ginestier P., Η ζωή και η σκέψη του Καμύ, μετάφρ. Αλέξ. Βέλιος, Αθήνα 1965.

100. Vitti M., Ιστορία νεοελληνικής λογοτεχνίας, Αθήνα 1987.
101. Vitti M., Ιστορία της Νεοελληνική λογοτεχνίας, Αθήνα 2003.
102. Beaujour M., Sartre and Surrealism, in: Yale French Studies, Nr.30, 1962.
103. Bollnow O. F., Französischer Existentialismus, Stuttgart 1965.
104. Camus A., L' absurde naît de cette confrontation entre l'appel humain et le silence déraisonnable du monde, Paris 1942.
105. Cooper E. D., Existentialism, A Reconstruction, second edition, 1999.
106. Flores d'Arcais P., „Libertärer Existentialismus“, Zur Aktualität der Theorie von Hannah Arendt, aus Ital. von Ulrich Hausmann, Frankfurt/Main 1993.
107. Giesenberg F., Wahl und Entscheidung im Existentialismus sowie bei Platon, Aristoteles, Paskal, Descartes und Bergson, Frankfurt/Main 1996.
108. Giles J., French Existentialism, Consciousness, Ethics and Relations with Others, Amsterdam-Atlanta 1999.
109. Hamburger K., Von Sophokles zu Sartre, Griechische Dramen Figuren antik und modern, Stuttgart 1962.
110. Harth H., Literarische Diskurse des Existentialismus, Frankfurt/Main 1986.
111. Heinemann F., Existenzphilosophie lebendig oder tot?, Stuttgart 1954.
112. Heinemann F. Jenseites des Existenzialismus, Essen 1977.
113. Howells Ch., Sartre's Theory of Literature, London 1979.
114. Hubbert J., Die Existenz denken, Existenzphilosophie in religiöser und antireligiöser Deutung, Bochum 1994.
115. Kayser W., Das Groteske in Malerei und Dichtung, München 1961.
116. Kleiner M. S., Im Bann von Endlichkeit und Einsamkeit? Der Tod in der Existenzphilosophie und der Moderne, Essen 2000.
117. Knopp P., Vincent v. Wroblewsky, Existentialismus heute, Berlin 1999.
118. Krauß H., Zur Struktur des *Etranger*, in: Zeitschrift für französische Sprache und Literatur, LXXX, Heft 3
119. Lindner H., Existentialismus und Philosophische Probleme der Persönlichkeit, Berlin 1980.
120. Lohner A., Der Tod im Existentialismus, Eine Analyse der fundamentaltheologischen, philosophischen und ethischen Implikationen, München, Wien, Zürich 1997.
121. Lottman H. R., Albert Camus, Paris 1978.
122. Mathis U., Existentialismus und französisches Chanson, Wien 1984.
123. Patrik E. Linda, Existential Literature, An Introduction, Thomson Learning, Belmont, Wadsworth 2000.
124. Reichel E., Literarischer Text und politischer Kontext. Faschismuskritik in narrativer Form: Moravias *Gli Indifferenti*, in: Romanistische Zeitschrift für Literaturgeschichte, Heft 1, 1980.

125. Reidemeister K., Die Unsachlichkeit der Existenzphilosophie, neun kritische Aufsätze, zweite erweiterte Auflage, Berlin, Heidelberg, Neu York 1970.
126. Robert c. Solomon, From Rationalism to Existentialism, the Existentialists and their neinteenthcentury background, Boulder, New York, Oxford 2001.
127. Rosenthal B., Die Idee des Absurden: Friedrich Nietzsche und Albert Camus, Bonn 1977.
128. Rühling A., Negativität bei Albert Camus, Bonn 1974.
129. Schaff A., Marx oder Sartre? Versuch einer Philosophie des Menschen, Frankfurt/Main 1966.
130. Schlette H. R., Albert Camus: Welt und Revolte, Freiburg/München 1980.
131. Schlette H. R., Camus' Aktualität im Spannungsfeld der Antithese, Natur-Geschichte, in: M. Lauble Hrsg., Der Unbekannte Camus, Düsseldorf, Patmos 1979.
132. Schwarz Th., Sein, Mensch und Gesellschaft im Existenzialismus, Frankfurt/Main 1973.
133. Seibert Th., Existenzphilosophie, Stuttgart-Weimar 1997.
134. Seibert Th., Existenzialismus, Rotbuch 3000, Hamburg 2000.
135. Szöllösi-Brenig V., Der "Ermordung" des Existentialismus oder das letzte Engagement, Stuttgart 1995.
136. Winfried W., Strukturen menschlicher Existenz, Grenzen heutigen Philosophierens, Schöningh, Paderborn 1977.
137. Zima V. P., Indifferenz und verdinglichte Kausalität: Albert Camus' *L'Étranger*, in: germanisch-Romanische Monatsschrift, Heft 2, 1980.
138. Zima V. P., Der gleichgültige Held, Textologische Untersuchungen zu Sartre, Moravia und Camus, Trier 2004.
139. Андреев Л. Г., О современных декадентах, о литературно-художественных течениях XX века, Москва 1966.
140. Андреев Л. Г., У роковой черты, или Зеркало лимба, А. Мальро, Зеркало лимба, Москва 1989.
141. Великовский С. И., В поисках утраченного смысла, Москва 1979.
142. Великовский С. И., Грани несчастного сознания, Москва 1973.
143. Гулыга А. В., Франц Кафка и его роман Замок, Москва 1990.
144. Денисова Т. Н., Экзистенциализм и американский роман, Киев 1985.
145. Ерофеев В., В лабиринте проклятых вопросов, Москва 1990.
146. Затонский Д., Предисловие, Франц Кафка, Замок, Москва 1991.
147. Киссель М. Философская эволюция Ж.-П. Сартра, Ленинград 1976.
148. Кузнецов В. Н., Жан-поль Сартр и экзистенциализм, Москва 1969.
149. Кушкин Е. П., Достоевский в зарубежных литературах, Достоевский и Камю, Ленинград 1978.
150. Кушкин Е. П., Мальро и Ницше: Опыт нигилизма. – Реализм в зарубежных литературах XIX-XX веков, Саратов 1989.

151. Кузнецов В. Н., Жан-Пол Сартр и экзистенциализм, Москва 1969.
152. Руткевич А. М., Философия А. Камю, Бунтующий человек, Москва 1990.
153. Ржевская Н., Предисловие, Современная Французская новелла, Москва 1981.
154. Стрелцова Г. Я., Критика экзистенциалистической концепции диалектики, Анализ Философских взглядов Ж.-П. Сартра, Москва 1974.
155. Филиппов Л. И., Философская антропология Ж.-П. Сартра, Москва 1977.
156. Фокин Сергей, Альбер Камю. Роман. Философия. Жизнь, Санкт-Петербург 1999.
157. Шервашидзе В. В., Альбер Камю, путь к роману «Посторонни», Сухуми 1988.
158. Шервашидзе В. В., Экзистенциалистический роман (А. Камю, А. Мальро) и романтическая поэтика, Тбилиси 1989.
159. Шкунаева И., Современная Французская Литература, Экзистенциалистское направление в философии и художественной литературе, Альбер Камю, Москва 1961.
160. Чалин М., Философия отчаяния и страха, Москва 1962.